

ლიტერატურული გაზეთი

№6 (382) 28 მარტი - 10 აპრილი 2025

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

გიორგი ბალახაშვილი

არაბვზე გაყოლა

რად გინდა ლექსები, ეშმაკმა დალახვროს,
ხატვა რომ გესწავლა, არ იყო ურიგო,
გზაც კი ვერ გამოჩნდა, არიქა, ურიკამ
გათელა აპრილის პირველი ბალახი.
ასეთი ჭრილობა არასდროს შუშდება,
თავდახრით გიცქერენ ბზები და ნუშები.
ნაშლილი კონტურის ირიბი ქარაგმა,
შეჩერდი — უკაცოდ დარჩენილ ბილიკზე,
რომ აღარ წაგიღოს უმიზნო ქილიკმა,
რომ აღარ მოგიხმოს უმზეო ქარაფმა,
ჯიხვებსაც გაეშვი. გაეშვი, არ აყვე,
გახედე, შეერთვის შავს თეთრი არაგვი.
შეხვედრას გაფიქრებს დღისა და ღამისა
ორივე მნათობის — სხვადასხვა უბიდან,
შეჩერდი, იქნება გაგორდე რუმბივით,
შენც, ე, მაგ ბილიკზე ფეხი არ დაგიცდეს.
არაგვმა მანდ იცის შლეგივით მოვარდნა,
არც მალლით იყურო, ბუდეა ყორანთა...

IV-V

შორენა ფხაკაძე

გამარჯობა, მამაჩემო!
შენს საფლავზე მოვედი.
ყველაფერი ისე დამხვდა,
როგორც დავტოვე.
განა რა შეიცვლებოდა?!

არადა, ეს მოსვლის დღეები
შეიძლებოდა 20 წლის შემდეგ დამდგარიყო.
ვინ იცის, იქნებ უფრო მეტიც გასულიყო...
მაგრამ ბედისწერას, რომლისაც
ასე გჯეროდა შენ
და ასე ძალიან მწამს მეც,
თავისი წესები აქვს.

ვუყურებ საფლავს და მიკვირს,
ეს მთასავით კაცი
მანდ როგორ თავსდები...
და მახსენდება, როგორ თქვა მეკუბოვემ:
სტანდარტულში კი არ ჩაეტევა...

თუ იპოვე მაინც ის, რის გამოც
დააჩქარე შენი წასვლა?
ნეტა, ხარ ახლა კმაყოფილი?
დავიჯერო, მანდ უკეთესია?

ნახვამდის, მამაჩემო!
არ ვიცი, კიდევ როდის მოვალ
და დაგხედავ.
მაგრამ ვიცი, ადამიანის ფიზიკური წასვლა
მის გაქრობას სულაც არ ნიშნავს
და დღემდე მგონია, რომ
უბრალოდ, სადღაც ნახვედი
და არა სამუდამოდ.

V

ემზარ კვიტაიშვილი

ზმანაბამ მოიყოლა
ო. ჭ.

წუხელ ცნობილი კაცი მესიზმრა,
ტანხმელი, სამოცდაათზე მეტის,
თანაც იმდენად სახელგანთქმული,
მეხამუშება ხსენება მისი.
ოცი წელია, რაც დასაფლავდა,
დიდი პატივით (ყვავილების მთა),
ყველაზე გამოსაჩენ ადგილას.

მივჩერებოდი — ოდნავი ეჭვიც
არ შემპარვია, რომ ცოცხალია.
ადრინდელ სახლის ნიშაში ჩადგა,
საწვიმარ მილის გვერდით, თავ-პირი
მზისკენ წაეღო და მიეშვირა.
ხელად შეეცყო, თუ რაოდენად
დანატრებოდა სინათლეს დღისა.
წუხდა, ამითლა ვიბრუნებ სულსო.
უმაღლე, როცა მზე ლეგა ღრუბელს
აიფარებდა, ულურჯდებოდა
ნაოჭებისგან დაკეპილი და
ნაჯილნი სახე, ეკვროდა სუნთქვა.
თავჩაკიდულმა, ხელები განზე
გაშალა, მყისვე ემსგავსა ჯვარცმას.
ამან შემაკრთო, ისიც ვიფიქრე,
გასაფრენად თუ ემზადებოდა.
შევცბი, მაშინვე გაქრა, როგორაც
გამომეცხადა, მოულოდნელად.
ხელად ვიაზრე, გაგება სურდა,
რა დღეში იყო, უღვთოდ ნაჩეხი,
სამშობლო ჩვენი, ახლა, ამჯერად.
სიცოცხლეშიაც, მუდამ ამასვე
ედგა გუშაგად, ალზე ინვოდა.
სხვა რამეს, ასე რომ შეეცვალოს
მისი ზნე, ნირი, აქ, არასოდეს
შემიმჩნევია და არც მიკვირდა.

არაფერი მაქვს დასაფიცარი —
მისხლითაც არ გადამიხვევია
არჩეულ გზიდან, გამოვიყენე —
გამონაცადი, ადრევე, ხერხი:
ანონვა, მუჭში განურვა სიტყვის —
იშვიათია, გიმტყუნოს ამან.
ნანახს, ნამცეცის აღარ დაჭირდა
მიმატება და დაკლებით, მცირე
თუ დავაკელი. განსჯა თქვენზეა.

ეს თავიდანვე იყო სათქმელი
და სიჩქარეში, დაბნეულს, მიმრჩა —
გრილი და თხელი ეცვა სამოსი,
ლურჯი ტილოსი და ჩავერდნილი
მკერდი უჩანდა, სულშეგუბებულს...
უჭაერობამ იცის ამგვარი
წამონითლება, ავად დახუთვა,
საცოდაობა, გამოსაცადი.
ვიდრე მტკაველზე შეზნექილ კედელს
მოერგებოდა, გადმოიხარა,
რაღაც მითხრა, ვერ დავიხსოვე,
ჩემდა სირცხვილად და სანანებლად.

ამ წვალებაში გაჩნდა სურვილი,
ცასავით უბრალო და კრიალა —
ბროლის ბურთულად ვაქციო გული,
შიგ გამოვკეტო სახე ყველასი,
ვინც გვიყვარს, მწკრივად განლაგდნენ წრეზე
და ისრიალონ, დაუსრულებლად,
გვამცნობენ ყოველს მათი თვალები.
თუ ასეთ იოლს, ვერ გავწვდი წადილს,
სხვა აბა რისი მექნეს იმედი,
ჩალის ღერადაც არ ეღირება
ჩემი ამ ქვეყნად ყოფნა, ღივლივი.
არას ვაჭარბებ, დამეჯერება —
გონისწამრთმეველ მოლანდებაში,
შუბლდაცვარულმა რაც გადვიტანე,
ცხადზედაც იყო არანაკლები,
მეთასედიც ვერ გადმოვეცი.

VIII-IX



სიყრუე

შეხის გამდგმელი აღარა ვარ წყაროზე. მორჩა! ნეტა რა ძალი მადგა, ნერვების მოსაშლელად მანდ რომ არ ვიარო, ისე მაკლია დარდი თუ რა მრჯის?! არა, მაინც როგორ მომიშალეს ნერვები, ორი ღამეა, თვალი ვერ მოვხუჭე. ამაგისნაირების ბრალია ყველაფერი, მათ კისერზეა ყველა ცოდვა, მაგისნაირებისა და მაგისი კვერის დამკვერელებისა კიდე.

ეს წყარო რა, შორს კი არაა, კოკლო-აანთ უბანს ჩაივლი და მანდვეა, ორი ნაბიჯი იყო ახალგაზრდობაში, ახლა კიდე ხან ისე დაგრძელდება, სამჯერ მაინც უნდა შევისვენო, რომ სახლამდე ამოვალწიო. ადრე აქ სარეცხი ჩაგვქონდა რძლებს, ლილაში ვავლებდით. ეჰ, რა დრო იყო, იმ ყინვა-ყიამეთში იმოდელა თეთრეულს დავლება არ უნდოდა?! ამ წყაროდან ეზიდებოდნენ ბავშვები კოკით წყალსა, მერე კიდე აქ ვკრეფდით ნახირს და საღამოობითაც ამ წყაროსთან ველოდებით საქონელს. ახლა კიდე, სადღაა ქა, ნახირი, გულით რომ გინდოდეს, ერთ ძროხას ვერ ნახავ სოფელში, ძროხის ყოლასაც თაკილობს ხალხი და ნატურალურსაც აღარაფერს ჭამენ. გეგონება და, ი კრახმალთა და ათასი მამაძაღლობით შეთითხნილი დაბეჭდილი რძე-მანონი უფრო ღალიანი ყოფილიყოს. ძროხები აღარ გვყავს, მაგრამ იმ დროის ხალხს, ვისაც კიდე ჯანი მოსდევს, ამ წყაროს თავზე შერევის ჩვევა დაგვრჩა და დაგვრჩა.

გაზაფხულობით, მზე რომ უკვე იწყებს ბუნების გაღვიძებას, ბებერ ძვლებს მივუშვერთ ხოლმე გასათბობად და ვყვებით ამ მთისას და იმ მთისას, ათას რამეს მივედმოვედებით. ყველა გაზაფხულზე სულ უფრო ვცოტავდებით და დავრჩით ხუთი-ექვსი კინკილა ბებერილა. მგონი, ეს თავყრილობები უფრო იმისთვის იმართება, შევიტყოთ, ვინ დავრჩენილვართ ამ მიწის მტკეპნელი და ვის შეგვიძლია ჯერ ისევ ჩვენი კაბის თრევა. მეც ნავიყოლებ ხოლმე ჩემს ქეთლსა, ერთ ხანს დავედები, ენას დავასველებ, მერე წყალს წამოვიყოლებ და მოვდივარ. ე მთის წყალი მაინც სულ სხვაა, სხვა გემო აქვს, თითქოს გკურნავს და გაცოცხლებს.

ორი დღის წინაც აგრე გავედი ვითომ. ვიჯექი ჩემთვის ჭიმკართან და შემომძახა მიტუჟანთ რუსუდანამ, ქალო, წყაროზე არ წამოხვალო? დამელოდე ერთი ხანობა-მეთქი. წავედი, ე განწყობებული ხალათი გავიხადე, ახალი ჩაიცვი, თმაზე ხელი გადავისვი, სარტყები შევისწორე კოსაზე, წამოვავლე ხელი ჩემს ქეთლსა და წავედი წყაროსკე. მაყვალა და ზემოური უბნის დედა-

კაცები იქ დარტყობილიყვნენ უკვე, ისხდნენ და ისეთი გაფაციცებით უსმენდნენ მაყვალასა, თითქოს უკვდავების წამლის დამზადებას ასწავლიდა და ემანდ რამე არ გამოჩენოდათ. ნორმალურად სალამიც არ მოგვცეს, ისე შესჩერებოდნენ იმ დოშლა პირში.

— რა იყო, ქალო, რამ გაგაცხარა, რასაა რომ ამბობ, აგრე რაკრაკით, — უთხრა რუსუდანამ და ჩვენც წყაროს თავზე, დიდი კაკლის ქვეშ ჩამოვსხედით.

ამის კითხვა იყო და მოალო პირი, ისაო, სულ გაიხრწა ეს ახალგაზრდობა, კაცს კაცობა აღარ ეტყობა და ქალს ქალობა. გაფუჭებულები არიან, დაბოზდნენ და დაუბედურდნენ. ზრდილობა ამით არ იცინა და უფროს-უმცროსიო, დაიწყო და რა დაიწყო, აღარ უჩვენა სათქმელს ბოლო. სიმწრისგან ყურები წამომიხურდა. ნერწყვი ძლივს გადავყლაპე. როგორა, ქა, ცხრა შეილიმეილი მყავს, ერთმანეთზე უკეთესები, იმათ ენაცვალოთ ჩემი სიცოცხლე, ზრდილობაც აქეთ და წმინდა ნინოს უბინობაც, რასა ჰქვიან, გაიხრწნენ და გათახსირდნენო, რასა ჰქვიან ყველას ერთ ქვაბში მოქცევა, ასე ლანძღვა სად გაგონილა. ან არა და ჩემებიც იქით იყოს, ასეთი ლანძღვა რა საკადრისია.

— რა დაგიშავეს-მეთქი, ქა ასეთ, — ვკითხე და ვითომ გაღიმებაც მინდოდა, მაგრამ სიბრაზისგან ერთიანად მქონდა დაჭიმული სახე და ან რა მქონდა საღიშარი და ამ ქალისთვის თავის მოსაქონი. თაობა ახლა, თითქოს თითონ რომ ლოთი ოთარას სიძესთან დეეთეროდა, ქვეყანამ არ იცოდეს. მაგრამ მაგას ხომ არ ვეტყვი? არა და ერთიანად ამემღვრა გულ-მუცელი. აი, მაშინვე ვინანე, მეთქი, რა ძალი მედგა, სად მოვდიოდი, ვიჯექი ჩემთვის წინკარში და ვეტკებოდი მშვენიერი საღამოთი, ამ რუსუდანამ რაღას დამიძახა-მეთქი, ახლა რუსუდანა რა შუაში იყო, მაგრამ უცბად მაგაზეც გული მომივიდა.

მაყვალამ კიდე, აგერ შინმოუსვლელე-ბთან რო მიშა ცხოვრობდა, მეგარმონე, ხომ გახსოვთო, მაგისი გოგოც გეცოდინებათ, ისიც არ უქნიდა ღმერთს, კარგი ამაღლარა იყოო, ჰოდა, მაგ მიშას შვილიშვილი იყო ტელევიზორშიო. სასამართლოში აქვს საქმე, ისაო, ჩემი ლექტორი ხელებს მიფათურებდაო. მაკინროებდაო. ჩემი შეცდენა უნდოდაო.

— მერე?! — საკუთარი ხმა მეუცხოვა. მერეო, ის კაცი გამოვიდაო, ისეთი მაღალი, შესახედი. პატიოსანი კაცი ჩანდა, კასტუმში გამოწყობილი, განადგურებული იყო კაცი, ამ ხნის მოვიყარე და ასეთი დამცირებულად თავი არ მიგრძენიაო. მაგისი ბოდიშები მე აღარ მიშველის, გადაყვეს ამ ამბავს ლამის ჩემი ოჯახიო.

— მერე? — ისევ ვკითხე, თითქოს ყველა სხვა სიტყვა მოუსავლეთში წასულიყოს.

— რაღა მერე, ქალო, სირცხვილი აღარა აქვთ და თავზე ლაფს ისხამენ, თავსაც ირცხვენენ და ოჯახსაც არცხვენენ, თავმოყვარე ქალი მაგას იკადრებს?

კიდე რაღაცებს ამბობდნენ, მაგრამ აღარაფერი მესმოდა, ყურები ისე დამიგუბდა, თითქოს მწვერვალზე ავსულიყავი და მიშხუოდა, მხოლოდ ჩაქუჩივით მირტყამდნენ თავში სიტყვებს: თავს ლაფის დასხმა, ოჯახის შერცხვენა. და უცებ ისე გავბრაზდი, ისე გავბრაზდი, თითქოს ყველა ქალის, ყველა ბავშვის, ყველა ადამიანის რისხვა, რომელზეც იძალადეს და მერე პირზე ხელისგული ააფარეს, რომ არ ეკივლა, ყველას ხმა ერთად ამოვივიდა პირიდან:

— ბავშვზე ძალადობას ცდილობდნენ და გაფუჭებული და გათახსირებულიო, რა პირით ამბობ, ქალო? რა ოჯახი, რა ოჯახის შერცხვენა. მარტო მაგან კი არა, ყველამ ერთად უნდა ვიყვიროთ, რომ ეგეთი ნაძირლები ცხოვრებაში მზის შუქის მხილველნი ვეღარ გახდნენ!

ერთ ხანს დადუმდნენ და გოცებულნი მიცქერდნენ, მერე ხმაშეწყობით აყაყანდნენ:

— თუ ქალმა არ მისცა უფლება, ისე არც ერთი კაცი არაფერს გაბედავს, რატომ შენზე და ჩემზე არავინ იძალადა, რა, ჩვენ არ ვიყავით მაგოდლები? მაგაზე ნაკლები შესახედეები ვიყავით თუ რა. ქალია ყველაფერში დამნაშავე, ანა, ქალო, მაგას ნაძალადევისა რა ეტყობოდა, იმ ენით კი იფხანდა ზურგსა და...

ძალა აღარ მეყო, კიდე რამე მეთქვა, ან კი რა აზრი ჰქონდა, მენა დახმობოდათ და არას დიდებით არ სურდათ, გაეგოთ რამე. მე კი ავდექი და ის აღმართი, სამჯერ მაინც რომ მჭირდება ხოლმე შესვენება, გაუჩერებლად ამოვიარე, ხელში ისევ ქეთლი მეჭირა, ცალიერი, წყლის წამოღებაც კი დამვიწყნოდა. სიმწრისგან ნალვლის წვენი ამომდიოდა თითქოს და გულ-ღვიძლს მიწამლავდა, კაპლიც დავლიე, რადიოც ჩავრთე, იქნება და რამე ისეთი თქვან, ცოტა გული გადავაცილო-მეთქი, მაგრამ საშველი აღარ იყო. ან სანამ ერთი მაყვალა მაინც დაიარება ამ დუნიაზე, რა საშველი უნდა გქონდეს ადამიანს, სოფელს, ქვეყანას...

ბანცხაღება

სასწრაფოდ, იყიდება 1998 წლიანი Volkswagen Golf 4. ჭეჩქეკი, 1,6 ძრავით, ბენზინი, მექანიკა. გარბენი 274000 კმ. რუხი ფერის, შავი ნაჭრის სალონით. ტექ. დათვა-

ლიერება გავლილი აქვს. ნატაქსავები არაა. შეუღებავი. მუშა მანქანაა, უღალატო. გასმული აქვს უკანა მარჯვენა კრილოზე. მოჰყვება ახალი საბურავები და თექვსმეტიათი დისკები.

ვარკეთილის მესამე მასივში იყიდება 70 კვ.მ. ბინა. მეოთხე სართული (8 სართული-ანში), ორ ოთახიანი ჩეხური. ძველი რემონტით, პარკეტით, ხის კარ-ფანჯრით. ერთი სველი ნერტილი, ორი საძინებელი, სამზარეულო, ლოჯი და სასტუმრო ოთახი გაერთიანებულია, აქვს ორი აივანი, ერთი არასტანდარტული. უბანი მშვიდია, მოჰყვება სარდაფი და გარაჟი. გარაჟი დაუმტკიცებულია.

სახლთან ერთად ვყიდი ზედა მეზობელს სამი ბავშვით, ერთი ძაღლითა და ბავშვის საყვირიანი მანქანით. განყვეტას მყოფი ნერვებით, ოპერის მომღერალს შემურდება, ისეთი ხმით და სარეცხის მანქანით, რომელიც არასდროს არ გაფუჭდა, ჩემდა ჭირად (სავარაუდოდ, მოსაშველები აქვს ვინტები და განურვისას ხტუნაობს).

ყიდი უბნის მაღაზიის გამყიდველ „ჩემი გოგო“ ლამარას, აქვს კარგი ყველი და ხილი, კაპიკად არ უფარვა ბოსტნეული, ფასები ნორმალურია, მაგრამ ხურდასთან ფრთხილად იყავით. ძეხვეულზე გადაამონმეთ ვადები!

იყიდება მიწის ნაკვეთი. თბილისიდან ოცდაათი წუთის სავალზე. 800 კვ.მ. სასახლეკარე. 100 კვ.მ. საძირკველი ჩასხმულია. საუკეთესო ხედი. საბუთები წესრიგშია. წყალი შეყვანილია, გაზი და ელექტრო ენერგია მომიჯნავე მეზობლისგან შეგიძლიათ, გადმოიყვანოთ, დიდი წვალეა არ დაგჭირდებათ. გამართული ხეივანი, კაი ღონიერი კაკლის ხეც დგას, ცხოვრული მამაჩემის ჩარგულია. მიწის ნაკვეთთან სამანქანო გზა მიდის (მოხრეშილი). ორას მეტრშია აფთიაქი და სასურსათო მაღაზია. ფასები ოთხმოცი-ოთხმოცდაათი დოლარის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ ორმოცდაათზეც ყაბულსა ვარ.

ყიდი ოჯახიდან თეთრ პოლონურ საძინებელს, ახალივითაა: ერთი მოზრდილი ტანსაცმლის კარადა, ორი ტუმბო (სახელურები მომძვრალი აქვს), სამფრთიანი ტრილიაჟი თავისი სკამით, ერთი სარკე გაბზარულია, ორსაწლიანი თავისი მატრასით. ორი მატყლის საბანი, ბუმბულის ბალიშები და ჟატის თეთრეული.

ყიდი ძველურ სამზარეულოს, სალათისფერს, თავისი მაგიდითა და ოთხი სკამით. მოჰყვება ემალის ჯამები, ოქროს ვარაყიანი სერვიზი თორმეტ კაცზე, მადონას სერვიზი (ერთი ლამბაქი გატეხილია), ვერცხლის დანა-ჩანგალი თორმეტ კაცზე, თორმეტი ჩაის და ათი სადილის კოვზი (ის ორი სად გაქრა, ღმერთმა უწყის, შეიძლება, სამზარეულოს კარადის უკანაა ჩავარდნილი), ჩინური სახილე, ორი ცალი ლუდის კათხა, ძველებური, რვაას გრამიანი. ნათალი ჭიქები ოცდაოთხი ცალი. თიხის დოქი და ორი ყანწი, წარწერით: იხარე ჭერო, მოკვდი მგერო.

ყიდი ტელევიზორს, სამსუნგს, 81 (32) სმ/ინჩი ეკრანით. მოჰყვება პულტი, ელემენტები შესაცვლელია, ამას წინათ კი დავჭეყე, მაგრამ დიდხანს არ იმუშავებს. ყიდი ტელევიზორის დასადგამს, მასალა: შავი ემდეფი, დაფერილმუშებიანი კარით.

ყიდი ხაზის ტელეფონს, წითელს, შავი კაბელით. თავისი მაგიდით.

ყიდი გობელენს, გამოსახულია ნაქცეული ხე, დედა დათვი და ორი ბელი.

ყიდი ZIMMERMANN-ის პიანინოს, ყავისფერს. რამდენიმე კლავიში ჩავარდნილი აქვს, სჭირდება აწყობა. მოჰყვება თავისი სკამი.

ყიდი ხის ოვალურ მაგიდას, იშლება თექვსმეტ კაცზე და ექვს ცალ ხის სკამს. ყიდი სალოგინე ტახტს და ორ ცალ ბეზიასეულ ჭრელ მუთაქას.

ყიდი ტელეფონს, ფარნიან ნოკიას. სასაცილო არაფერია, ელემენტი ძლებს ოთხი დღე-ღამე.

ყიდი ჩემს სამ ჯინსს, ორი შავია, ერთი ლურჯი. სამივე ახალივითაა, ერთ მუხლებ-გამობერილ სპორტულს. ყიდი ორ თეთრ პერანგს, ერთ რუხი ფერის მაისურს და ერთ შავ სვიტერს. ყიდი ტყავის ქურთუკს (სუფთა ტყავი არაა), ერთ წყვილ ფეხსაცმელს, შავი ზამში, ორმოცდაოთხი ზომა, და ერთ წყვილ სახლის ჩუსტებს, საპიბებია, ძალიან კარგი ხარისხის. სპორტული შარვლის ყიდვის შემთხვევაში, საჩუქრად მოჰყვება ორი წყვილი წინდა.



პასუხი

ვყიდი წიგნებს: ზიჩისეული „ვეფხისტყაოსანი“; დიდი ენციკლოპედიის სრული კრებული; მსოფლიო კლასიკა რუსულ ენაზე; ქართული მწერლობის ოცტომეული; გალაკტიონები — სქელი ყავისფერყდიანი და კიდევ ორი, თეთრი და შინდისფერი; ვაჟა; ილია; აკაკი; მურმან ლებანიძის ყველა კრებული, მათ შორის ერთი ავტოგრაფით; გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“; „დიდოსტატის მარჯვენა“ (ყდა აქვს მომძვრალი)... წიგნების ერთად შეძენის შემთხვევაში საჩუქრად მოჰყვება 3 ცალი ხის თაბაქა.

ვყიდი მეგობრებს: გიგას, ნოდის, ზურას... აღარც კი მახსოვს, რამდენი წელია, მოვედივართ ერთად, ერთი ფუთი მარილი კი გვაქვს ნაჭაში, მაგრამ არც ეგ ყოფილა საკმარისი. ბოლო დროს, თითქოს კარგად დასწავლილი გახდა ჩვენი მეგობრობა, კარგად ნავარჯიშები... რაღაც სინაღდე დააკლდა, რაღაც, რაც ყველაზე მთავარია ძმობაში.

ვყიდი დედას. ოთხმოცს არის მიტანებული, ადრე მეტრა და სამოცდახუთი იყო, ბოლო დროს საგრძნობლად დაჩიავდა. ინონის ორმოცდაათი კილოს. ხანდახან უჩივის წნევას, მაგრამ ჯერ ისევ ახალივით მუშაობს მისი სამეტყველო აპარატი. აქვს აკვიატებული ფრაზები: ეს ვინ მოათრიე? სად მიდიხარ? როდის დაბრუნდები? ისევ დალიე? ყველა შენ გატყუებს! გახდები ჩემი ხნის და ნახავ... აქვს რამდენიმე ხელი ტანსაცმელი, მათ შორის ერთი მთლად ახალი, საავადმყოფოსთვის ან უარესისთვის, აგერ უკვე ორმოცი წელია გადადებული. მოჰყვება ნაღველაში კენჭი, წნევის წამლები, ოქროს გალეული რკალი თითზე, ფიზიკის ცოდნა, მასწავლებლის დიდაქტიკური ტონი და გასაოცარი მწილელური.

ვყიდი ცოლს. გავაჩუქებ ცოლს. ლამაზია, თეთრი პირი-სახე, მოხდენილი სხეული, ზღვისფერი თვალები. ჭკუაც უჭრის და ენაც. ფლობს ორ უცხო ენას. ბრწყინვალედ ამზადებს ხაჭაპურს. შესწევს უნარი: დაგაკარგვინოთ ყველა ოცნება, ჩამოგადოთ ყველა კოშმელი, დაგიმსხვრიოთ ყველა წარმოდგენა საკუთარ თავზე, თავი არარაობად გაგრძნობინოთ. უფროსილდით, სამიშაი სიცოცხლისთვის.

ვაპირებდი შვილების გაყიდვას, მაგრამ მათ ასავალ-დასავალს დიდი ხანია, ვეღარ მივაკვლიე.

ვყიდი უმამობის სევდას; ასაკის მატებასთან ერთად მოსულ გამოცდილებას, რომელიც არაფერში მეხმარება და მხოლოდ ეჭვიანს მხდის, ყველასა და ყველაფერზე მიცვლის წარმოდგენას; ვყიდი ჩემს უძილო ღამეებს; ანეულ სიზმრებს; უბედურ ნაბახუსევ დილებს; ორ რვეულ ხელნაწერ ლექსებს; და ხსოვნას ქალზე, რომელიც ვერ იქნება და ვერასდროს მოვიშორე თავიდან...

სასწრაფოდ! ძალიან მეჩქარება. მინდა, ყველაფრისგან გავთავისუფლდე, ყველასა და ყველაფრისგან! და ერთი დღით, ერთი დღით მაინც აღარ ვიყო მანქანის მძღოლი, სახლის პატრონი, შვილი, მეზობელი, მეგობარი, მამა და ქმარი. ყველაფერი უნდა შემოვიძარცვო, იქნებ მერე მაინც გავიხსენო, ვინ ვიყავი, რა მინდოდა, ვცხოვრობდი რატომ...

დღილიდან წვიმს. გადაუღებლად წვიმს. ისეთი დღეა, სახლში რომ გინდა იყო, ფარდები გადასწიო, ცხელი ყავის ფინჯანი გქონდეს თითებში მოქცეული, პლედი მოხვეული, სულელურ ფილმს უყურებდე. გარეთ კი წვიმდეს, წვიმდეს ასე თავგამეტებით. საათს დაეყურებ. ისრებს თითქოს მთელი სამყაროს ტვირთი დაჰკიდეს, არ იძვრიან ადგილიდან, ვერ ერევიან საკუთარ თავს, რომ კიდევ ერთხელ შემოუარონ ამ გაზუბრებულ წრეს. მკვდარი დღეა. საქმე მაინც იყოს. როცა ბევრი საქმეა, დრო სწრაფად გადის. დღეს ერთი ადამიანიც არ გამოჩნდა, წვიმას თუ შეუშინდეს.

გულს ვერაფერს ვუდებ. ფილმი ჩაერთე, ათი წუთიც ვერ ვუყურე, წიგნი გადავშალე, ერთ გვერდს მთელი საათი ჩაყურებული და ვერაფერი გავიგე, ავდგები, მივალ ფანჯარასთან, აქაც არაფერია დასანახი, ბეტონის ურჩხულები, გალუმებული ბეტონის ურჩხულები მხოლოდ.

ოცდაათი წუთილა და გავალ. ნაადრევად ჩავიცი. ჩანთაც ხელში მიჭირავს. ისრები კიდევ თითქოს გაშეშობანას თამაშობენ, ერთ ადგილს არიან მიყინულნი.

გული მაქვს უცნაურად აჩქარებული. ეს ორი დღე ნორმალურად ვერ დავეღაპარაკე, ჯერ ისეთი დაღლილი იყო, ტანსაცმლიანსევე დაეძინა. გუშინ კიდევ ერთი წუთით მარტო არ დაგეტოვებს, ზარი არ გაჩერდა. ხომ უნდა იფიქრონ... მაგრამ იმათაც რა ქნან, უცხოც არავინ იყო, ყველას უნდა ნახვა, ყველას უნდოდა მოსწრება... გაჩერებამდე მივედი და ტაბლოს ავხედე. რვა წუთში მოვა ავტობუსი. მეტროსკენ დავუყვები გზას. აქედან მეტრომდე რვა წუთში ვერ ჩავალ, მაგრამ მაინც სიარული მიჩვევია, დგომას ვერ შევძლებ. ერთ ადგილზე დგომისა და ლოდინის ძალა აღარ შემწევს.

მეტროში რომ შევედი და ადამიანებმა ადგილი გამითავისუფლეს, მომერიდნენ, მაშინლა მივხვდი, ერთიანად სველი ვარ. სუნთქვა მიჭირს, ისე ჩქარა მივლია, გულიც აჩქარებული მაქვს. ოცი დღე რა არის, აგერ ორი დღე გავიდა უკვე. ვერც გავიგე, ისე გავიდა. თვრამეტი დღე გააზრებას ვერ მოვახსნებ, ისე გაივლის. თვრამეტი ღამე რას ეყოფა, იმდენი რამე მაქვს მოსაყოლი.

სამსახურიდან მალაზიამი გავივლი ხოლმე, არ მიყვარს ძველი საქმელი, ერთი დღისას ვყიდულობ. ხან ისე ვარ დაღლილი, გამზადება მეზარება და ლობიანს ან ხაჭაპურს გავიყოლებ, მაგრამ მერე კუჭი მიმძიმდება, მაინც ვცდილობ, რამე ბოსტნეული ავიყოლო. რვამდე სახლში ვარ. წყალს გადავივლებ და ვურეკავ. მაგ დროს ამთავრებს სამსახურს. სახლამდე ორმოცი წუთი მაინც სჭირდება. აბა, როგორ ჩაიარა დღე-მო, მკითხავს. ქუჩაშია და ხმა კარგად არ ისმის, ყურთან მაქვს ტელეფონი, თან მინდა, თან მელაპარაკება. მეც საქმელს ვამზადებ. თან ვეკითხები, რაღაცნაირად ვერ ვისწავლე თუ არ ვისწავლე, მაინც დედას უნდა ვკითხო, ახლა ხახვი? ჯერ კარტოფილი ჩავყარო თუ ჯერ ბრინჯი? მარილი წყალში თავიდანვე უნდა თუ ბოლოს? ნაბიჯ-ნაბიჯ მკარნახობს, თან მიდის, თან გზად გზათვის ამბებს მიყვება, რაღაცებს მეკი-

თხება ხელოსანზე, სახლის რემონტზე... თან მახსენებს, ხომ არ დაგეგნა სადილი, ამოურიე? სუნელი ბევრი არ მოგივიდეს, დაფნის ფოთოლი უხდება...

დედა ძალიან გემრიელად ამზადებს. დედამ ცარიელი წყალიც რომ მოხარშოს, მაინც სასწაული იქნება. სხვანაირი ხელი აქვს... დედა რომ წავიდა, ძალიან გავხდი, ისე გავხდი, ექიმთან მიმიყვანეს და ვიტამინები დამინიშნეს. ნერვიულობსო. ვერ ვჭამდი ბებიაჩემის გამზადებულ საქმელს. დედაჩემის კერძები მენატრებოდა. ყველაფერი უგემური იყო. დედაშენმა რა ვისგან ისწავლაო, მე არ ვასწავლე თუ რამე იცისო? სწყინდა ბებიაჩემს. შეიძლება, ასწავლა, რამდენი კბილი ნიორი უნდა ან რამდენი წუთი ხარშვა, მაგრამ დედაჩემი მაინც სხვანაირად ამზადებდა. თან რომ არაფერი ეზარებოდა. მთელ დღეს ქურასთან რომ მდგარიყო, დალღას არ შეიტყობდა. მაინც სიმღერ-სიმღერით ამზადებდა. სადილის სუნი ასდიოდა მის შენითლებულ თითებსაც. სახლისა და სიმყუდროვის სურნელი.

აქამდე ვერ ვგრძნობდი. ახლა ძალიან ვიგრძენი, რომ მომნატრებია. არ მახსოვდა, ასე თუ მაკლდა. როგორ ძლებო, ალბათ ძალიან ძნელიაო, კი-მეთქი, ვეტყვი ხოლმე, მაგრამ გულში ვიცი, რომ არაფერიც არაა ძნელი, შევეჩვიე, თან შორს კია, მაგრამ ყოველ საღამოს ვსაუბრობთ, თითქოს სულ ჩემთანაა. მაგრამ ახლა რომ ვიცი, სახლში მიცდის, რომ ვიცი, დაღლილი კიბეს რომ ავივლი, გაყინული ხელებით არ მოვძებნი გასაღებს, უზრალოდ დავგრეკავ ზარს და კარს შიგნიდან გამიღებენ. სახლი მაშინ გაქვს, როცა შენ ზარს რეკავ და ვილაკ კარს გიღებს, ახლა მივხვდი ამასაც. და კიდევ იმაზე ვფიქრობ, რა ცოტაა თვრამეტი საღამო. ამ თვრამეტ საღამოში ყველაფერი უნდა მოგვეყი, ყველაფერი უნდა ვუთხრა, არა, თურმე ასე ვერ ჰყვები შენ ამბებს, მას რომ ყურის ბიბილო უჩანს მხოლოდ და გზას მიიკვლევს, უცხო ხმები რომ გესმის, შენ რომ მეორე დღისთვის თან პერანგს აუთავებ და თან რაღაცას უყვები და მერე ის რომ გაჩერდება და შენთვის გაუგებარ ენაზე გამოელაპარაკება ვილაკას; შენ კიდევ გინყდება შენი ამბის მძივი და აღარ აგრძელებ და არც ის გეკითხება, მერე რა მოხდაო, რადგან აღარც ახსოვს რას უყვებოდი. ასეთ მოყოლილ ამბებს გულიდან ვერ ამოიღებ, ამიტომ თუა რომ ყველა ტკივილი მაინც შენთან რჩება, ყველა წყენა და ყველა სიხარული შენთანაა და დადიხარ დამძიმებული, დადიხარ და ველარ დაგაქვს ამდენი დარდი.

ისე მივედივარ, თითქოს საკუთარ სხეულს ვუსწრებ. თითქოს უკვე ასჯერ ავირბინე საფეხურები, დავრეკე ზარი და დედამ კარი გახილო. ნეტა რა მომზადა, რაც უნდა იყოს ყველაფერი კარგი იქნება. ვივახშმებთ ერთად. ერთ ბოთლ ღვინოს წავიყოლებ, არა, ღვინოს რატომ, შამპანური იყოს. მე და დედას არასოდეს დავგიღვევია ერთად — ახლა დავლევთ. ან როდის უნდა დავკელია? რომ წავიდა, ცამეტის ვიყავი. რა დროს ჩემი სასმელი იყო, არც ახლა ვსვამ, ძალიან იშვიათად, მაგრამ ჩვენ თორმეტი ახალი წელი გამოვტოვეთ, თორმეტი შესაძლებლობა, შამპანური დავკელია ერთად. ახლა დავლევთ! სადღესასწაულო განწყობას შექმნის შამპანური. ამაზე უკეთესი რა უნდა აღნიშნო ადამიანმა?

ლიფტს არ ვიძახებ, ფეხით ავალ. სანამ ეს ჩამოვა, მერე იქნებ უფრო ადრე გამოიძახა ვინმემ, ახლა სხვა სართულზე თუ ამიყვანა — იცის ხოლმე, გასეირნებს ასე ზევით-ქვევით. რა უნდა, მეზუთემდე ვერ ავსულვარ?! ორ-ორ საფეხურს ვბიჯებ. უცნაურ სიმსუბუქეს ვგრძნობ. თითქოს გული მაქვს აჩქარებული... ზარს ვრეკავ. რამდენი წელია, ზარი არ დამირეკავს სახლში. რამდენი და რვა წელია. რვა წლის წინ დაიღუპა ბებიაჩემი. ის რომ დაიღუპა, მაშინ დაყრუვდა სახლიც. ჩვენ სულ ვჩხუბობდით. რაღაცნაირად მას ვებრძოდი. თითქოს ის იყო დამნაშავე, დედა რომ წავიდა, თითქოს დამნაშავე იყო, ჩემზე რომ ზრუნავდა. ის დედა არ იყო. დედა არ იყო და მე არც მისი ზრუნვა მინდოდა, არც მისი მომზადებული სადილი, არც მასთან საუბარი. მერე წავიდა და სახლი დაყრუვდა. მარტო დავრჩი. მარტოობა ვერ ვისწავლე. სულ ველოდებოდი. მარტოობას თუ მიეჩვევი, ალბათ აღარ უნდა ელოდებოდე. მე კიდევ რამდენი ხანი ველოდებოდი და ოცი დღეო, რაღა ოცი, აგერ უკვე თვრამეტი დღე. აბა-ზანაში თუა-მეთქი. ისევ ვაჭერ ზარის ღი-

ლაკს თითს. ხმა აღარ მახსოვს, ნეტა ისევ თუ ისმის ფეხის ხმა, დედა მსუბუქი ნაბიჯით მოდიოდა ხოლმე, ყოველთვის გრძნობდა, მე რომ ვიდექი კარს მიღმა, შორიდანვე გამომელაპარაკებოდა. ბებიაჩემი ფლოსტების ფლატუნით მოდიოდა. კართან მოსული აუცილებლად იკითხავდა, ვინ არის. ნეტა ახლა როგორი ხმა აქვს-მეთქი დედას ფეხს. საკეტის ხმაც აღარ მახსოვს. ბავშვით მიხარია. სკოლიდან რომ სახლში მოვრბოდი ხოლმე ისე, ეზოდან რომ სახლში ამოვირბენდი ისე მიხარია, დავინყებულები სიხარულით მიხარია. გულში ეს შამპანური მაქვს ჩაკრული. ჩანთაში ჩადებაც დამავიწყდა. დედას აღარ აქვს მსუბუქი ნაბიჯი, ნერვიულად, ნაჩქარევად მიახლოვდება. გაჭირვებით ხსნის საკეტს, დავინყებია, როგორ იღება. ვახსენებ, დედა სახელური შენკენ და ცოტა მაღლა ასწიე-მეთქი.

— გასაღები დაგჩა? — ხმაში გალიზინება ეტყობა.

უსიამოვნოდ მცირის ტანში. არ ვიმჩნევ. არც მის შენიშვნას ვაქცევ ყურადღებას — სველი ფეხები არ შემოიტანო. შამპანურს საზეიმოდ ვდგამ მაგიდაზე. დედა ვერც ამ შამპანურს ამჩნევს, ისევ დივანზე ჯდება და დაპაუზებულ სერიალს რთავს. როგორ მშა — ვამბობ: რა ვჭამოთ? გაზქურისკენ ვიხედები. ქვაბი არ დგას, მე კიდევ დაუსრულებელი სადილის ოხმივარი მახსენდება. სახლში დაბრუნებისას, ყოველთვის ჩართული იყო ქურა, სადილი დულდა და დედა განაფული ხელით ჭრიდა მწვანის... სახლში კი ცხელი სადილის სურნელი იდგა. ოფისის სიმშვიდე და სისუფთავა ჩვენს საშარეულოში. ბოლო იმედს ვიტოვებ გულში, მაცივრისკენ ვაპარებ თვალს.

— ისე მომშვიდა, — ახლა ცოტა უფრო ხმამაღლა ვამბობ, დედას ყურადღების მიმართვა.


მართლა ძალიან მშა. შეიძლება იმიტომ, რომ მთელი დღეა, ამ ვახშამზე ვფიქრობ. ათასჯერ მაინც წარმოვიდგინე, როგორ დავსხდებით მაგიდასთან. დედას თავის ამოჩემებული ადგილი ჰქონდა — რაც წავიდა, ის ადგილი მე ამოვიჩემე. დღეს ისევ დედას დავუთმობ, მე მის პირდაპირ დავჯდები. იმ ახალ თეფშებს გამოვიღებ, შარშან დაბადების დღეზე რომ მაჩუქა ბიცოლაჩემმა, შამპანურის ჭიქებიც გვაქვს; მაღლა მაქვს, მაცივრის ზემოთ კარადაში შენახული, დედას ლამაზი ჭურჭელი უყვარს. დავსხდებით და აღარც კი მახსოვს, საიდან უნდა დავიწყო მოყოლა...

— მოვიმატე ცოტა ამ ბოლო დროს და ექვსის შემდეგ თავს ვიკავებ, ჭამე შენ, — ისე მეუბნება, რომ პლანშეტს თვალს არ ამოორებს.

— რა გვაქვს? — ძლივს ვყლაპავ ნერწყვს.

მაცივარი ცარიელია. დედა ახლავს სწევს თავს. ახლა მას აქვს შემცბარი მზერა.

— რა ვიცი, დედიკო, ისე მაქვს ხელი მიჩვეული ერთი ადამიანის სამყოფ სადილზე, გამოვითიმე სულ, მომიზადე რამე...





გაზაფხული

არაფერი განსაკუთრებული,
თუ ეს გაზაფხული,
სხვათა მსგავსად, უშენოდ ჩაივლის.
თუმცა,
არსებობს გამოსავალიც:
ჩვენ უნდა შევიყვაროთ კვირის
ყველაზე უღიმღამო დღეები
და უდღეური ღამეებიც.
ჩვენ უნდა შევიყვაროთ ერთმანეთის
ახლადგალვიძებული სახეები.
მოუნესრიგებელი.
ბუნებრივი.
ჩვენ უნდა დავივიწყოთ წარსული,
რადგან იქ
ერთად არ ვართ.
ვიფიქროთ აწმყოზე,
სადაც შეგვიძლია, ერთად ვიყოთ
და
გადავდოთ ფიქრი მომავალზე,
სადაც ერთიმეორეს დავიტირებთ.
ჩვენ უნდა დავივიწყოთ,
რომ პოეტები ვართ,
რადგან პოეზია
ცალმხრივ სიყვარულს უხდება მეტად.
ერთად ყოფნა უფრო პროზაა,
ვიდრე პოეზია.
შეგვიძლია, მოვიშინაუროთ თუთიყუშიც
და მას ვასწავლოთ საუბარი,
რომ ზოგჯერ
უხერხული სიჩუმე დაარღვიოს,
რომელიც ჩამოწვება ჩვენს პროზაულ
თანაცხოვრებაში.
ჩვენ შეგვიძლია, ეს გაზაფხული პოეზიად ვაქციოთ.
მერე კი
მივეცეთ პროზას ისე,
თითქოს არასდროს ცყოფილვართ პოეტები...

ხალდე

აპრილის ნდობა არ იქნებაო! —
წამოცდათ მერცხლებს
და მეც თვალებზე მოვისვი ვერცხლი,
რომ ამერეკლა არაქნეები.
ახლა კიდურთა დათვლას ვუნდები,
რომ გამოვხშირო აბლაბუდები...
რა ვქნა, სიზმარშიც ვერ მყავს მონილე,
იქაც არ ვაძლევ სალამს გარეწრებს
და ვუზიარებ მაისს სარეცელს —
ენკენისთვემდე. მერე ქორწილი...
ჩვენი ქორწილი იქნება ამ წელს,
ლალხორის თავზე ვარსკვლავებს გავცრი.
სანამ მთელ ზეცას ჩაგიფერფლავდე
შუშის მუცელში — ქვიშის საათო,
დრო არ დაგვრჩება სამასლაათოდ,
შეუერთდება ტიგროსს ევფრატი.
და სანამ წასვლის ქარი დაბერავს,
უვარსკვლავებო ვნახოთ დავბერიც.

აპრილი

აპრილი სიზმართა წარწარი რხევაა.
წასული ზამთარიც არ გამოვიგლოვე,
რადგანაც წაგართვა ფერი და სიგლუვე
და ახლა ეგ ტანი დაშლილი იგლუა,
თოვლიან გუმბათით, ყინულის მხევალო.

მოცილდა პირველი ვარსკვლავი ოტარიდს,
უმიწოდ, უწყლოოდ, უქაროდ, უალოდ,
დრო არის, მოიხსნას ზუალმაც ვუალი,
მიდგე და ხალები დილამდე უთვალო,
მოგქონდეს ალიბად სინდრომი კოტარდის.
გამშრალი თვალებით დაზვერო მლაშობი,
არ მისცე გაფრენის მიზეზი იშხვარებს,
გახსოვდეს გოგონა, ბაღში რომ გიყვარდა,
გახსოვდეს ჯეროვნად, გახსოვდეს იმგვარად,
რომ შენი სიბერეც მოიქცეს ბავშვობად.

მამა

კაცმა რომ თქვას, ისეთი არაფერი.
მაღე გაზაფხული ბოლომდე გაიტანს თავისას.
ააფეთქებს ყველაფერს ერთიანად.
ყველაზე უგულო კაცსაც კი
დააფიქრებს ბუნების სიდიადეზე.

მერე კი,
მერე
ზაფხულის ტრიადა:
იენისი.
ივლისი.
აგვისტო.
საშინლად ვწუხვარ,
არ მინდა, ზაფხული მოვიდეს.
მე წინასწარმეტყველი ვარ.
საიდან დამყვა ეს ნიჭი, ალარც მახსოვს.
ნიჭი კი არა, წყევლა.
სასჯელი. თავსატეხი. გამოცანა. ტვირთი.
პასუხისმგებლობა.

შიში. განსაცდელი. თავისტკივილი.
საშინლად არ მინდა ზაფხულის მოსვლა,
რადგან აგვისტოში დავკარგავ მამას.
შესაძლოა, სექტემბერშიც დავკარგო,
მაგრამ აგვისტოდან ველარ ვნახავ მას ისე,
როგორც ვხედავდი, უმიზეზოდ,
უსაფუძვლოდ.
დაინყება გაუთავებელი წანწალი
საავადმყოფოდან საავადმყოფოში.
წასვლამდე მამა გაიგებს, რომ სტუდენტი გავხდი
და ჩემგან შესაძლოა დიპლომატი გამოვიდეს.
არადა,
მთელი ცხოვრება ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი.
მამასავით დიდი ქორეოგრაფი ვერ ვიქნები.
გროსმაისტერი.
ბოლოს,
სულ ბოლოს პოეზიას შევრჩები.
აი, დადგა საძულველი ზაფხულიც.
მამა სულ ავადაა.
ფილტვებში წყალი ჩაუდგა.
ამ ყველაფერს დიაბეტიც ერთვის.
ლმერთო, გთხოვ,
დიდხანს არ ინვალოს მამამ.
მთელი ზაფხული
საავადმყოფოდან საავადმყოფოში

აბარგება.
ბოლოს,
წერეთლის გამზირზე,
ვეტერანთა საავადმყოფოში ველარ მიცნობს,
აგონიაში მყოფი.
—
დიაგნოზი: ურემიული კომა.
ვიღებ გარდაცვალების მოწმობას
იუსტიციის სახლში.
რამდენიმე დღეში 18 წლის გავხდები.
იქიდან ერთ კვირაში სწავლა დამეწყება.

ბაბუანწიკაბი

სხვა ზავერდი აქვს უძილო ხმას,
ხრინწი და ხაო.
ვდგავარ თან კოცონთან.
ადრე ვერლიბრი უფრო მომწონდა,
აპრილის ცაო,
შეგიფერადლა მზისაგან ლოყა.
ჩვენ მერამდენე სიზმარი ვზვერეთ,
ტაძრის დალუქულ კარებსაც ვაღებთ,
შეხედე თმათეთრ ბაბუანწეერებს,
ჰგვანან მიწიდან ამოზრდილ ჭაღებს
და ჰყოფნით სულის ერთი შებერვა,
რომ გაგვიფრინდნენ ბახალებივით,
არც გვეცოტავოს და არც გვებევროს,
არც ერთმანეთი გავანებვივროთ:
კოცნით. ალერსით. მზარზე შეხებით,
ბალახებს მაინც შემოვრჩეთ თრთვილად,
წავალთ და ხშირად ველარ შევხვდებით,
ველარც ერთურთის სიზმრებში მივალთ...

მესიჯი

შუადღის ორისკენ „დილა მშვიდობისას“
ახსნა თუ არა აქვს, მე მაინც მოვძებნი,
რომ ამ დროისათვის ზედმეტად მონმენდილ
ზეცას აპრილის მზე იმგვარად მოიცავს,

მე გეტყვი: დილაა პირველი მესიჯი,
ჩემთან რომ აგზავნი. გამოვტყდე? ასე ჯერ
არავის ვეტრფოდი. არავინ მიყვარდა.
არავინ მინდოდა მეხილა მეწყვილედ
და კოცნის სურვილი მომადგა წერწყვივით:
თვალებზე, ტუჩებზე,

შუბლზე და ყვრიმალთან.
ამბორის ლაქები დაგაჩნდეს თითებზე.
მერე კი, თუ გინდა, რინაზეც ვითევზოთ.
სხვა თუ არაფერი, დავიჭერთ ქორჭილას,
ქორჭილას თუ არა, როგორმე ერთმანეთს...
არ გვინდა ზედმეტი ხმაური, ღმერთმანი,
ჯვრისწერა ვიმყოფოთ. პატარა ქორწილიც.
ბიჭი თუ გვეყოლა, დავარქვათ ბართლომე,
გოგონას მართა და ღიმილთ გვართობდეს.

პოკაჰონტას

ძვირფასზე ძვირფასო, პოკაჰონტას,
ყოფნიდან არყოფნაში გადასვლამდე
კითხვები უნდა გადასანსლო
და ჩემი სახე მოგაგონდეს.
თვალები ზეთისხილები მაქვს,
წვიმა კი ზეცის მხილებაა.
გულიც იმდაგვარად შუატოკე,
თითქოს უეგერო ვერხვნარია,
უშენოდ როგორ იხმაუროს,
ძვირფასზე ძვირფასო, მატოაკა?
თითები — ვენახის ჭიგოები,
შავი თმის ხვეულებს იგონებენ.
გზა არის. მატოაკა — რებეკამდე.
გზა არის, ძვირფასო, პოკაჰონტას,
რომ ცარიელი კოკა გქონდეს,
გივსებდე. ცრემლით თვალს ვიბანდე.
და სანამ აივსო კოკის პირი,
ნურაფერს მეტყვი. მომისმინე.

ესმერალდა

ძვირფასზე ძვირფასო, ესმერალდა,
ეგ შენი ტუჩების აზიმუტი,
უნდა შევისწავლო — კვაზიმოდომ,
სანამ სიმღერა მესმა ქართა.
მაისის პირია. ვარდობისთვის
ქარებიც ნებსით ჩადგებიან,
მისტრალებს ჰგვანან, ჩადრებიანს,
მე კი, რა ხანია, ვატყობ, ისევ:
მზერა მაგ მხრებისკენ მეპარება,
საფერებლად რომ მინდებიან
და შენს ლოდინში მიდნებიან
წყვილად დანთებული კელაპტრები...

8

დაუსრულებელ ლექსებს მაგონებ,
იცოდე, მათშიც რალაც ხიბლია,
მიამიტები მიამატებენ...
სამხრეთ ფლორიდა — სამაკაგონე,
სავსეა წითელ-ყვითელ ნიბლით,
იაკინთების ია-ვარდებით.
არადა, სულიც მიავადდება.
შუადღისაკენ მზე პირს იბანდა.
ჯერ სირიასთან, მერე ლიბანთან.
გამოიტყუა ბოლოს ხეხილიც.
მე ვთქვი: ტაძარი იქ თუ ღიაა,
მაშინ კვირადღის ლიტურგიაა,
იქნება ღმერთი სადმე ვიხილო.
არადა, სულშიც არის ნიჰილი.
ნუ განმიკითხავს ქვეყნად ნურავინ,
მე ვარ ურარტუს მშვიდი მცურავი,
თან ვარ უშხამო და უწყინარი.
ჩემი შიში კი სუნით იცნობა,
არ დაგჭირდება ბევრი მისნობა,
რომ, უპირველეს და უწინარეს,
ჯერ ყველაფერი ისევ წინ არის!

სოროლია

— მარტო ხარ?
— ძალიან!
გამეცინა და ლექსი ვუთხარი:

ჯანდაბას ყველა დანაყბედი,
ყური არ ათხოვო ხოროლიას,
ბელურებს ყურძნით ვანაყრებდი,
მიჯავრდებოდნენ ტოროლები.
მინას ბალახი დავახურე,
მწვანემ მოიცვა ბარისახო,
ხმა არ გავეცი მაძახურას,
მერე ალარც შენ დამიძახე.
რა ვქნა, მარტოობა დავიჩიეი,
ისეთი მჟავეა, მოცხარო,
ვით შენი თვალების დარიჩინი
და შენი ტუჩების მოცხარი.

ჰოდა, მარტო ვარ, ძალიანაც,
გზებით დაგიდივარ, მრუდეთი,
ყელი მონიე, ხალიანი,
ჭორფლებიანი გულ-მკერდი.
იებით ამივსე სარეცელი,
შენს სუნზე ყნოსვით დაგეშის,
წამოდი, დღის შუქს გავეცალოთ,
მზე კი გადავცვალოთ მთვარეში.
ყური არ ათხოვო ხოროლიას,
ჯანდაბას ყველა დანაყბედი,
მიჯავრდებიან ტოროლები,
ბელურებს ყურძნით ვანაყრებდი.

უპანიშადები

არაფერია ამ ცრემლივით სუფთა და მლაშე,
მოდი, შეგასვა თვალებიდან მღვრიე შარბათი,
წყალმა წაილოს ყველაფერი: მესსა. აბატი.
გადავწვავ ლექსებს, უკანასკნელ უპანიშადებს,
უკეთესია, ვიდრე ედოს მტვერი არქივის,
უკეთესია, დამიჯერე, ბევრად მარტივი...
გადავინახოთ კანაფი და ვერცხლის სათითე,
თეთრი ქვრივები მოყვებიან სიზმრებს, ულურჯესს,
მივესალმებით უშნო ქარონს და მეთულუხჩეს,
ისე სათუთად,
რომ არაფერში დაგვჭირდება მომცრო მონეტა,
მაინც გაგვიყვანს სტიქსზე კოჭლი მარიონეტი.
ნავზე ასვლამდე გადააგდე ბნელში ავლონი,
აკი გითხარი, გადავცურავთ ერთხელ უფასოდ,
ნუ გეშინია, თავად ვეტყვი, თავად, უფალს რომ:
ჩვენ, საბრალონი,
მაინც ვერაფრით შევეგუეთ უბრალოებას,
ბოლოს სიგლუვეც გამოვტყუეთ უბრ ალოეებს!

მზის მოზაიკა

ხანდახან საჭიროა, მუხლამდე მოიკუზო,
მეტიც, ისე მოხდეს, გასწორდე მიწასთან,
დაეცე!
ყვითელი კენჭებით მზის მცირე მოზაიკა
ველთან შეახამო — მენამულ მიხაკთა,
მდორე ცით.
ნუგეში — პირველი ვლინება მორალის,
მიეცი მკვლელსაც კი, საკუთარ თავზევე,
ინანოს!
მუხლებზე დამხობის დახატე მურალი,
თქმულა: ვინც დაემხო, იგივე აღზევდეს,
გვიანაც.
ზოგს ცოტა ღმერთი უნდა შეაწიო,
ზოგსაც თავისით, ღმერთი შეენევა,
ჰაერიდან.
არც თუთიყუშებთან იარწივო,
ნურც ლერწამთ შორის დაირწევი,
განერიდე!

ბრასი

ივლისი შიშველ სოფი მარსოს ჰგავს,
ნეტავ, აგვისტომდე ასე ივლიდე,
სელევეკიიდან ტარსოსამდე,
ჩემო ივლიტა!
მზემაც ვერ დაგასწროს მოსალმება,
იყავ სამი ღამის უძილო,
გახსოვდეს, მეორე მგოსანი ხარ,
პირველს საფეთქლები უზილე!
ჯამში: ყველაფერი აბსურდია,
თუ არ გადაგივლის სიბრაზე,
ველარც ნაპირამდე გაცურდები
ბრასის უნებლიე სკაბრეზით.
მე კი, აგიჩემე
და
ამეთვისე
ამ ერთ თვეში,
ჩემო ამეთვისტო!

პირვანდელი

რალად მინდა პირანდელი, რას მიშველის პავეზე?
სიყვარულო პირვანდელი, ვისთან აღარ დაგეძებ!
ფფიქრობ, როდის დამეკარგე, რატომ ველარ გიპოვე,
უსასრულო ღამის ქარგა, ვარსკვლავთა სიმჭიდროვე,
გეძებ, გეძებ, მთვარის შუქზე, მცირე შუკაც თუ არი,
საკუთარ ჩრდილს ისე ვუმზერ, თითქოს შევსვი კურარე,
გზები გზნებით იგრიხება, ერკემალის რქასავით,
იქსებით და იგრეკებით ბლომად მასვეს სამსალაც,
ვგავარ გამოფიტულ აქატს, უვინროეს ჟეოდიდან,
გეძებ იქაც, გეძებ აქაც, ყველა ჩიხში შემოვდივარ,
შევისწავლე: სახლები, თან, მათი უშნო ანტენები,
მალაკნების დახლებიდან ღამეებს რომ ათენებენ,
ღამეებს რომ ათენებენ — დახლებიდან მალაკნების,
ჩრდილიც არ გამითეთრდება
მთვარის მყიფე მალაყებით,
რალად მინდა პავეზე ან რას მიშველის პირანდელი?
აი, ჩემი პოეზია — სიყვარულო, პირვანდელი!



შორენა ფხაკაძე

ჰო, ხდება თურმე, როდესაც
ერთმანეთს ემთხვევა
ორი ადამიანის ემოცია და
ემთხვევა ისე, რომ
თვეებს ჰყოფნის...

ჰო, გამოვა თურმე ისე, რომ
მზერა იყოს ხალისიანი
და აღარ სევდიანი...
ყველაზე ღამაზი კაბა
ჩაიცვა სხვისთვის
და აღარ „მისთვის“...

ჰო, სასწაულია, რომ
სწორედ იქ ჩაივლი
იმ დროს,
როცა საჭიროა
და
შენდა უნებურად
წამოგცდება:

— მოხვედი.

წამოდი ჩემს სიზმრებში...
იქ დიდი სივრცეა,
ბევრ სხვადასხვა სცენარს გვთავაზობს
სამყაროს ყველაზე დიდი სცენარისტი...
წამოდი და იქნებ დილით
აღარ შემანუხონ სიზმრებიდან გამოყოლილმა
შიშებმა...
წამოდი, რადგან თუ იქ
ერთხელ მაინც მოხვდები,
მე გაძლევ გარანტიას, რომ
ჩემი სიზმრების
მუდმივ სტუმრად გადაიქცევი.

წამოდი ჩემს სიზმრებში.
იქ შენთვის სამყოფი ჰაერია.
წამოდი, გთხოვ,
იქნებ მერე
სხვისთვის აღარ დარჩეს ადგილი.

ყველაზე რთულია მოლოდინი...
მოლოდინი მოსახდენის,
გარდაუვალის...
რთულია, რადგან არავინ იცის,
რამდენ ხანს გასტანს...
აღბათ მერე გაცილებით იოლია,
როდესაც
გლოვის მდგომარეობაში გადადიხარ...
როცა იცი, რომ
ოდესმე გამოიგლოვებ
შენი ცხოვრებიდან წასულ იმ ადამიანს,
რომელსაც მთელი ძალით ებლაუჭებოდი...
და ახლა, როცა მე ვზივარ და ვიცი,
დღეს ისეთი დღეა,
შეიძლება სამუდამოდ წახვიდე,
იცი, მგონი,
მირჩენია კიდევ,
მალე წახვიდე...

მერე დავჯდები,
ლექსებს დავწერ,
მოგინატრებ,
საყვარელ სერიალს ჩავუჯდები და
დროც გაივლის, რომელიც
შენს წასვლას და კიდევ ერთხელ,
ოღონდ ამჯერად
სამუდამოდ, დაკარგვას
გადამატანინებს.

რაო, რას ყივისო მამალიო?
— პეტრემ უარ-ყოო!
— თანაც სამჯერო!
— და მერე ვინო?!
და შენ, ჩემო თავო,
დღევანდელი გაგკვირვებია?!
არაფერია, განა პირველია,
მაგრამ თუ ძალიან მოინდომებ,
იქნება უკანასკნელი.
შენ ხომ გჩვევია
ტკივილის ძალად გადაქცევა
და ხომ იცი, რომ
საბოლოოდ
ტკივილი უკან იხევს
ძალის,
ნებისყოფის,
შრომისმოყვარეობის წინაშე.
მერე რა...
ოცდაერთი საუკუნეა, ყივიან მამლები, რომ
„პეტრემ უარ-ყოოოოო!!!“
დღევანდელიც მიემატოს.
არა უშავს...

როდესაც გულს გტკენენ
სიტყვით, რომელიც
შეიძლებოდა, არ ეთქვათ...
ფრაზით, რომლის წარმოთქმის ვალდებულებაც
არ არსებობდა...
წინადადებით, რომელიც გჭრის,
რაზე უნდა დაფიქრდე?
აღბათ იმაზე, რომ
დაუფიქრებლად გააკეთა...
თუ პირიქით, გამიზნულად
გაისროლა?

უნდა დაფიქრდე, ამ სიტყვების შემდეგ
როგორ გააგრძელო ურთიერთობა ისე,
თითქოს ეს სიტყვები არც ყოფილა?

ან იქნებ, არ უნდა გააგრძელო?
ადგე, წახვიდე და აღარ დაბრუნდე იქ,
სადაც არაფრად უღირთ,
რომ გატკინეს...

საქმე იმაშია, ჩემო კარგო, რომ
შენ, უბრალოდ,
დააყოვნე წასვლა,
თორემ მშვენივრად იცი, რომ
დიდი ხნის წინ
უნდა წასულიყავი...
არ წახვედი.
ჰოდა, იჯექი ახლა
და იფიქრე, როგორ დაიმშვიდო თავი...

ამიტომაც, დააჩქარეთ წასვლა, თუ გრძნობთ,
რომ წასასვლელები ხართ.

მერე რა, რომ ხარ ღამაზი,
წარმატებული და ნიჭიერი,
თურმე შეიძლება,
ერთ დღეს მოვიდეს ადამიანი
და სიყვარულის სახელით
(რაც ყველაზე ამაზრზენია)
გამოგჭრას ყელი...
ამასაც არ დასჯერდეს
და მთელი გამეტებით
დაგიმახინჯოს სახე,
რადგან გადანყვიტა, რომ
თუ მისი არ იქნები,
არავისი იქნები და ამასაც
სიყვარულის სახელით გააკეთებს...
მაგრამ შენ მოახერხებ
და შენი სიკვდილი
არ იქნება ფემიციდის სტატისტიკის
ჩანაწერი მხოლოდ...
წასვლითაც კი დაამსხვრევ სტერეოტიპებს,
რომელთაც მთელი ცხოვრება ამსხვრევდი...

„სიყვარულის სახელით“...
როგორი ირონიულია ხანდახან ცხოვრება...

აჩი, კუდა

არბ ჰქონდათ ჩემგან საშველი და მოსვენება, ხან ერთს ავეტორლიალებოდი ზურგზე შემოსასკუბებლად, ხან — მეორეს, ხან — მესამეს, ვისაც კი ტახტზე ან სკამზე ჩამომჯდარს დავიგულებდი.

გეყოფაო, ხომ მოგიკიდეთ და გაქანავეთ, დაყენდიო!

მე არ ვიცოდი, მეყოფოდა თუ არა?

მაინც არ მოვეშვებოდი და, რა ექნათ, მორიგეობით ოლა, მამაჩემი, ბიძაჩემები მომიგდებდნენ გუდურასავით, ხელს უკან ამომიდებდნენ, ზურგიდან რომ არ ჩაცუტურებულიყავი, და, წავიდა... მაქანავებდნენ წინ და უკან.

— აჩუ, კუდა! ერბო-ქილა! შენცა ჭამე, მეც მაჭამე, ამ ქვეშაფსიასაც შეუნახე!.. ჰო, კარგი, დავილაღე, მიდი ახლა ბაბოსთან.

გადავებლოტებოდი ბუბიაჩემის ზურგზე და ახლა ის დაინწყებდა:

— აჩუ, კუდა, ერბო-ქილა, შენცა ჭამე...

ირწეოდა ისიც და ვუსმენდი კისერთან მიხუტებული, გალურსული და საძილედ თვალებმინაბული დადაბლებულ ხმას, თანდათან შორიდან რომ ჩამესმოდა.

— არ დაიძინო, თორემ მთელი ერბო მე და კუდას დავგრჩება, მერე რომ იცოდე, რა გემრიელიაო!

დავაჭყეტდი თვალებს, ხახამშრალი არ დავრჩე-მეთქი.

ქანაობა-ქანაობაში მაინც დამძალავდა ძილის სურვილი, მოეშვებოდნენ ყელზე შემოხვეული, ერთმანეთში ჩახლართული თითები, ვერც გავიგებდი, ისე ჩამომაბრძანებდნენ ზურგიდან, გამხდიდნენ და ბალიშს ჩახუტებულმა, რალა ვიცოდი, ვინ მიირთმევდა ჩემ წილ ერბო-ქილას...

ყველა-ყველა, მაგრამ მამაჩემი მაინც განსაკუთრებული, დამახასიათებელი, მომფერებელი გამოთქმით და ინტონაციით დაინწყებდა ხოლმე, „აჩუს“ ნაცვლად:

— აჩი, კუდა!.. ერბო-ქილა!..

თითქოს კუდა ცხენს, მეც და სიტყვებსაც ერთნაირად გვესიყვარულებოდა.

კუდა-ცხენი რომ ერბოს ჭამდეს, არც მინახავს და არცა მსმენია (თუ გაასინჯებდნენ, იქნებ მოსწონებოდა კიდეც, მაგრამ მითუმეტეს, იმ დროს, ერბოს საცხენედ ვინ გახდიდა!), აი, მე კი, ჰურზე თხლად რომ გადაუსვამდნენ და სამი თითით შაქრის ფხენილს მოაფრქვევდნენ, სიამოვნებით გეახლებოდით ხოლმე.

ჰოდა, ძილის გამო ჩემი წილი ერბო როგორი დასათმობი იყო!

— აჩი, კუდა... — მოგვიანებით მამაჩემი ახლა ჩემს უმცროს და-ძმებს, მერე შვილიშვილებს მოიკიდებდა ზურგზე და დაღლამდე აქანავებდა...

ერთხელ შვილები მეუბნებიან:

— პაპამ გვითხრა, აი, დედათქვენი როა დავითიშვილ-ბაგრატიონი, ერთი ბაბოდან დიდებულიძე, მეორედან ბერძენთა თავადი — ლონგინიდი... არც ჩვენი მოდგმისანი ვართ ნაკლები ბიჭები, კარის აზნაურები ვიყავითო და მართალიაო?

გამეცინა, თუ პაპამ ვითხრათ, ეგრე იქნება, ტყუილს როგორ იკადრებდა-მეთქი.

არა, მართლა, მართლაო? — არ დააკმაყოფილა ჩემმა ორჭოფულმა პასუხმა.

მე თუ მამაჩემს ცხენის ერბოსადმი „სიყვარულს“ ვუჯერებდი, ესენი რატომ „არევიზიებენ“ მის ნათქვამს-მეთქი, „გავბრაზდი“ და ჩემ წილად დავუშტე:

— ჯერ ერთი, ტყუილიც რომ იყოს, პაპას მაინც უნდა დავუჯეროთ და, მეორეც, როგორც მსმენია და ვიცი, დიდებულთა თავყრილობებზე, ტახტთან, ყველა აზნაურზე დანინაურებული, ერთი ნაბიჯით წინაც კი ვიდექით-მეთქი!

მამაჩემი გვიყურებდა, გვისმენდა და, თავისებურად, პირზე აფარებულ ხელისგულს ჩაჰლიმოდა...

ერთხელ, ფეხშეხვეული, სიბერით გამსუბუქებული, ზურგზე მოკიდებული, საწოლიდან საწოლზე უნდა გადაემყვანა.

ნიკაპთან ამოდო მჯავა და იაპონური ტანკა თუ ჰაიკუ გამახსენდა:

„ერთხელ ხუმრობით დედაჩემი შევისკვი ზურგზე...“

ესეც ისეთი მძიმე და მსუბუქი იყო — ყელში რალაც გამეჩხირა.

თავი და მამაჩემიც რომ გამემხნევენინა, მისეული ხმითა და ინტონაციით ჩავიბუტბუტე:

— აჩი, კუდა, ერბო-ქილა... შენცა ჭამე, მეც მაჭამე, კარის აზნაურსაც შეუნახე!

ეეჰ, ნეტავი მაშინ:



ვანო ჩხიკვაძე

არაო, ეგრე ნუ გვიყურებთო, ნაკლები ბიჭები არც ჩვენა ვართო, ასე უთქვამს ბავშვებისათვის!..

— აჩი, კუდა!..

ისევ ხმაბი

იმ ხმაებს, მცხეთას გამოცდენილი ლი-ანდაგზე ჰამაკივით მოქანავე მატარებლის საერთო ვაგონი რომ არწევდა, ახლაც თბილ შხაპქვეშ მოყოლილივით თვალმოჭული ვუსმენ.

ჩემ წინ შუახანს მიღწეული ან ცოტათი გადაცილებული კაცები ისხდნენ.

ხელებზე ეტყობოდათ, ქალაქის ასფალტს რომ არ ტკეპნიდნენ.

ალალად, წყნარად, მართლა საქმიანად საქმეზე მსჯელობდნენ, შიგადაშიგ შეკამათებოდნენ კიდევაც, ზენა-თესვაზე თუ ხეხილის გადანიდნვა, დამცნობა, კალმის ამოლება-დაფესვიანებაზე, მაგრამ გასარკვევს გაარკვევდნენ, მოიყვანდნენ თავისი გამოცდილების მაგალითებს და, ერთმანეთს დაეთანხმებოდნენ, ეგ კარგი მითხარი, ამის შემდეგ მეცოდინება და მეც ეგრე მოვიტყევიო.

არც პოლიტიკა, არც პარტიები, არც მათი მომრავლებული, გამორჩენის მომლოდინე მიმდევრები უხსენებიათ, აკი ვთქვი, კაცები კარზე მომდგარ გაზაფხულზე, ვაზის გადანიდვის დროულობაზე, ხეხილის გასხვლაზე, ნახნავის სასუქით სიღარიბეზე და, რა ვიცი, კიდევ რაზე აღარ მსჯელობდნენ!..

ღირს ნერგებზე და იმათ გასხვლაზე ამდენი საუბარი?

ღირს და ძალიანაც ღირს!

ოთხმოცდაათიანის უმძიმეს წლებში, სულისშემზუთავ გარემოში, ლამის სამუდამოდ რომ დავგიღამეს, ადრეული გაზაფხულის ცივ და უჟმურ დღეს, როცა მოწყვნილობისაგან, სული ჩიტვიით აწყდებოდა სხეულის კედლებს, საწოლიდან ძლივს ავნიე თავი. გავედი ქალაქში, ვიარე, ვიარე და, ჩემდა უნებურად, ბაზართან მოვხვდი.

ვაჭარ-მოვაჭრეების გნისით ახმაურებული, ალაფული შესასვლელის მარცხნივ, ბორდიურის გეყოფებზე, მდინარის ნაპირის დამცავ კედელთან კაცი და პატარა, ყურებიანი ქუდით ბიჭი დავინახე.

კაცი დიდხელეა, მაჯებთან დამოკლებული ბუშლატით.

ბიჭი, როგორც ვთქვი, წარბებამდე ჩამოფხატული ქუდითა და გაცრეცილი ქურთუკით.

რატომ ესევიან, ნეტავ ასეთს რას ჰყიდის ეს პატიოსანი ხალხი-მეთქი, დავინტერესდი და თითქოს ჩაიმსხვრა ჩახურული ფანჯრები, განათობა დანესტიანებული კუთხე-კუნჭულები:

მამა-შვილს დაკონილი ხეხილის ნერგი ჩამოეტანათ. კონები კედელზე აეყუდებიანათ. შეძენის მსურველებიც იქვე ტრიალებდნენ, ფასს კითხულობდნენ და სასურველი ჯიშის ნერგებს ირჩევდნენ.

ხო პატარა, ნამცეცა ბიჭი იყო, ისიც ყოჩაღობდა, ეხმარებოდა უფროსებს, მყიდველებს დიდი კაცივით ანამუსებდა, იქაურები ვართ, თუ ნამყენი ატამი არ გამოდგება, ამოდით და შეგვარცხვინეთო.

მამას ელიმებოდა შვილის ქადილზე, თან თავის კანტურით თავადაც ეთანხმებოდა.

მათი ფუსფუსი ახალისებდა იმ პირქუშ დღეს და რალაცნაირ იმედს აღვივებდნენ ახალამოყრილი, სხვადასხვა ნაკვეთების-კენ სამოგზაუროდ გამზადებული, დაფესვიანებული ნერგებიც.

ცოტა ჰყოფნის ადამიანს:

გადაკრიალდა გუნება.

რომ მეგონა, იმედის „ჭერი“ ჩამოიქცა, თურმე არა, ამ გაუსაძლის, პოლიტიკურ ყიამეთში, უბედობასა და გაუცხოებაში, იყვნენ ადამიანები, ვინც მომავალზე ფიქრობდნენ, არ გაძლევდნენ უფლებას, ხელი ჩაგექნია და მალე გაზაფხულზე გახარებულ ნერგებს სანთლებივით აუწთებდნენ სამშობლოს.

აპვისტოს მჯანსუფირაბი

ოცდათერთმეტი აპვისტო — ბავშვობიდან მოყოლებული მეკრძო ბარტყივით შეიფრთხილებს ხოლმე მივინყებუი გულის ჩქროლვა — აქამდე მგონია, რომ ხვალ სკოლაში უნდა წავიდე.

ღია ფანჯრიდან შემოპარული ნიავნანალა სახეზე სულს მიბერავს და ფოთლიდან ფოთოლზე დაცემული დილის ცვარნამი მალვიძებს:

გატყდა ღამის სიჩუმე — დაიძახებს ყუნში თავისით მოწყვეტილი ვაშლი.

დაღმა კისრისტეხით დაქანებული ტოტებშორის გაძვრება, ფოთლებს შეაშრი-ალებს და ბალახს კალთაში ჩაუგორდება...

გამეფდება ისევ სიჩუმე — დილა თავისი მშვენიერებით ტკბება...

თვალმოხუჭულიც ვხედავ მოვლილ, დამარმარებულ ეზოს. ორსართულიანი სახლის ზურგის კედელს ჩრდილოეთიდან მომდგარ ბაღში ჩამწკრივებულ სარებს, „პატრონტაშივით“ შემოუკრავთ „ტანზე“ ქორფა ლობიოს მარცვლებით დატენილი „ჰილზები“, ქურჩი ნახმობია სიმაგრეში ნასულ სიმინდის ტაროს და ერთ ღამეში მოჩიტული, ბუსუსიანი, სურნელოვანი კიტრი ფოთლებში ლამის თავის თავსაც დაემალოს.

ლობიდან გაბარჯული შავი მარცვლებით დანინწკლული მაცვალი გეძახის — მიხვალ და თან კტენს თითებზე, თან გებლაუჭება, არ გიშვებს, სახელოზე ჩაბლაუჭებული მოგდექს, ჩამწიფებულ ნაყოფს მუჭში ჩაგიგდებს და ჩხვლეტის სიმწარეს გავინყებს.

როდესაც მე და ვაჟა კარტოფილს ვიღებთ ან სხვა ღვთის წყალობას ტოტებიდან კალათში ვაგროვებთ, ვგრძნობ, როგორც ბავშვობაში, ჩემში როგორ „ზის“ სოფელი, აუხსნელი სიყვარულით ძვალ-რბილში გამჯდარი.

პირველად იქ ნაზიარებ სიტყვებსაც, ფრაზებსაც იმიტომ ვეფერები, ვაგროვებ, ვინახავ, სხვადაც მინდა, იგრძნოს ჩვენი ენის მაღლი და სურნელი, იცოდნენ, რამხელა გზა გამოიარეს, რამდენ ხანს ძერწა თვალუნვდენელმა ისტორიამ...

ასფალტზე, ქვაფენილებზე, ქალაქურ თითლიბაზოებაში მკვდრადმოხილი სლენგი რა ფესვებს გაიტანს, საიდან მიიღებს, შეინოვს განახლების მაცოცხლებელ ტენსა და სითბოს.

მეც მაგარი ვარ, რა!

საით მივუგრინხე „ტაბიკები“ სიონის ზღვაზე განფენილ გამთენიის მომაჯადოებელ დილას.

ამას სჯობია, ადგე და ტაში დაუკრა ფანჯარასთან ამოწვერილ, პრიმა ბალერინასავით თავდახრილ, ტანწერნეტა, ყვითელ გვირგვინიან მზესუმზირებს.

ისინი შენს ოვაციას ელოდებიან!

*

ავგისტოს ბოლო დღეა-მეთქი!

დილა.

— აგე, ზღვაზე ნისლები აინივნენ, კარგი ამინდი იქნება! — ამბობს ვაჟა.

დაგუბებულ იორს ზღვა სიონელებმა შეარქვეს, თორემ ერთი თბილისის ზღვაა ზღვა და მეორე — ეს...

რას ვიზამთ, შერქმეული სახელები, მისადაგებიან თუ არა, მაინც მყარად სხდებიან ჩვენს მეხსიერებაში.

ესეც, მთებს შორის მოქცეული საგუბარი, სოფლები რომ დატბორა, წელს უფრო დაპატარავებულა — წყალი გაუშვიათ და ტბისთვის დაუმგვანებიათ.

წყალმა დაინია, აქა-იქა, ნასოფლარების კვალმა, ჩაშლილმა კედლების ნარჩენებმა და საფლავის ქვებმა ამოყვეს თავი.

გასული საუკუნის სამოციან წლებში სიონის „ზღვის“ შექმნას შეწირული ნამოსახლარები ისევ ამოიზიდნენ და მზისგულს დაენახვნენ.

სამარიამობოდ ჩემს მასპინძელს სწორედ ამ ნასოფლარებიდან აყრილი, საგარეჯოში ჩასახლებული ბიძაშვილი ქაცანაშვილები ჩამოუვიდნენ თავისი ცხვარ-ღვინით.

მაღალი, ახოვანი, გონიერ სიტყვა-პასუხიანი ქართული ოჯახის უფროსი, გოდერძი, ჩვენი მინის ბრძენი მესაიდუმლის განსახიერებაა, ჭკუის საკითხავ კაცებად რომ თვლიდნენ და დღესდღეობით „წითელ წიგნში“ შეტანილებილა რომ დარჩენილან.

ნაადრევედ დაობლებულს, „ზღვის“ ფსკერზე ჩაძირული სოფლიდან აყრილს, საგარეჯოში ახალ სამოსახლოზე ხელი გამოულია, ფხა გამოუჩენია და წელში გამართული ოჯახი შეუქმნია.

ეგეთია რა, ხმადაბლა მოსაუბრე, მაგრამ ყველა სიტყვას ტყვისასვით ტყვიამ სვამს — ფუჭი ლაპარაკი, ეტყობა, არც ჯილაგით მოდგამს და არც თავად ეხერხება, თავის „მრევლს“ ერთი თვალის გადავლებითაც აგრძნობინებს, რა უნდა, რას მოითხოვს, რის გაკეთებას ავალებთ მამა და მარჩენალი.

ჩამორძანდა ცხვარ-ღვინით-მეთქი, გავიგე, წყალს დაუწევია, ჩვენი მამა-პაპეული გამოჩენილა და მინდა, იმათი სული ვაცხოწოო.

ასეც მოიქცა, ცხვარი ნამოსახლარებთან სალოცავს შესწირეს, ჩამოატყავეს, აქნეს, დაანწილეს, სახამლაამედ და ჩაქაფულისთვის ჩაყარეს ქვაბებში.

სიონში, ვაჟას დის ეზოში, ხეების ჩრდილში გაშლილ მაგიდასთან აღვნიშნეთ მარიამობა, გავიხსენეთ წასულები და დავლოცეთ იმათ სახელზე დარჩენილები.

მანამდე ეკლესიაში წირვას დავესწარიო.

მეუფე თადეოზი აპირებდა ჩამობრძანებას, მაგრამ არ მოუხერხდა.

წირვის შემდეგ ტრაპეზზე დარჩენა მთხოვეს.

გოდერძის არ ელაღატებოდა.

ვაჟა ახლაც აქებს გოდერძის ღვინოს.

არ მესმევს, მაგრამ მეც კი გავუბედე — რალაცნაირი იყო, მძაფრი, გრადუსიანი კახურისაგან განსხვავებული, რბილი, ჰაეროვანი, მომფერებელი...

ღამით თამაზ ბიბილური ვნახე სიზმარში.

მაგიდასთან იჯდა.

მივედი, გადავკოცნე, როგორ ხარ-მეთქი.

თავი უკან გადანია და ქუდი გადაუვარდა.

ავიღე, დავფერთხე და ისევ დავახურე... დილით ეკლესიაში ჩავედი, სანთელი დავუწთე.

ბავშვს ნათლავდნენ.

შორიახლო გაეჩერდი.

გოგონა — სულ პატარა, ორიოდე თვის ფუმფულა, ფაფუკი, სკამზე ჩამომჯდარი დედის (ისიც ნორჩი, პატარა) ხელისგულეზე თავისუფლად რომ ეტევა.

ბავშვს ანასტასია ჰქვია.

(დედაჩემის მოსახელე ყოფილა).

მღვდელმა ემბაზში გაბანა, ჩააჭყუმა-ლავა, თავზეც გადაავლო, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

როცა ამოიყვანა, ციცქნა, დაცვარული

სხეული თითქოს სინათლით შეიმოსა — ბავშვი საჩქაროდ შეახვიეს, ახლა რომ უყვართ გამოთქმა, „შეფუთეს“, გაამშრალეს და ზეთი წასცხეს.

დამთავრდა ნათლობა.

გოგონას ცხვირის წვერზე თითი მოვუცაცუნე და წამოვედი.

როგორც ვაჟამ იწინასწარმეტყველა, ზღვაზე წისლები კი აირივნენ, მაგრამ ცა საწვიმრად არ დამძიმებულა.

სალამომდე ამინდმა გვაცალა. როგორც კი ჩამობნელდა, ერთბაშად მორღვეული ზეციდან არნახული ღვარცოფი წამოვიდა. ატყდა გრუხვით.

კარგა ხანს იზავთა და იგრიალა.

ეს არ იყო ზაფხულის თბილი, მხიარული წვიმა, თამაშ-თამაშით დასიცხულ ამინდს რომ შეაგრილებს, აგაცეტებს, მხარზე ზონრებით გადაბმულ სანდლებს გადაგაკიდებინებს და ფეხშიშველს გარბენინებს...

სათოხარში, ზოგჯერ, სულის მოსათქმელად შედგება ხოლმე მთოხნელი, თოხის ტარს დაყრდნობილი, ზურგისკენ შებრუნდება და ნაშრომს გახედავს.

„დამსეტყვე, ცაო!“

„უბერავს“ ჩემი ყოფილი ამხანაგის შვილი!

„მიდიო!“ — ორატორზე გულმოსული ვაქეზებ აგრილებულ ზესკნელს, ჩამოდი, ჩამოგლიჯე ძველი ფარდები, ჩამორეცხე ეს ლაფი, გააყოლე დინებას უჯიშო, უხამსი კომედიანტები-მეთქი.

ისე მოდის, მოგუგუნებს, ავსებს, ახმაურებს დამშრალ ხევებს, რომ, ალბათ, შეისმენს ჩემ ვედრებას...

როგორც იქნა, გადაიარა ქექა-ქუხილ-იანმა ღამემ!

დღეს პირველი სექტემბერია — კრიალა ცა და ღია ფანჯრის წინ ცაცხვის სურნელოვან ტოტებში აჭიკჭიკებული ჩიტი.

ცხონებული იაკობი — ბიჭო, სესე, ამ მოგალოზე ღვთის წყალობას, ქვები როგორ უნდა ესროლო!

ნეტავი ახლა ჩანთა მეჭიროს და სკოლაში მივიდიოდე!..

ფანჯარა

მახსოვს, იგი მისდამი მიძღვნილ ბანკეტზე ცალ ხელში განსხვავებული სასმისით, მეორეში — მიკროფონით, სუფთად პირგაპარსული, მარჯვნიდან მარცხნივ გადავარცხნილი, ოდნავ შევერცხლილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდული თმით, მკვეთრი ჟესტიკულაციით და დაგუბებული, გულში ჩამწვდომი ხმის ტემბრით რომ კითხულობდა ლექსებს.

შეგადაშიგ ხუმრობდა — იუმორთან გაშინაურებული, გადამდები, ჯანმრთელი სიცილით ანეკდოტურ უხამსობასაც გამოურევდა, მაგრამ ისე, რომ არავის სწყინდა, პირიქით, თვალებაჟუჟუნებული ქალბატონების ნახად დატკაცუნებული ხელისგულები სთხოვდნენ, გაეგრძელებინა „თხრობაი საკვირველი“, ხოლო უფრო თამამების ღრმა დეკოლტეებში აზღუდების დაწყევტას ცდილობდნენ სიცილისაგან ყალყზე შემდგარი „ტალღები“.

ვერ გავიგე, პოეტია თუ არტისტიო, ამოიხვნეშა ქალების გულთამბყურობელზე გაღიზიანებულმა ვიღაც ჰალსტუხით ყელგაკოჭილმა ნომენკლატურულმა ტიპმა.

ორივეო, ვითომ გაჩუმდი და მოგვასმენინეო, დატუქსეს აქეთ-იქიდან და საცეცხლე წერტილივით ჩაახშეს.

„პოეტმა და არტისტმა“, ტელევიზიაში რომ მიეჩქარებოდა და ბოლომდე ვერ დარჩა, მოიბოდიშა, ვითომ მკერდიდან „ამოღებული“ გული, აქ ეტოვებო, მოხდენილი მოძრაობით და სულის შებერვით ათეულობით მოჟუჟუნე თვალებისაკენ გამოაფრინა...

მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა, რომ იმ თვალების ცეცხლიც ჩანელდა და მაშინდელმა დეკოლტეებმაც პირი შეიკრეს, და მალეს აზღუდებით შეფუთული დაჩუტული ძუძუები.

ძველ უბანში, სათნოების სახლთან გავლისას, არ მიყვარს ვიტრინეზივით ფანჯრებიდან შიგნით, მაგიდების, პურის თხელი ნაჭრებითა და წყალწყალა სუპების თეფშებთან, საჭმელს დახარბებული ადამიანების შეთვალეირება, იმის შიშით, რომ ვაითუ ვინმე ძველი ნაცნობი აღმოვაჩინო...

დღეს უნებურად შევდექი, ფანჯრის ეკრანის იქიდან ვილაცის მზერამ ნაბიჯი არ

გადამადგმევინა, არ გამიმეა.

„ის“ კედელს მოდგმულ მაგიდას ორ სხვა ტიპთან ერთად მისჯდომოდა. თეფში სუპი უკვე აეთვისებინა, კოვზი მათლაფის კიდეზე ჩამოედო და დანარჩენებს ელოდე-ბოდა, როდის მოამთავრებდნენ წვეწში ჩამალულ მუხუდოს მარცვლებზე „თევზაობას“.

არ ვიცი, როგორ ვიცანი — შემოდგომის წვიმით დანესტიანებული, კაპიუშონიანი ძველი ბუშლატით, გამხდარი, თხელ თათარაში ამოვლებული ჩურჩხელასავით ჩამოხლენილი ღრმა ნაოჭის ნაპრალებით, ჩამქრალი, უსიხარულო, დამფრთხალი თვალებით, გახუნებული, ნაპატიმრალივით გაუპარსავი ღერების ნანვერალით და მზეზე გდებით გამოშპრული, უკან კეფაგაზიდული თავისქალით, რომელიც უკვე ვიცოდი, როგორი იქნებოდა ასი წლის შემდეგ, თუკი ვინმე სასაფლაოს ნათხარიდან აიღებდა და, დანიის პრინცივით, მწარედ დააფიქრებდა წუთისოფლის სიმუხთელესა და გაუტანლობაზე.

არ გაჰკვირვებია ჩემი დაჟინებული მზერა, მაგიდაზე დანყობილ ხელებს ნიკაპით დაეყრდნო და ახლა მეცხვარის „პენსიონერ“ ბებერ ძალღ დაემგვანა, გასაგდებად რომ ეცოდებათ და ბაკის კუთხეში უდგამენ დამადლებულ თუნუქის პურჩაყრილ ჯამს...

მეორე დღესაც ვერ მოვითმინე და სადილობისას გავიარე.

ისევ ძველი ადგილი ჰქონდა „დაზანი-ატებოლი“, ოღონდ ამჯერად საჭმელს მარტო მყოფი მიირთმევდა, კოვზით ნაპირებიდან მიუყვებოდა, თანდათან ავიწროებდა, აცოტავებდა ცხიმით თუ სინათლის შუქით აბზინებულ ფაფას.

ისე ჭამდა, თითქოს შიშობდა, კერძი მალე არ გამოლუეულიყო და, ამ შიშის გამო თვალებში ზიზნი ჩაჰგუბებოდა.

სხვა არავინ ამ ქვეყანაზე, სიამაყენართმეულს, მივხვდი, რომ მხოლოდ თავისთავი სძულდა...

გულით მინდოდა, მისი ერთი სტრიქონი მაინც გამეხსენებინა, ძველ, კეთილ დროში, ხელიდან ხელში რომ გადადიოდა.

მიყურა, მიყურა და კოვზიანი ხელი გამიქინია, რა ხდება, მეგობარო, რას მომჩერებიახრო!

დავაპირე, შევსულიყავი ან გარეთ გამომეხმო, წარსული გამეხსენებინა, როცა ერთდროულად პოეტიც იყო და არტისტიც, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან მივხვდი, როგორც ძველი, ფერადი სიზმარი ყველაფერი გადავიწყებული ჰქონდა — ჩამოხლენილი ჩურჩხელა ველარ შეიმოსებოდა და ჩემი „არქეოლოგიური“ წიაღსვლები მხოლოდ ტკივილს მიაყენებდა.

ვინანე, ნეტავი ფეხი მომტეხოდა და აქეთ აღარ გამომევლო, ანდა ფანჯრისკენ არ გამქცეოდა თვალი-მეთქი.

ენისწვერით კოვზი გამოლოკა.

ბებერმა მეცხვარის ძალღმა ისევ ხელის ნებზე ჩამოდო თავი.

ვიდექი ფეხმოუცვლელად და მისი გაბეცებული მზერა ჩემშიც ისე ირეკლებოდა, როგორც ეკრანივით ფართოფორმატიან შუშაში, საიდანაც არც არაფერი ჩანს და არც არაფერი იკითხება. მხოლოდ შემოდგომის ცივი წვიმის მძიმე წვეთებით იზოლება, ისეერება, მანამდე, ვიდრე ცხოვრებაზე აღრენილი მრისხანების შუშტი არ ჩაამსხვრევს...

მზეთუნახავი ცაცხლის დედოფალი

ბარემო მამაპაპურ მუხლამდე დადებულ გაუკვალავ თოვლში ძალღი დარბის — ფანჯრიდან ფინიას კითხვის ნიშანივით მაღლა აწეული კუდის ბოლო მოჩანს.

შინაურები, გაღულუნებულ ღუმელს მიხუხულები, სითბოსთან გატრუნულები სხედან და მისმენენ.

მე ერთ-ერთ გარდასულ დიდ ზამთარზე ყვეები, სოფელში ღამით დაზვინულ სახურავებს რომ თოვლავენენ, სიმძიმემ სტრაფილები არ დანარას და კრამიტის ლანალუწით ჭერს არ დაამხოსო.

გადმოყრილი ზეცის ბარაქა ძირს ყრუ ბათქუნით ცვივა.

ბიძაჩემის ნიჩბით გადმოხვეტილი აფეუმფულებული თოვლი თავზე და მხრებზე ჩამომეშლება-ხოლმე.

მიხარია, დანარჩენები კი დაბლიდან

უნყრებიან, ბავშვს რამე თუ ეტკინა, აღარ დაგვენახოო.

— რა ვქნა, ამ დალოცვილმა სულ აქ დაიბერტყა კალთა? — ოლა წყრომით ახედავს დაჯანღულ ცას და გასათობად შინისკენ მიმასუგძუგებს.

დამსვამს ღუმელთან სამფეხაზე, ჩამიდგამს კალთაში ჯამით მოხალულ გოგრის გულის საკნატუნოს, თვითონ საჩხრეკით ღუმელს მიუცუცქდება და სულშებერილ თხმელის ნაკვერჩხლებს კიდევ უფრო აღვივებს.

ცეცხლი იფოფრება, ბევრდება, მომწყვდეული ჯინივით აწყდება თუნუქის ღონიერ ფერებს.

ღუმელის საჰაეროდან მოჩანს, როგორც მინი-სცენაზე, თაკარა შუაგულში ცერებზე შემდგარი ქერათმიანი გოგო ცეკვავს. ჩამოქნილი მკლავები ფრთებივით ხან მალლა აიჭრებიან, აიტაცებენ, ააფრენენ ცეცხლის დედოფალს, ხან წარწართ ძირს დაუშვებენ.

ნატიფი თითები ღველფს აუქარებენ, ამოფრქეველი ნაპერწკლები ჰაერში არიალდებიან, მოტკაცუნე, ოქროსფრად მოპრიალე ხორბლის მარცვლებივით.

მომხალავი დიმილით თავისკენ მენევა, მეც მივდექ, მიყვები და გოგო მაჯებში ხელჩაკიდებულს მიმაქროლებს...

აღრე თუ გვიან ყველაფერი მთავრდება.

ჩაინვა ცეცხლი, დარჩა ნაცარი და... დედოფალიც გაქრა!

სად წავიდა?

ალბათ, სხვების ბავშვობის აგუზგუზებულ ღუმელში გადასახლდა.

წავიდა ის თოვლიც, ის ხმები, ის ადამიანები, აღარც იმ ძაღლის კუდი ქანქარებს სადმე, მაშინ მხიარული ყეფით გარეშემო რომ მიბრუნდა...

ეჩუმდები.

სითბოთი თვლემამორეულები, ეტყობა, აღარც მისმენენ, თორემ ერთი მათგანი ხომ მაინც იკითხავდა, მერე? მერე რა მოხდა, იმ მზეთუნახავისა მაინც აქამდე სულ ველარაფერი გაიგეო?

მერე რაც მოხდა, ეს ზამთარში ღუმელთან მოსაყოლი აღარ არის!..

გარეთ გამოვდივარ — შუა ეზოში გავივრინდები და გულში უცებ დაბადებულ სტრიქონებს ვიმეორებ:

ფაფუკო თოვლო, ბავშვივით ფშვინავ, აბა, რა იცი, ვით გამიხარე, მოგეფერები და ისე ფრთხილად დავდივარ, მინას ფეხს არ ვაკარებ.

მერე?

თოვლი კი არა, ხარ საოცრება, მივინყებული ნატვრით აღვივსე, მზეთუნახავო, თუ აღარ მოხვალ, სიზმრები მაინც გამიხალისე...

მერე?

„მორჩა კინო!“

თოვლზემოთ მოქანავე კუდი ეზოს ბოლოსკენ გარბის, მე კი თეთრი სინათლით დაზურგული სახურავისკენ სულ ამაოდ ვიყურები.

იქ ნიჩბიანი გადმომთოვლელიც რომ იყოს, ახლა თოვლს მე ვილა გადმომაყრის!..

მოსიარულა „შამოდგომა“

ცხელმა ივლისმა შემოდგომის ერთდღიანი დეკორაცია დადგა — აწალდული, ცისკენ აფრენილი ფიჭვების, კიპარისების, ჭადრების კენწეროებზე აყავყავებული ყვავები დაწეული ნისლების ზემოთ დარჩნენ. ირგვლივ მოპრუჭნული, ყვითელი ფოთლი მოიფინა, დღლის ქარი აქეთ-იქით რომ მიაფხაკუნებს.

ნესით, სადაც არის, წვიმაგარეული ფიფქიც უნდა ჩამოჰყაროს, წყალჩამდგარი აუზის კიდეები მსუბუქად წაჰყინოს, მაგრამ იმედია, „რეჟისორი“ ამ ილუზიისა ასე შორს არ წავა, ამდენს აღარ იზამს. ბოლოს და ბოლოს, ივლისის ფანტაზიასაც ხომ აქვს შესაძლებლობათა ზღვარი.

— ტემპერატურის ასეთი მკვეთრი ცვლილება პირდაპირ გულით ავადმყოფებს ურტყამს! — მეეზოვე უგემურად, გაბეზრებული სახით გვის ფილაქანდაგებულ ბილიქს და მგონია, ტემპერატურის ცვლილება ავადმყოფების გამო კი არა, საზრუნავი რომ მოემატა, ამის გამო უფრო ანუხებს.

პარკს შემოჩვეული მანანწალა ძაღლეები ერთმანეთს დასდევენ.

ერთი მათგანი სკამის წინ ჩაცუცქულა და ენაგადმოგდებული ქალს შეჰყურებს,

ძელსკამზე აქეთ-იქით ამოდებულ ხელბარგს შორის რომ ჩამჯდარა — ხნიერი, ჩამომჭნარი, თითქოს ესეც მაღლიდან, ტოტს მონყვეტილი ფოთოლივით ჩამოვარდნილი.

შეხუჭუტებულ, უკან გადაკრეფილ თმაში იშვიათად თუ გამოკრთება მუქი ღერები.

კალთაში თავახდილი, გამჭვირვალე პლასტმასის კოლოფი უდევს. პლასტმასისვე კოვზით წინიზურას მიირთმევს და ვიდრე საჭმელს პირთან მიიტანს, ტურები მოუთმენელი სიხარბით უცმაცუნებს.

ნერწყვმომდგარი ძალღი მისი ხელის მოძრაობას თვალს ააყოლებს და ჩააყოლებს.

ხანდახან შენკმუტუნებს, მაგრამ მოსაუზმე არ ამჩნევს თუ ვერ ამჩნევს მავედრებელ მზერას, ცოტა ჩემთვისაც გაიმეტეო, თორემ იქნებ ერთი კოვზი მოწყალება ამისთვისაც გაეღო.

გულდანყვეტილი ძალღი გრძნობს, რომ, მაინცდამაინც, აქ სათავისო სიკეთეს არ უნდა ელოდოს — დანარჩენ აუზთან თავმოყრილ ხროვას ისე გახედავს ხოლმე, ალბათ, ფიქრობს, მათთან სათამაშოდ გაიქცეს თუ არა.

ქალი, როგორც თავიდან, ბოლოსკენაც კოვზის წვერს მონდომებით უფხაკუნებს კოლოფის ძირს, აგროვებს წინიზურას წარჩენებს და ფინიას გამოსალოკსაც არ უტოვებს.

აქამდე მეგონა, რომ მშიერები უფრო უგებდნენ და თანაუგრძნობდნენ ერთმანეთს.

მომათავრა საუზმე, კოვზი და ცარიელი კოლოფი ცელოფნის პარკში ჩადო, ხელბარგი წამოკრიფა და ახლა ქალი ფილაქანზე მიაჩორებს ზომით დიდ ფეხსაცმელს, მიაშრიალებს ფოთოლს.

თვითონაც შემოდგომაა, ჩამომჭნარი, მოსიარულე შემოდგომა.

ჭიამაია

დილით, მუზეუმის ეზოში, ლამაზად ტოტებდაშვებული, ცისკენ აჭრილი, ვერცხლისფერი ნაძვის ქვეშ აღმოვჩნდი.

სულ აქ არ დავდივარ, მაგრამ კენწერო-მოქოხებული, მყუდრო, სენაკივით იღუმალი, წინვების ყვითელ, რბილ ნოხზე დასკუპებული ციცქნა ზღარბებივით ცნობის-მოყვარედ მომზირალი გირჩებით, პირველად აღმოვაჩინე.

ხის ძირში ჩამოვჯექი.

შვებით ამოვისუნთქე — მომყუდროვებული ტოტები გარეთ მონატრებულ სიმშვიდეს, სიჩუმეს მახიარებდნენ.

კარგა ხანს გარინდული ვიჯექი, ვიდრე არ დავინახე, რომ ნაძვიდან მხარზე, მერე მკლავზე და ბოლოს ხელის ნებზე შავად დანინწკლული ჭიამაია როგორ ჩამომაცოცდა.

ერთხანს იარა, იარა, გასაფრენად ფრთებიც გაშალა, მაგრამ გადაიფიქრა და ხელისგულზე მოკალათებული აღარც განძრეულა, გაყუჩდა, გაინაბა.

ბოლოს ისევ ძველი გზით წავიდა, მხარზე გადაინაცვლა.

რა უნდა მექნა, „ქოხიდან“ გამოვძვერი და შინ წამოვიყვანე.

ჩამოვჯექი სკამზე, დავდე გულაღმა ამობრუნებული ხელი მაგიდაზე. დავყურებ ზედ დასკუპებულ სტუმარს და არ ვიცი, რა მივართვა, რით გავუმასპინძლდე.

ისეთი ბედნიერი ვარ დღევანდელი აღმოჩენით, რომ მგონია, ოდესმე ცად ამაღლებული ჩემი ღოღო, როცა აქაურობას მონატრებს, ალბათ, ვერცხლისფერი ნაძვის „იდუმალ სენაკში“ ჩამოფრინდება ხოლმე. ჭიამაია, ეტყობა, ჩემს ნაფიქრს კითხულობს, ხელისგულის ბედისწერის ხაზებზე წვრილი კაცეცებით დადის, დადის... იქნებ ქირომანტია?

მაგრამ, რომ არ მესმის, რას მეუბნება?

ვინ იცის, იქნებ ისევ უკან წაყვანა უნდა?

„არა, ჩემო პატარავ, გეყოფა, ამ სასტიკ რეალობას შენისთანები დიდხანს ვერ უძლებენ, დავებუნდეთ ისევ ნაძვქვეშ, შენ სამყოფელში და გარეთ ცხვირის გამოყოფა აღარ გაბედო!“

რომ არ გაფრენილიყო, მუჭში საიმედოდ მოვაყუჩე და ცოტა ხნის წინ გამოვლილ გზას უკან დავადექი.



ემზარ კვიტაიშვილი

ლოპე დე ვეგა ვალენსიაში ამონარიდი პოეტის ცხოვრებიდან

წლების ჩავლილის, ნალექი მბურავს,
მომწვდა ყაშყაში ძერათა, სვავთა;
ფარულს, ფერფლნაყრილს, ვაცოცხლებ სურათს,
გულს, ესპანელის, რა ცეცხლი წვავდა.

ვერ ელევიან ურჩობას, ვხედავ.
გრძელდება მათი გზა და სავალი,
ძიძგილაობენ, ვირებზე სხედან,
უტევს მჭლე მარხვას — ბრგე კარნავალი.

შენც შეერევი, თუ არ დაგზარდა,
მოცინარს, ხშირად, ცრემლიც სდენია;
შეყრილან სანტა-კრუსის ტაძართან —
ათასი დონი და დუენია.

ქალს უთვალთვალებს, ნარბი აზიდა
(ნუ გეგონებათ სკვითი, სარმატი...),
იქვე ტრიალებს ლოველასი და
რაინდი „უძლეველი არმადის.“

ყველა ჩანვება, ვინც მუცლით შობეს,
მეფედ ნაკურთხის ეტილიც მოგორავს...
ასხლეტილს, ჩაელიმება, ლოპეს,
აკვირვებს, რისთვის მკბენსო გონგორა!..

არ ავიწყდება, სად გაზრდილია.
მუზები შიშველ მუხლზე უზიან,
ფეხქვეშ ეგება თვით კასტილია,
გულში იხუტებს ანდალუზია.

ხარის ნარქენი, ბეჭები თბება,
კორიდას, ულმოზს, მართავს მადრიდი,
მინდორზე სისხლი დაგუბდა ტბებად —
დაკლულ მზის ჩასვლას თუ შევადრიდი!

ისიც უხდება, ლექსში, ხანდახან,
თუ ქარის მოთქმა და სივილია,
ტოლედო კლდეა, მოჩანს ქანდაკად,
ელამუნება თვალს, სევილია.

ვერ გაგარღვიე, დროის საკანო,
თუ მკითხეს, ყოფნა სად გსურს, სხვაგანო,
სულ მესსომება, ოქრონასხურებს,
განგებამ იქეთ რომ გამაქანოს.

ლუჩიო ავტოპუსით მგზავრობისას

თანხმობას არ გთხოვთ, ნურც მედავებით,
მხნედ დავდექ, ხედვაც არ იძაბება;
ერთ მწკრივში, დედაბერთა თავები,
სამზადის, მეჩვენება ქვაბებად.

მიჩვეული ვარ საგლოველ-სანანს,
რას მატყობინებს ეს აგონია!
სდუმან, ნელ ცეცხლზე შედგმულებს გვანან,
მათი ჭალარა — ორთქლი მგონია.

შეგუბულს, ვისმენ ოხვრას და შიშინს,
საფეთქლებს რომ ძრავს, რა თუხთუხია!
რა იხარშება ბეჩავთა ტვინში,
საჯავრებელიც, მათი, რუხია.

ეცვათ კაბები — კლიოში, პლისე,
ნაოჭებილა ერგოთ ნობათად;
ვერცკი გაიგეს, ჩათავდა ისე
დღეები დიასახლისობათა.

ჩუმად გავყურებ მთათა ტერასებს —
ძველი ოსტატი ხელის მოცარვის,
აქა ვარ, თონედ ქცეულ ვერაზე
რიგს ვაპობ, ჩემი ჩასვლის დროც არი,
ადრეც ბევრს შავად, ჩამოემხო ცა,
კვლავ იხოცება, დასახოცარი.

მდუმარად ჩაჰსარა ჭაჭავაძის №22

დრო-ჟამმა მოიტანა, ასეა,
ვერა ვარ გუნებაზე ღიმილის...
მხარმარცხნივ, ხელის განვდენაზეა —
სახლი, რომელშიც არავინ მიმელის.

ელდას მცემს გადაქროლება ნელთა,
რა რიტუალი გაქრა, რა წესი!
ნიჟარასავით დაცარიელდა,
დარბაზი ხუტა ყუფარაძესი.

ის დაგუდული ზრიალი მესმის,
სხვა ჟინი გვძრავდა, სხვა სტიქიონი —
ფხაალესილი ქართული ლექსი,
სალამოები გალაკტიონის.

კიდით კიდემდე გაშლილი სუფრა,
დიტო კიკვაძე გვყავდა, თამადა...
დამარტოებულს, დარჩენილს უბრად,
შესვიო, ძალას არვინ დამატანს.

იყო ზმუილი, ზმების ჯახება
(როგორ არ მქონდეს დასამდურები...)
ალხაზიშვილის გადაძახება
და ჯავახაძის კალამბურები.

ველარვის მიეუჭახუნებ სასმისს,
მხოლოდლა მოგონებით დავთვრები...
რა რაინდების დავკარგე რაზმი,
რამდენი მიხმობს მოსანატრები!

ნაჟად ალაჟა ფთან ჩაჰლისას დამაღონებელი სურათი

ჩაკეტილია ჭიშკარი, მძიმე,
რკინეულითვე გადახერგილი...
მეხსიერების მესროლა მღვიმემ —
სახელი, მორგებული: შერგილი.

საბავშვო ეტლის მოჩანდა გვერდით —
მილები, დასაკეცი კიბენი;
მიჩერებული დაჟანგულ ნერტილს,
განზე გავდექი და დავიბენი.

ჩამოხსნილ რადიატორთა რიგი...
ვინატრე ძალა ზარის მრეკავთა,
ვეძებე, ვერსად ვიპოვე იგი,
ვინაც იმ ჯებირს გადაჯვავდა.

სიმშვიდე, მოსვენება წამართვა,
რალს გაჭრიდა ხვეწნა, მუდარა!
ვის მოაფიქრდა ყოვლის აღმართვა —
შესაკავებლად, დასახუთარად?!

ნუ მკითხავთ, რამ დამზაფრა ესოდენ,
გარშემო შემომერტყა საკანი...
ტუსალი, რალს გავა ეზოდან,
თუ ამოქოლეს — გზა, გასაქანი?!

სულის დამსუთნაჰი

ვინრო გვირაბში გინვეს გაძრომა,
გარეშე მითქმა-მოთქმის და ჭორის;
დამთრგუნველია ლილოს ბაზრობა,
გავლა ტანსაცმლის ხარიხებს შორის.

რალს არ ჩანთქავს ამხელა ხახა,
ქვეყანა როგორ დულს და აჭრელდა,
გასდევს დაგუბულ ზრიალს და ყაყანს
შეყრა მყიდველთა და მოვაჭრეთა.

გაშლილ, დარწეულ ქოლგების ალყა,
კონწიალობენ თოკზე ქუდები...
გეხლება ცხელი ჰაერის ტალღა,
კედელს ვერსაით მიეყუდები.

ზვინს ფესსაცმელთა ან ჩექმებს, ამდენს,
როდის და ვისი ფეხი გაცვითავს!
აახოხოლო, აწვდება ცამდე,
მიადგე, ველარ დანვავ, დანვითაც.

თავი რაც გახსოვს, ჯავრი გესია,
იტყვი, ვიცვალე — სახით, ფერითო;
აქაურობას, უმჯობესია,
უეცრად მოწყდე და გაერიდო.

განაპირების გამო

მოარულს, რული არ მეკიდება,
ვისაც ხალისი შერჩა, იხაროს;
თუ არ ეთმობა სახელ-დიდება,
დადაფნულ თავზე გადაიყაროს.

ბევრი მინახავს შური და ბოლმა,
რამეს დავხარბდი, როდის ყოფილა!
დასაბნევს, არ ავყოლივარ ყოყმანს,
სხვებისაც მძაგდა წილადობილა.

საცა ვერ განყვეტ, იქ უნდა გაჭრა,
უკეთურებას უყვარს მქებელი,
სამარცხვინოა დარჩენა ლაჩრად,
შეირგონ ჯილდო და სარგებელი.

არ მახსოვს და არც მომხდარა ჯერეთ,
სინათლეს, მზისა, ცვლიდეს ნეონი;
გადიხმაურებს, ჩაქრება მერე
ეს თამაშები საორდლეონი.

ალარავის ეცოდინება იმპერატორ ადრიანეს დანაბარები

ჩიტი დაფრენს ჰაერში,
შენ — დაცურავ, თევზო!..
ფეხზე ვინც დაგაყენა, იგივ წაგაქცევსო.

გაგაქანებს, რაც უნდა გაუფრთხილდე თავსო,
ერთხელ გაჩნდი, მეორედ, ვერვინ შეგხედავსო.

ბატებსაც ვერ გადენი, როსმე ქვეყნის მწყემსი,
უსმელ—უჭმელს, არც მცირე, მოგინდება ხემსი.

ჩრდილსაც ვერ გაიყოლებ, ადრე მზედ რომ ჩანდი,
არად ჩაგთვლის ქვეყანა, სიზმრად მოსალანდი.

ჭრელ ჭურჭელში იოლი ჩასატევი, მჩატე,
ვის მოძებნის ჩემს მერე, სული, მოფარფატე?!

„მარადისობის“ ძმაები თავად დაწყვილდნენ

გმართებს, წყალობას უფლის, უმზირო, გაისუსო!.. ლურჯი ცის ფონზე დგანან — ფიროსმანი და რუსო.

ლმობიერება, სილბო. საგანს, ნივთს ფერობს ფორმა. ხმელი მიაყრდნო მხარი, მებაჟეს — კონდუქტორმა.

ვლოცავ ნახელავს ღვთიურს, ვიბნევი, ვიფანტები... არწვევ ნითელ ბუშტებს, ფუნჩულა ინფანტები.

შლის ფაფარს, თვინიერი, ლომი უწვება არწივს... ვერცხლის ამოდის მთვარე, უცხო ნათელი მანვიმს.

მზეო, ბალახი მწვანე, რაგინდ არ გადატრუსო, სხვას დახატავენ მდელოს, ფიროსმანი და რუსო.

უდაბნოს — ხრიოკს, ყვითელს — მათი იები მორთავს... რა დამაკავებს, ტყეში შევყევე ზმანებებს ორთა.

მიჭირს, მოვძებნო სიტყვა, დასეტყვილს ვედარები... რით გადვიხადო ფასი — ზღვისდარი — ნეტარების?!

ოსტატის მონატრება

დაოსებულმა, რისი ვთქვა ქება, არ ჩანს ნათელი შესაფერისთა... მომელანდება თვალები, კეფა, ვილა შემიცვლის დიმა ერისთავს!

აცოცხლებს ხსოვნა გარდასულს, მრავალს, ჟამმა რომ ამოსრუტა, გაყელა... ველოდი ამინდს, მომინდა კვლავაც — ვეფერებოდე ძვირფას ნახელავს.

იქ, სოლოლაკში, ძველ სარკმელს ვაღებ, შევყურებ მდუმარედაც, ლალადაც — გაკიდულ ნოხებს, კუზიან თალებს, აბანოთუბანს, მან რომ დახატა.

კაბებს ისწორებს, ალგების დარი, ტკარცალა გოგოების დინება... მერე მიბრუნებს იგივე ქარი შეუდარებელ მის გაცინებას.

მენანება

ჰაერშიც არ ვერიდები ფარფატს, ქარით ატანილს, ვგავარ ცელოფანს; გაბნეულ სურნელს ვისრუტავ ხარბად, თავსატეხს მიჩენს მოუქნელობა.

უკმარისობის წუხილი დამდევს, საქმე არც ისე მაქვს გასახარად; თბილისელთაგან, ვერ შევხვდი რამდენს, შორებელეზზე — ვამბობ ალარას.

რამდენს ვერ ვხედავ — მოარულთ წყვილად, ტოლები გვყვანდნენ მამა-ბიძანი; რა მუსიკოსი, ჩემივე კბილა, გია ყანჩელიც ვერ გავიცანი.

სხვა ჰანგებს გვასმენს, რომელ ჩიტს ბაძავს, ვერაფერს ვიტყვი დაბეჯითებით; მხოლოდლა ფოტოს დავცქერი, საცა კლავიშებს კენკავს მისი თითები.

გუნების უბაში

სნობი, სნებაშეყრილი, სულ ამაოდ ვგმოსნობ; ერთხელაც არ მინახავს — შენი სახელოსნო.

ბევრად ამალლებულო, მეუფეო, ზედავ! სიფრიფანა ფრთებს მწერთა, რომელ დამლით ჭედავ?!

მცოცავ ჭიამაიას, რა თითები წველის! რითი ხვეწავ, მახვენარ, ცაცებს, ჭიანჭველის?!

ხოხობს, მამალს, ბოლოში წაუკიდე ცეცხლი, მიალიე, რამდენი, კალმასხ ოქრო-ვერცხლი!

ბროლს, კრიალას, ცრემლისფერს, მითლილსა და მოთლილს... შენს ნახელავს, საკვირველს, ვინ და რა ჩამოთვლის?

გახსენებას ვერ ვასწრებ — სამადლობლის მათის... ყველას ვალი დაადე, რაც ფრინავს თუ დადის.

მობრიალევ, ბრუალავ, ხან — ჭრელო, ხან — ლიბრო, მართლა გიჟი ვიქნები, შენ რომ გაგეჯიბრო!

ყოველი გათენავისას

მძიმე სასჯელს გავს — ერთი ფანჯრიდან, უცვლელად, ერთი კედლის ყურება; გონებამ, სხარტმა, რად ვერ განჭვრიტა — რა მამლებინებს და მესხურება!

მოჩანდა, რა დამითვლია მეტი, სულ მახსოვს, გაიარა ვინაც რა... აგურის მიღმა, ბეჩავთა ბედი, უხმოდ ჩაიწვა და ჩაინაცრა.

მინდობილები რომ იყვნენ გუმანს, ჩაუქრათ ნდომა გამარადების... რამდენი რამის მომსწრენი, სდუმან — მუხის მაგიდა და კარადები.

ღლიდათ სიმუხთლე, სიმაღლეს ჭერის, ეტმასნეოდა ორთქლი ჩაისა... ვერ გრწნობდნენ, ვისი დგებოდა ჯერი, რომელს რა მოელოდა გაისად.

მყუდრო სერობა გახდა საშური, სანატრელია ფარდის შმაშური... თქმაც არ ღირს, დამტვერილი იქნება — ქარვებასხმული — ის აბაჟური.

შავსამოსიანი ჯადოქარი ვენის ჯაზი. 2021. ერიკ ტრუფარი

აცეცხლდა, ტანზე მედება ალადა, საყვირი — ოქრო, რა ჰანგებს გზავნის! წამლეკა, თავის ამხადა ქალა, უთუოდ ნათესავია ფაფნის.

გამხდარი, წლებმა წელში გახარა, შევცქერი, სახელდებულს ერიკად; ილიმის — ფეხშიშველი, ჭალარა, ჟინია, რომ აცმუკებს ბერიკაცს.

ვინ იტყვის — დაიღალა და ჩაქრა, აყრუებს დარბაზს დოლის ბრაგუნი... რა გახელება სცოდნია საკრავს, გუგუნი მახსენდება აგუნის.

აყირავებულ საყვირს ჩაბერავს, ფარას მწყემსავს და არიდებს მავნეს; თვალებიც ანთებია სხვაფერად, აშკარად — ახლობელია ფავნის.

ანათიპლა

უეცრად თავს დამტყდარო, ხდომილო, ფერმიხდილო, რა მწარე ხარ, ლიზიკო გაბუნიას სიკვდილო!

ვის შეეძლო წამწამთა ისე დაფახულება... ზიზილები ებნია მკერდზე გაზაფხულებად!

როგორც შეუმჩნეველად, უხმოდ იწვის აბედი, მინავლებაც იმისი იყო რა უცაბედი!



დაეხუჭა თვალები, ცისფერი და ციმციმა, მოჟამული, ისედაც, გუნება დამიმძიმა.

შუბლს დაუყვა სიცივე, გადაეკრა ბაგესაც... ანგელოსთა მხლებელმა, თეთრი ფრთები დაკეცა.

გულში ჩაიკონებდი, რომ გენახა, ედემო! მითქვამს, ზღვარი არ იცის, იმისმა სიკეთემო.

რასთან რა დავაწყვილო, გაიბრწყინებს რალათი, სახე, თრიმლით მორთული, ხელამოდ დასახატი?!

მოშხამული ვიხსენებ — ამბავს, იმ დღეს მოტანილს, წარსულთაგან, მასავით, დამნაწვია ცოტანი.

მწუსარების ამოქახილი

მყავდა გამზრდელი, ღვთიე კურთხეული მამის და, ვერ გავუმართლე, მიუხედავად ამისდა.

სახეს, გაცრეცილს, წმინდანის ეკრა ვარაყი, ქვეყანა მთელი, იმის ცრემლებად არა ღირს.

უფლისწულივით, ვიყავ, ყმანვილი, მოვლილი, მყავდა დედ-მამაც, ჩემზევე გადაყოლილი.

ვერვის ვიხსენებ იმათ სადარს და მგვანეთა, მაინც სხვა იყო — მამიდაჩემი, ანეტა.

ვინლა უწამლებს გულს, ვაებისგან შესერილს, ჟანგმა შეჭამა მისი სამარის მესერი.

ვერ გიხსნაში...

მელანდება არც ისე სასიამო სურათი, ტვინი გატენილი მაქვს ათას ხარა-ხურათი, წნელის ქოხს ვაშენებდი, მერე ჩალით ვზურავდი.

რისი იყო მომტანი — უქმი გარჯა, ჩალიჩი, იდგა ჟამი, როდესაც, რა მოგელის, არ იცი, მქონდა დიდი იმედი, ჯადოსნური ხალიჩის.

ვჭმუნავ, ჰოი, რამდენი — დაჭკნა ცირა, ვიოლა... იოლადვე მქრალდება, მოქროლილი იოლად, რად ვინალვლო, რას იტევს, დისკი თუ რადიოლა.

სხვამ უცქიროს გაზაფხულს, ამოხეთქილს ფერებად, სიყმანვილეს შეშენის — ლხინი, ყელმოღერება, მარტოსულს და დაჭმუჭვნილს, დამღრალს, რა მემღერება?!

არავისი, არასდროს, მინატრია ამალა, ტანში რაც არ ეტევა, როგორ გინდა, დამალო, ვერ გელევი, სიცოცხლის ნამცვრევო, ნატამალო!

გამგზავრებამდე დანაბარები

მოელვარე ზაფხულის დნობა, ჩათავება; არცკი მიმხელს წასული — რალას გადავება.

მარყევს დღეთა სიჩქარე, ამან გამაბრუა, სხვანაირად თუ ვიტყვი: მესხმის ტარაბუა.

მოშორებას მიპირებს, მიტევს გავეშებით, გამომშიგვნელს, იოლად, არც მე გავეშვები.

გალმა მხარეს ვერც ვარჩევ, რისი კიდენია, გაჩენიდან არც ისე უქმად მიდენია.

უკეთური, ვერაგი, ჩემგან არ იქება, არავისი მჭირდება — რჩევა, დარიგება.



შორენა ფხაკაძე

დამარქვი შენი სახელი

დამარქვი შენი სახელი და
მე გპირდები, რომ
შენი სამყარო შეიცვლება
და გახდება ბევრად ფერადოვანი.

დამარქვი შენი სახელი და
მე ვიქნები
შენი თითოეული ამოსუნთქვის დარაჯი.
შენ გეყოლება
შენი ყველაზე დიდი
მხარდამჭერი და გულშემამტკივარი, რომელმაც
ზუსტად იცის, რა არის, როდესაც
შენზე ზრუნავენ, ან არ ზრუნავენ
და შესაბამისად
შენ არ მოგაკლდება ზრუნვა,
რომელიც, ხანდახან,
შესაძლოა, გადამეტებულიც კი იყოს.

დამარქვი შენი სახელი და
შენ გაგიცნობს სრულიად სამყარო ისეთს,
როგორიც ჩაგიფიქრა თავის დროზე
შემოქმედმა
და არა ისეთს, როგორიც ჰგონიხარ ზოგიერთს...

და თუ მე მერქმევა შენი სახელი,
გპირდები, რომ
ეს იქნება ის,
რასაც
ჩემს ბოლო სუნთქვას
ამოვაყოლებ.

მადლობა, რომ გამოჩნდი...
იმ დროს, როდესაც
მომავალი წლის გეგმებს ვადგენდი,
ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ
შენ
იმ გეგმების ნაწილი იქნებოდი
და მერე
ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი,
რომ სულ სხვა ფერებს შემოიტანდი
ჩემს რუტინულ ცხოვრებაში...
მადლობა, რომ მოხვედი ჩემამდე...
მადლობა, რომ ორივემ მოვინდომეთ
ცვლილება ცხოვრებაში:
მე გაცილებით ადრე,
შენ — გაცილებით გვიან,
ოღონდ
ორივემ ერთი მიმართულებით
ავიღეთ გეზი და
საბოლოოდ
შევრჩით ერთმანეთს...
ასე თუ ისე...
მეტად თუ ნაკლებად...
მაგრამ ახლა უამრავი რამ
და უამრავი ვინმე
გვაკავშირებს...
ღმერთო ჩემო!
რა კარგია!

დგებიან დღეები, რომლებიც
რალაც საოცარ დარდს მოიყოლებენ...
დარდს, რომელიც
ყველა ძველ დარდს გავიწყებს
და ხვდები,
რომ დროა, რალაცეები
და თუნდაც ვილაცეები გადააფასო.

მოდიან დღეები, რომლებზეც
ვერავისთან საუბრობ თითქმის...
მხოლოდ ერთთან, მაქსიმუმ ორთან...
და ხვდები, რომ
ნამდვილად დადგა
მარტო მოსაგები ომის დრო.

მერე ეს დღეები მიდიან,
საბედნიეროდ...
და შენ იხსენებ ჰარუკი მურაკამის,
რომელმაც თქვა, რომ ქარიშხლის შემდეგ
ალარ გემახსოვრება, როგორ გადარჩი
და აღარასოდეს იქნები ძველებური...
იქნები ახალი,
იქნები სხვა...

ღმერთო, რა კარგია, რომ
გვაძლევ ხოლმე საშუალებას,
თავიდან დავიბადოთ,
ახალ ტყავში ვიცხოვროთ და
საათის, წუთის და წამის ფასი გვახსოვდეს...

უთოვლო ზამთრებს მივეჩვიეთ...
თითქოს ასე გაცილებით იოლია,
მაგრამ ხანდახან მაინც გინდა,
გაიღვიძო და დაგხვდეს
ის იდუმალი სითეთრე, რომელიც
ფარავს შავს, ფარავს ბნელს...

გინდა, გაიღვიძო ისე, როგორც
ბავშვობის დღეებში, როდესაც
მამა გაღვიძებდა და გეუბნებოდა:
მოთოვა...

მამა ალარ არის.
ალარც თოვლიანი ზამთრებია.
ნეტა რატომ არ მოგვამზადეს იმისათვის, რომ
ბავშვობის შემდეგ
ბევრი რამ იცვლება,
ბევრი ვინმე მიდის და
რჩები ამ რთული ცხოვრების
პირისპირ.

ხვალინდელი დღე
რასაც უნდა გვპირდებოდეს:
შეხვედრას ახალ ადამიანებთან.
ახალ ემოციას,
ახალ შთაბეჭდილებას,
ან პირიქით — რამე ცუდს,
მოულოდნელსა და გაუთვალისწინებელს...
მნიშვნელობა არ აქვს, რადგან
მთავარია ის, რომ
გათენდება...

და რადგან გათენდება, ესე იგი,
შეგვეძლება, რალაც შევცვალოთ,
რალაც განვაახლოთ,
რალაც გავაკეთოთ,
რალაც ავაშენოთ
ან პირიქით:
დავანგრეთ, ადგილი შევუცვალოთ,
გავწყვიტოთ ტოქსიკური ურთიერთობა,
პრიორიტეტად ვაქციოთ საკუთარი თავი
და გვახსოვდეს:
რომ ეს დღე
და ყველა მომდევნო დღე,
რომელიც გათენდება,
ჩვენია,
ჩვენი ახალი შანსია
იმისათვის, რომ
თავიდან დავიწყოთ...

შენი წასვლის თარიღი ახლოვდება, მამაჩემო...
მაინც როგორ გამეჩეცი ასე,
მართლა თვალსა და ხელს შორის,
მართლა ქეიმასავით
როგორ ჩამელვარე თითებში
ამოდენა კაცი...

მაინც რა იყო დაავადება, რომელმაც
მთასავით კაცი
ბავშვად გაქცია...
დღემდე ვერ ვიჯერებ...

სულ რამდენიმე დღეა,
რაც ალარ შევდივარ მიშით იმ ოთახში,
სადაც შესვლა მეშინოდა რატომღაც
შენი წასვლის მერე...
სულ რამდენიმე დღეა,
ფერი იცვალა იმ ყველაფერმა, რასაც
შენი ხელი ეტყობოდა,
შენეული სახელი ერქვა...

მოვალთ, აბა რა,
ერთ კვირაში მოგაკითხავთ:
ყვავილებით, სანთლებით, ცრემლებით...
სულ მანდ უნდა იყო...
ღმერთო,
რა რთულია...

ხვალ შევხვდებით...
ჩვენ ვხვდებით თითქმის ყოველდღე და
იქნებ ამიტომ არის, რომ
ამ ბოლო დროს
გაცილებით გულდასმით ვარჩევ
კაბას,
სამკაულს,
სუნამოს...

ხვალინდელი შეხვედრა
არ იქნება მოულოდნელი,
არაფერი იქნება ამაში ახალი
და განსაკუთრებული, მაგრამ
საქმეში ჩაერთვება ბიოქიმია, რომელიც
განკარგავს ჩვენს „მეს“ და ტვინი,
რა თქმა უნდა, ჩემგან დამოუკიდებლად,
ყოველგვარი ბრძანებისა და
მითითების გარეშე ისვრის
ოქსიტოცინს, დოფამინს, სეროტონინს...

ხვალ იქნებ ისევ დაგჭირდე,
როგორც რამდენიმე დღის წინ...
იქნებ ისევ მომძებნო, მაგრამ
მე ხომ ვიცი, რომ
ზედმეტი არაფერი ვარგა, მათ შორის,
არც ხელის შეშველება და
ალბათ უჩემოდ გაივლი
მომდევნო ნაბიჯებს...

ხვალ მეცმევა ის კაბა, რომელიც
ვიყიდე მაშინ, როდესაც
ჯერ კიდევ არ ვიცოდი
შენი არსებობის შესახებ...
მერე რა... მე ხომ ვიცი, რომ
შენთვის სულერთია
ჩემი კაბის ფერი და მოდელი,
გულგრილს არცერთი გტოვებს...

ხვალ შევხვდებით. აუცილებლად.
და კიდევ ბევრჯერ.


ახლა, როცა ზუსტად ვიცი, რომ
დარჩენილი გზა უშენოდ უნდა გავიარო,
ვხვდები, რომ მომეთხოვება
ვიყო გაცილებით ძლიერი,
ვიდრე შენთან შეხვედრამდე.
იმიტომ, რომ
შენ ჩემში დატოვე ის ძალა,
რომელიც მაიძულებს, გავიხსენო, რომ
მე არ ვარ ის, რაც შემემთხვა,
მე არ ვარ ის, რაც
ჩემი ოჯახის ტრადეციაა
უკვე ბევრი წელია...

მე არ ვარ ის,
რასაც მთავაზობდა ვყოფილიყავი
ჩემი ბავშვობა,
ჩემი განვლილი წლები.
მე ვარ ის, ვინც
თავად ავირჩიე ვიყო
და ვიქნები ყოველთვის ის,
ვინც შევქმენი.

მადლობა, რომ დროულად მიმახვედრე
წასვლის საჭიროების შესახებ...
ისეთი ტაქტით და სიფრთხილით,
როგორც შენ გჩვევია...
მაგრამ შენ კარგად მიცნობ და იცი,
რომ არ გამომეპარებოდა შენი სათქმელი.

მადლობა...
მე მივდივარ
და ვსწავლობ ცხოვრებას
მარტო.
შენი მხარდაჭერის გარეშე.

ამაში არაფერია მტკივნეული.
ეს გარდაუვალი მოცემულობაა,
სიკვდილივით.



ნინო კაკაჩია

შემოდგომის რაჭა

შემოდგომის რაჭავ,
გამარჯობა შენი!
გულს გიმშვენებს ფარჩა
ფოთოლცვენის ფერი!

შენ, ღმერთების ხარჭა,
ტკბილიცა და მწარეც,
რა ლამაზად ხატავ
შემოდგომის შარებს...

ხან შურთხების ხმაა,
ხან ღულუნი როჭოს...
მოთოვს სადაცაა,
სადაცაა მოთოვს!

ნიკორწმინდას თავზე
ვხედავ ლეგა ღრუბელს...
როდის შემიყვარდი
ასე, მიპასუხე!

შემოდგომის რაჭა,
ნალკოტივით ტურფა,
ვერ აუდის ახლაც
მნახველების ტურნეს...

და იცოდეს ყველამ,
და იცოდეს ყველამ!!!
რაჭა, ერთი ნახვით
შემიყვარდა თურმე!

წვიმა თავნება

გუბეებში წკაპანკუპი,
წვიმა მოდის რაკარუკით...
ჟუჟუნას და თავნებას
მთებში აგვიანდება...

დგას და ბლომად არიგებს
უწიათო ამინდებს.
აბა, ხელში ქოლგა,
თაიას და თორღვას!

რა კარგია წვიმაში
გუბე-გუბე ნანწალი,
ხელში ხელი მცივანი
კეთილშობილ წაწალის.

ნეტა ჩვენი კოხტა
თაია და თორღვა
წვიმის გადაღებამდე
კოცნას თუ გაბედავენ!

წინოობა

წინოობა დგება...
ხვადიელად ბარდნის...
თოვს. ყველაფერს ადევს
თოვლი თეთრი, სუფთა...

გახსენება უყვარს
ძველ სიყვარულს ხოლმე...
გახსოვს ჩვენი ოდა,
თოვლს რომ ვუგალობეთ?!

ძელსკამებზეც თეთრი,
სუფთა თოვლი იდო...
ჩვენშიც ყველაფერი
ჯადოსნური იყო...

დაიფიცე, დედა
ხომ გიყვარდი მაშინ?!
წინოობა დგება...
ხვადიელად ბარდნის...

თოვლის არია

ბარდნის. ცას გასდევს
თეთრი არშია,
თოვლს ქალწულების
მოაქვს ხმაური,
ქალწულებს თოვლის
კაბა აცვიათ,
თეთრი, ქათქათა
და სასწაული.

ბირკვილზეც უხვად
იყრება თოვლი,
ბარდნას არ უჩანს თავი
და ბოლო...
და თოვლის თეთრი
ხომალდის თხოვნით
დარბაზში უკრავს
ფერმკრთალი გოგო...

ცრემლებს ყლაპავენ
ზამთრის ჩიტები.
რა დროულია
თოვლის ამბავიც...
და ბევრ რამეზე
ღირს დაფიქრება,
სანამ ჩვენ შორის
არის ზამთარი...

თოვლში მიდიან
ზანტად, ტაბათი,

საკვამურები და კრამიტები,
დაფარულია
ძველიც, ნამატიც,
ხასიათებით და ამინდებით

ბარდნის. ცას გასდევს
თეთრი არშია.
ბარდნას არ უჩანს თავი
და ბოლო...
ჩიტები მყუდროდ,
თბილად არიან...
დარბაზში უკრავს
ფერმკრთალი გოგო...

გარდიგარდმო თოვს...
მსხვილ ფანტელებს დებს
გზის პირებზე
და
ლიანდაგებზე...

გარდიგარდმო თოვს...
ტაქსი ქუჩას კვეთს...
კიდევ დარჩი, გთხოვ,
არ წახვიდე ჯერ!

რანაირად თოვს...
შენი მზერაც მკლავს...
წინ, მითხარი, რომ
სხვა დღეები გვაქვს!

გარდიგარდმო თოვს.
უმონყალოდ ყრის.
ეს რანაირი
სიყვარული გვჭირს!

შვილს — ტატოს პირველკლასელს

შენს ცისფერ პერანგს
როგორ უხდება
სექტემბრის დილის სხივი.
გულთ, საგულეს ჩამიდგე უნდა,
ტატო სკოლაში მიდის!

და მოგვეყვებიან,
როგორც მდედრები,
რწმენა, ღოცვა და მადლი!
ალბათ, არასდროს
დაგიბერდები
დედა-შვილობის ხათრით!

თავანულებს მიგვიხარია,
ლამის გადავცდე
საზღვრებს,
დედამშობელი,
როგორც მარიამ,
ყველგან დაგიცავ, გწამდეს!

ჯერ კიდევ დედის
თბილი უბიდან
ამობურცული გქვია.
ჩემთვის სამყაროს
წონას უდრიხარ,
ფასდაუდებელს, დიადს!

უნდა იწვნიო მწარეც
და ტკბილიც,
რომ გამოიწვნიო კარგად.
ცხოვრება არის
ამფითეატრი,
ავანსცენა და ფარდა.

მაგრამ გახსოვდეს
უნდა ყოველთვის
შენი გორი და ფესვი.
ადამიანად
რადგან მოვედით,
ადამიანად ვკვდებით.

და ქალ-ვაჟებით
გაივსო ეზო,
გულში გიხუტებს სკოლა,
დაფრთიანდები,
დაჭკვიანდები,
სულ სხვანაირი მოხვალ!

გიშვებ ხელიხელ
საგოგმანებს და
დავაჟაცებულს გელი!
როგორ უხდება
სექტემბრის დილას
შენი პერანგის ფერი!

ვანო ჩხიკვაძე

მერცხლები

მერცხლები დაბრუნდნენ.
გაახალისეს საერთო ეზოს და სადარბა-
ზოს მდუმარება.
ამათაც ხომ ტვინი წაიღეს, ვინ მოწმე-
ნდს, მოსკინტლეს აქაურობაო.
სამაგიეროდ ჭიკჭიკით გვატკობენ-მე-
თქი.

— ჭიკჭიკით კი არა და! — არ გაინაწი-
ლა ჩემი სიხარული გულგანყალებულმა
მეზობელმა ქალბატონმა.

მერცხლებს ადამიანების გულისწყრ-
ომის არაფერი ესმით. კიდევაც ესმოდეთ,
ცალ ნისკარტზეც არ დაიკიდებენ, ძველ
ბუდეებს მიცუტქულები ჭყიპინებენ, ტკბე-
ბიან დაბრუნების სიხარულით. მერე მამა
მერცხალი ზამთარგადატანილ ბუდეს შიგ-
ნიდან თუ გარედან კარგად შეამოწმებს და
საქმეს შეუდგება.

— რას აკეთებს? — მეკითხება მერცხ-
ლების ნასკორალით გულმოსული.

— რემონტი აქვს!

— თქვენ გეხუმრებათ და, ერთი მე მკი-
თხეთ?!

— რა გკითხოთ, ქალბატონო, რატომ
არ „გეხუმრებათ“-მეთქი?

ცოტა ხანში მამა მერცხალი გაასუფთა-
ვებს შიგნიდან, შემოაკოხტავებს ბუდეს
გარედან, გაჩენილ ბზარებს წერწყვით, სე-
ელი მინით და ბალახით ამოავსებს და ბო-
ლოს, დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი, ბე-
ტონის კუთხეზე დაბინავებულ მეუღლეს
ფრთების რევერანსით შესასვლელისკენ
მიანიშნებს.

შეუძღვება, შეიყვანს თავის თეთრ დე-
კოლტიან მშვენიერ ქალბატონს ტუშითა
და ზარ-ზეიმით, დააბრძანებს დედოფალი-
ვით ბუმბულ-ბალიშზე.

გაივლის დრო და ბუდიდან ღიღველა
კისრები ამოყვლეწვლავდებიან.

უფრო მეტად გაიხარებენ დედაც და მამაც — უფრო დიდი სიყვარულით აჟივფი-
ვებიან...

ერთმანეთს ისედაც წაკიდებული საერ-
თო ეზოს მაცხოვრებლები თავის კარმო-
კეტილ „ციხე-სიმაგრეებში“ გამაგრდები-
ან, ვისაც უნდა, იმან მიხედოს, ჩვენ ჩვენიც
გვყოფნის, ჩიტების მოსისხული, დატოვე-
ბული ნასკინტლის აწმენდალა გვაკლიაო!

აბა, აბა, გამხმარმა ნასკორმა თანაც
როგორი დანებება იცის ფილებზეო!

სხვა რაში გვარგაინ, ნაგავს ტოვებენო!
იმაზე ხმას არ იღებენ, ბოლმის, გაუტან-
ლობის, ერთმანეთის სიძულვილის გარდა,
თავად რას ტოვებენ.

ვერ გავიგე, თბილ ქვეყნებში თუ გამო-
საზამთრებლად მიდიან, ხელს რა უშლით,
რატომ წვალობენ, გზაში, ალბათ, რამდე-
ნი იღუპება, იქ ხომ სულ გაზაფხულ-ზაფხ-
ულია, დარჩნენ და იყვნენო.

— მაგის გაგება, ქალბატონო, გაგიჭირ-
დებათ!

რაა ისეთი, ეს ცალტვინა ჩიტები რომ
იგებენ და მე — ვერა, იქნებ ამიხსნათო —
ლიზიანდება აივანზე გადმოყუდებული.

იმიტომ მოფრინავენ, რომ შვილები აქ
გააჩინონ, აქაურობას შეაჩვიონ და მისი სი-
ყვარულით გაზარდონ, რათა მომავალ წე-
ლს შვილებმაც აქეთ, სამშობლოსკენ გამო-
სწიონ-მეთქი.

— რა არის, ჩემო ბატონო, აქ მოსანატ-
რებელი... რომ გავიძახით, სამშობლო, სამ-
შობლო!.. ვძულვართ ამ დალოცვილს და მე
რატომ შევიყვარო!.. მომაცილებდეს ვინმე,
წამიყვანდეს სხვაგან და აქაურობისკენ გა-
მომხედავის!.. აჰა, ა, მოიყვანეს პატრული.

— რატომ?

— არ გაგიგიათ, წუხელ „გარაჟების“
გამო ქვედა სართულებმა რომ დაჭამეს
ერთმანეთი?..

დედაცაც აივნის მოაჯირზე გადმოკი-
დებული ბურთებივით ძუძუები უკან გა-
დააქვს, რათა ეზოში სეირის საყურებლად
ჩავიდეს.

ქვემოთ უკვე იწყებს თუხთუხს სიძულ-
ვილის „კუპრის ქვაბი“ და მეც მივირს, მა-
რთლაც ქვეყანაში, სადაც ასეთები ბოგი-
ნობენ, მერცხლები, ნეტავ, რატომ ბრუ-
ნდებიან-მეთქი!



დასასრული
დასაწყისი N381

როლანდ გიორგაძე

დასაწყისის დღეები იწურებოდა, სულ მალე დატოვებდა აქაურობას და მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდებოდა. დაბრუნებით კი დაბრუნდებოდა, მაგრამ გამოცანა გამოცანად რჩებოდა. ვერაფერი გაარკვია უცნობის შესახებ, ვერ მოიპოვა მისი ნდობა. სახელიც კი არ უთქვამს. ბევრს ფიქრობდა — უნდოდა, ამოეცნო ამ კაცის უცნაურობის მიზეზი. ნუთუ მართლა ავადაა, იქნებ თამაშობს და თუ თამაშობს, რატომ თამაშობს, რატომ აირჩია სალოსობის ფორმა? ვის გამოექცა, ან რატომ გამოექცა. იქნებ ვინმეს ემალება და თუ ემალება რატომ? ერთი სიტყვაც არ უთქვამს თავისი ოჯახის შესახებ. და თუ ოჯახი ყავს, რატომ არ ეძებენ ოჯახის წევრები. ვერ აეხსნა, რატომ გაუცვიდა მის მიმართ გული; იმიტომ ხომ არა, ბოლომდე რომ არ გაეხსნა. ფიქრობდა მასზე, ხან გული ეწურებოდა სიბრალულისაგან, ხანაც გული უცვიდებოდა. „ხვალვე მივალ და ვეტყვი, რომ ყველაფერი ამიხსნას. ბოლოსდაბოლოს ის მაინც მითხრას, რას ელოდებოდა ჩემგან, აქამდე ხომ სულ ის ლაპარაკობდა, ახლა მე ვილაპარაკებ“.

ისევ დაადგა ნაცნობ გზას და ბანკთან მივიდა. ხალხი ისევ ირეოდა. უცნობი არსად ჩანდა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. დიდხანს იჯდა შადრევანთან. უშედეგოდ ჩაიარა იმ დღემა. ჯიუტად აგრძელებდა ძებნას. მესამე დღესაც მივიდა, უცნობი თითქოს ცამ ჩაყლაპა. ისევ შადრევანისკენ გასწია, ჩამოჯდა და აქეთ-იქით მიმოიხედა. თვალი მოჰკრა გლეხკაცს, ვირით ბავშვების გამსეირნებელს, რომელსაც ბავშვების მოლოდინში თავი ჩაექინდრა, ხელში ალვირი ეჭირა და საფიქრალს მისცემოდა. მიუახლოვდა, გამარჯობა უთხრა და ჰკითხა, ხომ არაფერი იცოდა უცნობის შესახებ. მოხუცმა თავი წამოსწია, ცნობისმოყვარე თვალებით შეაცქერდა და პატარა დუმბილის შემდეგ მიუგო:

— მგონი, ორი დღეა, არ გამოჩენილა. ჩვენც ისე მივეჩვიეთ, თვალში გვაკლია. საბრალო, უწყინარი და მშვიდი კაცი იყო. ბევრს არ ესმოდა მისი ლექციების, მაგრამ ამ გზით პურის ფულს შოულობდა. უცნაური კი იყო, მაგრამ არავის არაფერს უშავებდა. ვინ იცის, იქნებ რაღაც უჭირს, — თქვა დანანებით და ისევ ინტერესით შეავლო თვალი მოსაუბრეს. მერე ირგვლივ მიმოიხედა, ხელი ჩაიქნია, თავი ჩალუნა და ისევ თავის საფიქრალს დაუბრუნდა.

დაიბნა გიორგი, ძალზე შეწუხდა, ადგილს ვეღარ პოულობდა. მოუსვენრობამ არაქათი გამოაცალა. იქნებ მართლაც უჭირს, ავადაა, იქნებ შველა ჭირდება, ვინ იცის, მელოდება — მე კი განვიკითხავ და განესჯიო. ბევრიც აღარ უფიქრია და მისი სახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ნახევარი საათის შემდეგ მიაღწა ტყის პირს, მაგრამ არათუ სახლი, პატარა ნაშთიც კი არ ჩანდა, იქაურობა მოსწონებელი იყო. დაიბნა. აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, საკუთარმა უსუსურობამ შეაძრუნა. არა, გიორგი, არ შეიძლება ხელების ჩამოშვება, აუცილებლად უნდა ვიპოვო, მაგრამ საიდან დავიწყო? დიდხანს ფიქრობდა, მეხსიერება გა-

დაჩხრიკა, იქნებ რაიმე მიმანიშნებელს მივაგნო. ხელისჩასაკიდი ვერაფერი იპოვა და ისევ ბანკის წინ დაინყო წრიალი. დაქანცული კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

„აბა, კარგად გაიხსენე რა მოხდა ბოლო დღეს? არაფერი ისეთი, ჩვეულებრივად ქადგებდა, ოღონდ დინჯად, რაღაც სხვანაირად გამოიყურებოდა იმ დღეს. აუჰ, ეს როგორ დამავინყდა“ — შემოიკრა თავში ხელი. „იმ დღეს ბანკის თანამშრომელს ესაუბრებოდა, რომელმაც პატარა ჩანთა გადასცა. ეს როგორ გამოგჩა, ეს როგორ გამოგჩა“ — ფეხზე წამოვარდა და ბანკში შლევანივით შევარდა. გაფაციცებით ათვალიერებდა ყველას. ბოლოს ამოიცნო ვისაც ეძებდა, აპარატთან იდგა, ხანში შესულ ქალს უხსნიდა, თუ როგორ მოეხსნა აპარატიდან თანხა. დაელოდა, მერე კი მიუახლოვდა და მორიდებით ჰკითხა, ხომ არაფერი იცოდა უცნობის შესახებ. თანამშრომელმა ყურადღებით შეათვალიერა და ჰკითხა, მწერალი ბრძანდებით? თავის ქნევით დაუდასტურა. ხო, სამი დღის წინ ჩემთან შემოვიდა, პატარა კონვერტი გადმომცა და მითხრა:

— აქ აუცილებლად მოვა ჩემი მეგობარი მწერალი და ეს კონვერტი გადაეცითო. ახლავე მოგიტანო.

რომელიღაც ოთახში შევიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა და კონვერტი გადასცა, თან დიდხანს ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდა.

— ხომ არაფერი შეემთხვა? — ჰკითხა გიორგიმ.

ბანკის თანამშრომელმა მხრები აიჩეჩა, არაფერი ვიცო, იმ დღის მერე აღარ მინახავსო და გასცილდა. კონვერტი ხელს უწვავდა, ფაფმა დაასხა, ერთი სული ჰქონდა, როდის გახსნიდა. სწრაფად დატოვა ბანკის შენობა. ხელის კანკალით გახსნა კონვერტი. ლამაზად ჩაგვირისტებული ასოები იუწყებოდა: „მიდი წმ. ელიას სახელობის საყდარში, მამა იოანესთან“. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი ენერა.

ღმერთო ჩემო, როდის მორჩება ეს რეზუსობანა? მთავარია, ჯანმრთელადაა, უკვალოდ არ გამქრალა და რაღაც ხელის ჩასაჭიდი მაინც დამიტოვა. ნეტავ რა უნდა ჩემგან, რატომ ამომირჩია? რას მოვეხეტებოდი აქ, დავტყუელიყავი სახლში, ხომ ვიქნებოდი მშვიდად, მაგრამ შემთხვევით ხომ არაფერი ხდება ბუნებაში, ყველაფერი რაღაც კანონზომიერებას ექვემდებარება — დეტერმინებულია. აჰა, შენც ფილოსოფიაში გადავარდი? უკვალოდ არ ჩაუღია ლექციებს ფილოსოფიაში. ღმერთო! ვინ არის ეს კაცი, რაღაც ზებუნებრივი ნიჭითაა დაჯილდოებული, საიდან ამდენი ცოდნა, საიდან იცის ჩემს შესახებ თითქმის ყველაფერი? როგორც ჩანს, გამოცანის გასაღები მამა იოანესთანაა, ყველა გზა მამა იოანესთან მიდის — ფიქრობდა გიორგი.

ბინდებოდა, სახლში რომ მივიდა. დღეს უკვალოდ არ ჩაუვლია, მთავარი გაიგო. ერთი დღეა დარჩა, ერთი დღის შემდეგ აიკრავს გუდა-ნაბადას. ნეტავ რას უქადის ხვალისდელი დღე? რატომ იქცევა მოუთმენელი ბავშვივით?! დღეს მეტს ვეღარაფერს შეიტყობს, დანარჩენს ხვალე იტყვის.

მზის ამოსვლისთანავე გაუდგა გზას ეკლესიისაკენ. ღამის ძილს მიცემული ბუ-

ნება ნელ-ნელა იღვიძებდა. ყველა სულიერი საზრდოს საპოვნელად შესევდა დედა ბუნებას. გზის პირას აშოლტილ წიწვნარზე ციყვები დაცუნცულეზდნენ. კოდალაც გვარიანად ურაკუნებდა დაფულურობულ ხეს. ჩიტებიც სათოხარში ლიღინით მიმავალი გლეხი კაცივით მისტიკური ჩიტური ოროველათი აფხიზლებდნენ გარემოს. ტაძრამდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი. გორაკიდან შვებისმომგვრელად იმზირებოდა პატარა, კოპნია, ნითელთუნუქსახურავიანი, ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, რომელსაც თეთრი ღრუბელი შარავანდედით დასდგომოდა თავს. შეუყვ ალმართს — იქით-აქით მწვანეფარჩიანი მცენარეთა ჯარია, შუა ფართო გზა, რომელზედაც დაკუნთული მამაკაცის მკლავზე ამობურცული ძარღვებივით ამოყრილიყო მიწიდან ფესვები და საფეხურებივით ჩაწყობილიყო, ტაძრისაკენ მიმავალი გზაა.

დინჯად აიარა საფეხურები. ტაძრის წინა მხარე მოსწონებელი და მოპირკეთებული იყო. ასწლოვანი, ტოტეზგადბარდნილი ხის ძირში გრძელი სატრაპეზო მაგიდა იდგა ძელსკამებით შემოსაზღვრული. შეყვნდა, მიმოიხედა, არავინ ჩანდა. მერე ტაძრის კარს მიუახლოვდა, სახეურს ხელი ჩასჭიდა და ძალუმად გამოქაჩა. ხის მასიური კარი მძიმედ გაიღო. პირჯვარი გადაინერა და ტაძარში შევიდა. ტაძარში არავინ იყო. სივრცე საკმევლის სასიამოვნო სურნელით გაჯერებულიყო. ფეხაკრეფით გადაადგილდებოდა. ყურადღებით ათვალიერებდა ხატებსა და ფრესკებს, რომლებზეც წმინდანების იდუმალი სახიერება ამოუცნობი ნათლით გასხივოსნებულიყო. ანალოლიაზე დაბრძანებულ ხატს კრძალვით ემთხვია და ტაძარი უკუსვლით დატოვა. ხის ძირში სკამზე ჩამოჯდა და საფიქრალს მიუბრუნდა. ადრე მომჩინია მოსვლამ, დაველოდები, სხვა რა გზაა. ახლა მშველელი და ჩემი თოკი მამა იოანეა.

გაუჭირდა ლოდინი, მოუთმენლობამ დარია ხელი, ვერ ისვენებდა. წამოდგა, სივრცეებს ზეერავდა. შორს, დასავლეთის მხარეს, მთის წვერზე, კიდევ ერთი ეკლესია ჩანდა. ჩვენთან ეკლესიების უმეტესი წაწილი მთის წვერზე ან შემალღებულ ადგილზეა აგებული. მთა ხომ ცასთან ახლოსაა, ცაში კი ღმერთია.

„პრიმიტიულად აზროვნებ გიორგი, პრიმიტიულად. ღმერთი ყველგანაა, მთაშიც, ბარშიც და ცაშიც. არა, მთას მაინც გამოჩრეული ადგილი უჭირავს, მოსეც ხომ სინას მთაზე შეხვდა ღმერთს?!“

დაბლა ფერდობზე შეფენილ ტყის მასივს შეავლო თვალი. ბეჭებზე ვილაცის მწველი მზერა იგრძნო და უმალ შებრუნდა. ტაძრის წინ სასულიერო პირი იდგა — მაღალი, გამხდარი, უსატყაკესი თეთრი წვერით და, მისდა გასაკვირად, ჭალარაშეურეველი შავი თმით. ლელვამორეული მიუახლოვდა მღვდელს.

— მშვიდობა, გიორგი.

— მშვიდობა, მამაო, — მღვდლის გამოწვდილ ხელს გიორგიმ ხელი შეაგება.

— არ გიკვირთ, რომ სახელით მოგმართავთ?

— უკვე აღარაფერი მიკვირს, მამაო.

მღვდელს ღიმილმა კიდევ უფრო დაუმშვენა ისედაც ლამაზი სახე.

— ნამოდი, გიორგი, — მღვდლის გამოხნით ჩამოვსხდით, ხომ არ გეჩქარებათ? — გვერდიდან გახედა სათნო თვალებით მღვდელმა.

— არა, მამაო, არსად მეჩქარება. მოუთმენლად ველოდი თქვენთან შეხვედრას. შენდობას თხოვთ, მამაო, მოუთმენლობისთვის, უნდა მომიტყუეთ აცეტება. როგორც იტყვიან, კანში ველარ ვეტევი. იქნებ მითხრათ, ვინ არის ეს ჩემთვის საიდუმლოებით მოცული კაცი, რომელიც ხან ზებუნებრივ ადამიანად იქცევა და ხანდახან კი უკანასკნელ ვიგინდარად. მომიტყევთ ამ სიტყვისთვის.

მღვდელი მცირე ხანს ჩაფიქრდა, ჯერ ჰორიზონტს გაუსწორა მზერა, მერე ცას ახედა, ბოლოს თვალები დახარა და მოსაუბრეს შეაცქერდა:

— აბა, რა გითხრათ, ბევრი მეც არაფერი ვიცი. ერთი მიუსაფარი, ძალზე ჭკვიანი და უცნაურობით აღსავსე პიროვნებაა. უყვარს საუბარი. იშვიათად მინახავს თეოლოგიაში და არა მარტო თეოლოგიაში ეგზომ განსწავლული პიროვნება. რითაც შემოძლია, ვეხმარები. ფულს იშვიათად თუ მოკიდებს ხელს, საკვები მიაქვს.

ის დღე გაახსენდა, სახლში რომ დაპატი-

იყა. მაშინ გაუკვირდა პურმარილის სიუხვე. ახლა კი ყველაფერი ცხადი გახდა.

— არც მე ვიცი მისი სახელი, — თქვა მღვდელმა, — სახელი არ უთქვამს, არც აღსარება ჩაუბარებია, არც მიზიარებია, არ ვარ ჯერ მზადო. დიდ საქმეს ვარ შეჭიდებულიო, — და გაჩუმდა.

„ეჰ, გიორგი, გიორგი, რა გულუბრყვილო ხარ, გეგონა, ყველა საიდუმლოს გაგიხსნიდა? აქვს კი უფლება ყველაფერი გითხრას?“

მღვდელი წამოდგა:

— გიორგი ბატონო, ახლა ის, რისთვისაც ჩემთან გამოგზავნა „კაცმა გამოცანამ“. აქ დამელოდეთ, ახლავე მოვალ.

გიორგიმ თვალი გააყოლა მიმავალს. რამდენიმე წუთში გამოვიდა მღვდელი. ერთ ხელში ჩემოდნის მსგავსი მომცრო ზომის ვერცხლისფერი მეტალის ყუთი ეჭირა, მეორე ხელში კი — კონვერტი.

— აი, ეს გადმომცა თქვენთვის.

გიორგიმ ნივთები ჩამოართვა. გაკვირვებული დასცქეროდა ხან კონვერტს და ხან ყუთს, მერე მღვდელზე გადაიტანა მზერა. მან კი ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა, მეტი ვერაფრით დაგეხმარებიო.

— მამა იოანე, თუ ცოტახანს არ ჩამოვჯექი, სახლამდე ვერ მივაღწევ, — ორივენი ჩამოსხდნენ, — როგორ ფიქრობთ, რატომ ამომირჩია მე, ან რა უნდა ჩემგან?

— იქნებ ამ ნივთებშია პასუხი თქვენს კითხვაზე, გიორგი ბატონო. მეტს ვერაფრით დაგეხმარები. ერთს კი გეტყვით, ძალზე სათნო და კეთილი ადამიანია, ძალუცნობი ძალით მოსილი და თანაც სიყვარულის დიდი ნიჭი აქვს. სიყვარული კი, როგორც წმინდა მამები ამბობენ, არის დედა ყოველგვარი სიკეთისა. ისე, კი, ვისაც სიყვარული არ შეუძლია, ის ჭეშმარიტი ქრისტიანი ვერასოდეს გახდება. იმ კაცმა შეგიყვარათ, ყველასგან გამოგარჩიათ და ამიტომაც გამოგიცხადათ დიდი ნდობა, ჩემზე უფრო მეტი ნდობა. ვფიქრობ, რაღაც დიდ საიდუმლოს ფლობს და იტანჯება მისგან, მაგრამ როგორც არსთა განმრიგე ამბობს — „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამოჟღავნდეს“. შესაბამისი დრო და მომენტია ამისთვის საჭირო. თუ რამეს გაარკვევთ, იქნებ მეც გამაგებინოთ. თუ კი ოდესმე მოხვდებით ამ მხარეში შემომიარეთ. აბა, მშვიდობით გატარეთ ღმერთმა.

გიორგი, როგორც ძალზე ახლომდებლად გამოემშვიდობა მოძღვარს, მხარზე ემთხვია და შინისაკენ გაუყვია გზას. მამა იოანე კი, დაფიქრებული, დიდხანს გაჰყურებდა თავქვე მიმავალ სტუმარს.

როგორც იქნა, მიაღწია სახლამდე. ვერცხლისფერი ყუთი და კონვერტი მაგიდაზე დადო. მიუხედავად დაღლილობისა, იმწამსვე არ ჩაუშუხლავს, გაიარ-გამოიარა, მაღლიმალ შეავლებდა ხოლმე თვალს უცნაურ ნივთს. აღარ ჩქარობდა, საჩქაროც აღარაფერი იყო. ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და თვალი ტყის მასივს შეავლო. ხეები მთვრალი კაცებივით ტორტმაენებდნენ. „მორჩა ყველაფერი, დამთავრდა ჩემი ოდისეა ამ პატარა დაბაში“. გიორგი ზღაზვნით მიუახლოვდა მაგიდას. ჩამოჯდა. მიუხედავად დიდი თავშეკავებისა, მაინც მღელვარებამ დარია ხელი. წაეტანა კონვერტს და შუქზე გახედა. რაღაც ახლის კანცების სიხარულის მოლოდინს იხანგრძლივებდა. როგორც იქნა, გახსნა.

ტექსტი ძალზე ძუნწად გადმოსცემდა სათქმელს. კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და ყურადღებით ჩაიკითხა:

„გამარჯობა, გიორგი, ჩემი მოულოდნელი გაუჩინარება ძალზე მნიშვნელოვან საქმესთან არის დაკავშირებული, რომელსაც მე ამდენი ხანია ვეწევი. შენ ჩემს შესახებ იმდენი იცი, რამდენიც უნდა იცოდეს. იმდენი ბურუსითაა მოცული ჩემი ისტორია, რომ მოგიყვებ, ტომები არ ეყოფა და შეიძლება, არც დაიჯერო. ახლა ასე მოვიქცეთ, დაურეკე შენიანებს, არ ჩამოვიდნენ. ხვალ დილით შენს სახლთან მოვა ტაქსი, ის წაგიყვანს. ასე ჯობია უსაფრთხოებისთვის. სიტყვა უსაფრთხოებამ არ შეგაშინოს, ყველაფერი მისხალ-მისხალაა გათვლილი. რატომ გეწედე შენ და სხვას არვის? ახლა ამის ახსნა არ შემიძლია. ტრაბახში ნუ ჩამითვლი, მაგრამ ადამიანების ამოცნობის დიდი ნიჭი მაქვს. კიდევ გიმეორებ, ყველაფერს ვერ გეტყვი და არც არის საჭირო. ეგ ყუთი ჩემოდან-სეიფია — სულმა არ წაგძლიოს, არ შეეცადო მის გახსნას, მაგის გახსნა შეუძლებელია. ბევრ რამეზე გვექნება საუბა-

რი, თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩაფიქრებულია. ყუთი ჩადე შენს ჩემოდანში და ისე წაიღე. დედაქალაქში რომ ჩახვალ, ტაქსის მძღოლი მიგიყვანს იმ ადგილას, სადაც ყუთი უნდა დატოვო. შავ ცელოფნის პარკში ჩადებ, ყუთს ზემოდან პურებს დაანყობ და ნავგის ბუნკერთან დატოვებ. მერე ისევ ტაქსში ჩაჯდები და მძღოლი სახლში მიგიყვანს. არ მინდოდა, მეტქვა, მაგრამ აქვე დავამატებ — ეს არის სახელმწიფო მნიშვნელობის ძალზე დიდი საქმე, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება, რომელზეც ჩვენი სახელმწიფოს მომავალი დამოკიდებული. არ გეხსნავლება, ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის ჯერ მამულია და მერე ყველა სხვა დანარჩენი. ბუნებრივად გაგიჩნდება კითხვა, რატომ მეო. ჭეშმარიტმა ქრისტიანმა კარგად იცის, რომ ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება. ეს არის და ეს, მეტის თქმა და ახსნა არ შემიძლება. იმედია, კვლავ შევხვდებით, ველოდები შენ მორიგ მოთხრობას, რომელიც ძალზე განსხვავებული იქნება. წერილს ფრანც გრილპარცერის სიტყვებით დავამთავრებ: „რასაც განაგებ, ისიც განგაგებს, ვისზეც ბატონობ, მონაც ხარ მისი“. წარმატებები მეგობარო“.

კიდევ პატარა ხანს იჯდა ფიქრს მიცემული გიორგი, მერე წერილი გადაატრიალ-გადმოატრიალა, ისევ კონვერტში ჩადო და ფეხზე წამოიმართა. ყველაფერს ელოდა, მაგრამ მოვლენების ასეთ განვითარებას არც ერთ შემთხვევაში. „რაო, ასე ჯობია უსაფრთხოებისთვისო? უკანდასახევი გზაც კი არ დამიტოვა, როცა სამშობლოზეა ლაპარაკი, უკანდასახევი ყველა გზა მოჭრილიაო. შიშმა ხომ არ გამკრა გულში? ნებისმიერს გაჰკრავდა. მერე რა, შიში და თავდაცვის ინსტინქტი ადამიანის არსობის შემადგენელი ნაწილია და რადგანაც შენ აღარაფრის შეცვლა შეგიძლია, ისე ხომ შეგეძლო, ბოლო-ბოლო, უარს ეტყოდი მღვდელს, მაგრამ აზარტმა შეგიპყრო, ინტერესი გკლავს, ელოდები კვანძის გახსნას. დაუოკებელმა ინტერესმა და ცნობისმოყვარეობამ შეიძლება, დალუპვამდე მიიყვანოს კაცი. არა, აქ არ არის მარტო აზარტი, აქ არ არის მარტო ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, მე მენდო და ვერ ვუღალატებ, არ აქვს მნიშვნელობა დიდი საქმეა, თუ თამაში, მე ჩემს როლს კეთილსინდისიერად შევასრულებ, ასეთია ჩემი ცხოვრების მრწამსი, მე სხვანაირად არ შემიძლია, ლატის გვირგვინს ვერ დავიდგამ. აჰა, რამდენადაც საბოლოო არჩევანი გაკეთებულია. გეხუმრება? სახუმაროდ გაქვს საქმე? ვინმეს რომ მოუყევ, არ დაიჯერებს. „ზღაპარი იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამჯდარი იყო“, თუ მომკვდარიყო? რალა მნიშვნელობა აქვს? ნუთუ ისე გავალ ამ წუთისოფლიდან ჩიტის ამბავი ამოუხსნელი დამრჩება?..“

გაზაფხულის სურნელმა ქალაქშიც შემოაღწია. გაღვიძებული ბუნება სიცოცხლით ხალისობდა. შეიფრთხენენ ზამთრისგან ურცხვად გამიშვლებული ხეები და ძვირფასი სამკაულების მოლოდინში ახალი ფარჩა-სამოსით იწონებდნენ თავს. დროებით სამშობლოს მოწყვეტილნი ფრთოსნები დაუბრუნდნენ თავიანთ კარ-მიდამოს. განსაკუთრებით მერცხლები კისკასობდნენ, კუდმაკრატელა მგოსნები სერავდნენ ცას და ისეთ ვირაფებს ხატავდნენ, რომლებსაც ადამიანის გონების მიერ შექმნილი

ვერცერთი საფრენი აპარატი ვერ მოახერხებდა. სიცოცხლე მეფობდა ყველგან. ბეტონის გზის ნაპრალიდანაც კი ამოწვერილიყო ყვავილი. მოდი და, ნუ გაგიკვირდება ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი საოცრება.

მიუყვებოდა სიცოცხლის ფერხულში ჩაბმული გიორგი გზას. თითქოს წლებიც გამქრალიყო. ზამთრისგან მოდუნებულმა სისხლმაც კი ახალგაზრდულად დაიწყო ჩქრიალი. ყველაფერი აფოფრილი, აქოჩრილი და ალტყინებული იყო. რეალურსა და ირეალურს შორის საზღვარი გამქრალიყო...

გიორგი შვილიშვილების გამოსაყვანად სკოლისკენ მიიჩქაროდა. სკოლა ხომ ცოდნისა და სინმინდის ტაძარია, რომელთანაც შეხება სიყმანვილეში გაბრუნებს... ყველაზე დიდ სიხარულს მაშინ გრძნობდა, როცა მინის ანგელოზები თავიანთ თბილ ხელს ჩასჭიდებდნენ და სკოლის ამბების მოყოლას ერთმანეთს არ აცლიდნენ. მათი ხელები თითქოს ენერგიის უღვევი წყარო იყო, რომელიც მცხოვანს სიცოცხლეს უხანგრძლივებდა.


ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გიორგი მაღალმთიანი კურორტიდან დაბრუნდა. ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, ტკბილ-მწარე განცდებით. მთიანი კურორტის ამბავი არც თუ ისე ადვილი დასავიწყებელი იყო. უცნობი გაქრა, თითქოს არც არსებულებო. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, ეს ყველაფერი ხომ არ მომეჩვენაო. „იქნებ ჩემი წარმოსახვის ბრალია, ან წარსულში წაკითხული რომელიმე წიგნის ანარეკლი? მგონი, ფსიქიკური პრობლემები გენყება გიო. არა, არა, ეს შეუძლებელია“.

გიორგიმ მოსვენება დაკარგა, ისეთი დაბნეული და ჩაფიქრებული დადიოდა, ოჯახის წევრებიც კი შემფოთდნენ. ხშირად ეკითხებოდნენ ჯანმრთელობის შესახებ. უგულოდ პასუხობდა, ჩვეულებრივად ვარო.

იმ დღეს ქუჩაში გასული და ფიქრებში ჩაძირული ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა. ამოუცნობი ნომრიდან რეკავდნენ:

— გამარჯობა, გიორგი, — ნაცნობი ხმის გაგონებისას კინაღამ ხელიდან გაუვარდა ტელეფონი. ამ ხმას რა დაავიწყებდა, — როგორ ხარ, მეგობარო? გახსოვს, რომ გითხარი, თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, შეგხვდები-მეთქი? ყველაფერმა კარგად ჩაიარა. უნიკალური თავდაცვითი სისტემა შევქმენი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება, რომელიც მტრის მიერ ნებისმიერი იარაღიდან გამოსროლილ ჭურვს თუ რაკეტას, უკანვე, გასროლის ადგილზე დააბრუნებს და მოწინააღმდეგეს თავისივე ბუნებაში გაანადგურებს. გიხაროდენ, საქართველო! შენი დაბადების დღეს შეგხვდები, მაისის ბოლოს. მოთხრობა თუ დაასრულე? კარგი, კარგი, ამაზე და სხვა დანარჩენზე, რომ შეგხვდები, მერე ვისაუბროთ, — დაასრულა საუბარი და ტელეფონი გათიშა.

კარგა ხანს იდგა ფეხშეკრულივით, როდის-როდის გამოერკვა. გაზაფხულის თბილი ქარი კი ურცხვად დათარეშობდა. არეული ფიქრებით აწეწილი თმების გასწორებას შეეცადა, მაგრამ ქარი არ ანებებდა. დაუჯერებელი ამბავია, როგორც ჩანს, ამ კაცზე ფიქრი კიდევ დიდხანს გაანავლებს. გიორგის გაეღიმა, მხრები შეარხია და დაფიქრებული გზას გაუყვა.



კოტე ლომიძე

პოეზიის ენაზე ნათარბმნი ტკივილი

მასტანბ ჯანაბადის „ელეგია: ყელსაბამი“ სათაურიდანვე აღძრავს ფიქრს ლიტერატურულ პარალელებზე: ჯერ, ალბათ, ნონეშვილის „ლალისფერი ყელსაბამი“ გაგვახსენდება, სიმღერად რომ იქცა და ასე მეტად გავრცელდა, მერე — მოპასანის „ყელსაბამი“, რომელიც სამკაულის დაკარგვის საზღვარსაღწერო ამბავს მოგვითხრობს. თუმცა ამ ხანგრძლივი ლექსის პირველივე წაკითხვისას ეს და სხვა ასოციაციები დავიწყებას ეძლევა, რადგან აქ ყელსაბამს სრულიად სხვა და სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს.

„ელეგია“ მეუღლესთან გამოსამშვიდობებელი ლექსია. ლექსი, რომელშიც „ყველა ნივთი და ყველა საგანი“ ერთსა და იმავეზე — მონატრების ტკივილზე — ლაპარაკობს. რატომ გამოარჩია დაობლებულ საგანთაგან პოეტმა მაინცდამაინც ყელსაბამი? ბუნებრივი იქნებოდა, ავტორს უამრავ სხვა ნივთზე შეეჩერებინა ყურადღება, რომელიც ადრესატს მეტად მოაგონებდა, თუმცა პოეტური ლოგიკა უფრო ზუსტია და თან შთამბეჭდავი — ლექსში პატრონის გარეშე დარჩენილი სამკაულის სატკივარია აქცენტირებული: „ყველაზე მეტად ყელსაბამს უჭირს“; „ახალ პიეტას ელოდებიან შენი ჯვარცმული ყელსაბამები“. არც ისაა დავიწყებული, სამკაული დედა-შვილის ურთიერთობის ხსოვნასაც რომ ინახავს („შენმა ირაკლიმ ჩამოგიტანა...“).

მთავარი „პერსონაჟი“, ყელსაბამი, ლექსში მრავალგვარად, მრავალფერად აელვარდება. პოეტისთვის ეს თითქოს საკმარისი არ არის — გადანყევტს, სრულიად განსხვავებული, ორიგინალური სამკაული — წვიმის წვეთებით შექმნილი მძივი — მიუძღვნას მეუღლეს:

*რათა ავკინძო აღმასებვიით
„გადაღებული წვიმის წვეთები“
და კვლავ შევად ყელსაბამივით,
თუკი შეძლებ და გამიჩერდები...
„გადაღებული წვიმის წვეთები“ — ბრჭყალებში რომ მოუთავსებია ავტორს, პოეტური ციტირებაა გალაკტიონის უსათაურო ლექსის — „უცხო მხარეში მივსდევ კრეისერს“ — ფინალური სტრიქონისა. ხოლო წვიმისგან მძივის ასხმა ალუზია გრიშაშვილის სატრფიალო ლექსში სამკაულად ქცეულ ბროლის ნამზე: „ორთქლის კაბა გადაგაცვი, ყელს დაგკიდე ნამის მძივი...“ ამ მინიშნებათა ფონზე კიდევ უფრო ორიგინალურად იკვეთება ავტორის სათქმელი, მით უფრო, რომ იგი იმ ადამიანს მიმართავს, ვისაც ყელსამკაული აღარ სჭირდება, რადგან „ფორტუნამ უაღმაცერა“.*

პაიპრაფი

„ელეგიას“ ეპიგრაფად უძღვის სიტყვები: „ვეჩვევი უშენობას“. ეს სტრიქონი იმ ლექსიდანაა, რომელიც მურმან ლებანიძემ გარდაცვლილ შვილს — ფიქრიას — მიუძღვნა.

ძვირფასი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ უმთავრესი, რაც უნდა მოახერხოს ცოცხლად დარჩენილმა, არის ის, რომ შეეჩვიოს უიმისოდ ცხოვრებას. სწორედ ამას ცდილობს ვახტანგ ჯავახიძის ლექსის ლირიკული გმირიც — ამდენად, ორ ლექსს აქვს საერთო მოტივი: ვახტანგ ჯავახიძესთან ეს განცდა მეტი სიმძაფრითაა გამოხატული და არაერთგზის განმეორებული („ვე-

ლარ და ველარ დავამუღამე უშენობათა განტოლებანი“; „ჩემი ირინას ნათლია მოვა და უშენობის წამალს მომიტანს“; „რა ვუყო უშენო წამს“; „უშენოდ დროს ვინ გამაყვანინებს“), მურმან ლებანიძესთან გმირი თავს იქცევს თამაშით: „ვთამაშობ პოკერს და ვეჩვევი უშენობას“. თითქოს ამის პასუხადაა „ელეგიის“ შემდეგი სტრიქონები: „უარი წარდის მღერას და ბანქოს...“ „ელეგიის“ ლირიკული გმირი უახლოესი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ სევდას ვერ აქარევს ბანქოს მღერით.

„ელეგია“ და მახსიარების პოეტიკა

„ელეგიის“ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია მეხსიერების პოეტიკა. პოეტი ცდილობს, გაიხსენოს მეუღლესთან დაკავშირებული ყოველი დეტალი, თითოეული წვრილმანი, ხოლო ამ გზაზე ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბებიც კი საკრალურ მნიშვნელობას იძენს.

პოეტის მოგონებები განუწყვეტელი ცვლის ერთმანეთს, ხშირად ასოციაციური და არათანმიმდევრულია, რაც არცაა გასაკვირი მეხსიერების ბუნებიდან გამომდინარე. ელეგიაში ოჯახის ამბები, მოგზაურობის ისტორიები, პირადი მოგონებები, ფილოსოფიური და პოეტური რეფლექსიები, წარსული და აწმყო ერთმანეთშია არეული და ამ ყოველივეს გამოყენებით იქმნება მდიდარი და მრავალშრიანი ნარატივი. ავტორი ემზინა მეხსიერების დავიწყებისაკენ მიდრეკილი ბუნებისა და ამიტომაც, რომ მეუღლესთან დაკავშირებულმა ყველა მოგონებამ თითქოს ერთად გამოიღვიძა მასში. მეხსიერება არის მთავარი იარაღი სიკვდილის წინააღმდეგ. ლირიკული გმირი ებრძვის დავიწყებას და გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნის შენარჩუნებას სხვადასხვა გზით ცდილობს. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ფოტოების გადამრავლება: „ფოტოსურათებს გადავამრავლებ, რომ ნაწილ-ნაწილ გადაგარჩინო“. ამგვარი ქმედებით იგი თითქოს სიმშვიდეს მოიპოვებს, რადგან აღარ ემზინა, რომ ერთ დღესაც სურათს დაკარგავს და მეუღლის ხატებას ვერ გაიხსენებს („ისე ბევრი ხარ, არ მეშინია, თუ რომელიმე გამეპარები“).

ამას გარდა, თვით შემოქმედებაც არის წინააღმდეგობის ფორმა, რომელსაც პოეტი იყენებს არა მაინცდამაინც იმისთვის, უკვდავყოს გარდაცვლილი მეუღლე, არამედ პოეზიით აირიდოს საყვარელი ადამიანის დავიწყების ცელი და ახსოვდეს აქ და ახლა. პოეზია მეხსიერების ინსტრუმენტია, მაველი რგოლი, მოგონებების საგულდაგულოდ შესანახი ადგილი. რაც შეეხება პიროვნების უკვდავყოფას („მე შენ ძეგლს გიდგამ ჩემი ლექსის უკვდავი სიტყვით“, შექსპირი), როგორც პოეტიზაციის ერთ-ერთ მიზანსა თუ შედეგს, ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა „ელეგიის“ „გვერდითი ეფექტი“, „მეორეული სარგებელი“. პოეზიით უნდა დაიძლიოს თუ დაითრგუნოს დრო, რომელიც დაუნდობლად შლის მოგონებებს. „ყველა ნივთი და ყველა საგანი“ ახლა ახალი შინაარსითაა სავსე, მოგონებები მატერიალიზებულია და უხეშად რომ ვთქვათ, ვახტანგ ჯავახიძეს თითქოს მათი „ინვენტარიზაციადა“ დარჩენია.



დასასრული

ყოზე სარამაგუს რომანში — „იესოს სახარება“ — დაკარგული ცხვრის ძებნაში იესოს სანდლები შემოაცვდება და ახსენდება ძველი სანდლები — „შულდაკის ფსკერზე რომ ინახავდა, როგორც წარსულის ნივთიერ საბუთს“.

მეუღლის გარდაცვალება ვახტანგ ჯავახაძის ცნობიერების ფსკერზე არსებულ მოგონებებს აღვიძებს, ხოლო ეს ნივთიერი თუ არამატერიალური საბუთები, საგანთა და მოგონებათა სიმრავლე ყოფნა-არყოფნის დიალექტიკაზე დააფიქრებს პოეტს და ონტოლოგიურ პარადოქსს ბადებს („ყველგან შენ ხარ და შენ აღარა ხარ“). ხატოვნად თუ ვიტყვით, პოეტური ლიცენცია ლოგიკის კანონებსაც მისწვდება და ირლვევა არისტოტელესეული წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, რომლის მიხედვითაც, შეუძლებელია, სამყაროში რაღაც ერთდროულად იყოს და არც იყოს... მეუღლე ფიზიკურად აღარაა, მაგრამ ამავდროულად ყველგანაა, მისი არსებობა გრძელდება ნივთებში, სივრცესა („სადაც ერთმანეთს ედავებიან შენი შენობა და უშენობა“) და მოგონებებში. შემთხვევით არ მისხენებია სივრცე, რადგან ლექსში სივრცის სემანტიკა უაღრესად მნიშვნელოვანია. პოეტის სახლი ცქეულია სივრცედ, რომელიც აკავშირებს ცოცხალთა და გარდაცვლილთა სამყაროებს. აქ ნივთები იძენენ საკრალურ თვისებებს. სახლი ის ადგილია, სადაც ნაშლივარა ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს, წარსულსა და აწმყოს შორის, ეს არის სივრცე, სადაც შეგიძლია, შეხვდე მას, ვინც ფიზიკურად აღარ არსებობს.

მეხსიერებას რომ დაეუბრუნდეთ, „ელეგიაში“ ხშირად თანაარსებობს საპირადო და საზოგადოებრივი, საჯარო მეხსიერება. რასაკვირველია, კოლექტიური მეხსიერება სუბიექტივიზებულია და პოეტის ემოციითაა აღბეჭდილი. მაგალითად, გავიხსენოთ „ელეგიის“ ორი სტრიქონი:

გახსოვს: უცნობი ჩამოასვენეს

ქერიდან, დრამა გაითამაშეს,

და ჩვენ ვარდები

მივართვით — როგორც

ჩვენი შეიღების პაპას — მამაშენს.

მოხმობილი მრჩობლეთი რამდენიმე თვალსაზრისითაა საინტერესო. პირველი არის ის, რომ მინიშნებას საერთო მეხსიერებაზე, უცნობი ჯარისკაცის კულტზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მეხსიერების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. აქვე ყურადღებას იქცევს პირადი, ინდივიდუალური, სუბიექტური მეხსიერების გამომხატველი რეპლიკა, ირონიული ფრაზა — „დრამა გაითამაშეს“, რომელიც ნათლად აჩვენებს როგორც საბჭოთა ხელისუფლების ცერემონიალურ და რიტუალურ ხასიათს, მის არაგულწრფელობას, ისე პოეტის განწყობას იმ ხელისუფლების მიმართ. ამ ორ სტრიქონში ერთდროულად აისახება ობიექტური სიყალბე (საბჭოთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული თეატრალიზებული რიტუალი) და სუბიექტური სიმართლე — განცდები (გულწრფელი და სათუთი მწუხარება და მოწინება), რომლებიც კონდენსირებულია პერიფრაზში „ჩვენი შეიღების პაპა“, რომელიც უბრალო, მაგრამ უაღრესად გამომსახველობითია, რასაც მათ შორის პერიფრაზის პარადოქსულობა უნდა ინვედეს. კერძოდ, მეუღლის მამას, რომელიც, როგორც ჩანს, 1942 წელს დაიღუპა ქერჩის ბრძოლაში, დაღუპვისას, რასაკვირველია, ვერ ექნებოდა პაპის სტატუსი (იმ დროს ვახტანგ ჯავახაძე 10 წლისაც არაა), ხოლო სწორედ ის, რომ დაღუპული არის ახალგაზრდა მამაკაცი და ამავდროულად პაპა, ქმნის პარადოქსს, თანაც აჩვენებს, რომ იგი ოჯახის მეხსიერებაში მნიშვნელოვანი ფიგურაა და მისი ხსოვნა მომავალ თაობას გადაეცემა. მაშასადამე, მოყვანილ მაგალითში ასახულია კოლექტიური და პიროვნული მეხსიერების თანაკვეთა — ოჯახის ისტორია და საბჭოთა კავშირის ოფიციალური მეხსიერების პოლიტიკა.

„ელეგიაში“ ცენტრალური თემა მეხსიერება, რომელიც პოეტს საშუალებას აძლევს, დაუპირისპირდეს სიკვდილს და საყვარელი ადამიანის ხსოვნა შეინარჩუნოს. ლექსში მეხსიერება სუბიექტური და ფრაგმენტულია, სწორედ ამ ფრაგმენტებიდან ქმნის პოეტი ვრცელ მოზაიკას. გარდა ამისა, მეხსიერება მჭიდროდაა დაკავშირებული სივრცესთან, კონკრეტულ ნივთებსა და

ადგილებთან, თითქმის გარდაცვლილმა (მითიური მიდასივით), სადაც ფეხი დადგა და რასაც ხელი შეეხო, ყველაფერი მოგონებად აქცია. ყურადღება შევაჩერე „ელეგიის“ მეხსიერების პოეტიკის მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე და ისიც ფრაგმენტულად. ელეგია არათუ სხვა მრავალი თვალსაზრისით, მხოლოდ ამ კუთხით კვლევისთვისაც კი უდიდეს საბადოს წარმოადგენს და ამდენად შემდგომი ძიებები, რასაკვირველია, უნდა გაგრძელდეს და გაგრძელდება კიდევ.

ალუზიები ადრეულ ლექსებზე

„ელეგია“ ერთგვარად აჯამებს კიდევ ვახტანგ ჯავახაძის მრავალწლიან შემოქმედებას და ამდენად აქ თავს იყრის არაერთი მოტივი, მხატვრული სახე თუ ინტონაცია, რომელიც ავტორს ადრეულ შემოქმედებაში გამოუყენებია. მივუთითებ მხოლოდ რამდენიმე პარალელს:

პოეტს ალელევებს და აფორიაქებს ჰიროსიმასა და ნავასაკის ტრაგედია, რაც მისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე გამოჩნდება: მაგალითად, უსათაურო ლექსში — „ბევრი რამ ხდება საოცარი ამ ქვეყანაზე წინააღმდეგ“ — წერს: „მზეს უცინოდა ხიროსიმა ჩვეულებრივად წინააღმდეგ“. ამავე კუთხით საყურადღებოა ნაწარმოები — „სდუმდა თოფი, სდუმდა ჩანგი“ — ხოლო ჩემს საანალიზო ლექსში აღნიშნული მხატვრული სახე ამგვარადაა: „და სამი სოკო: ნითელქუდასი, ნავასაკის და ხიროსიმისა.“

ვახტანგ ჯავახაძის 1986 წელს გამოცემულ ნიგში — „სხვადასხვა“ — არის ასეთი მინიმა:

ცოტა სისულელე კია,

ვახტანგ, შენი ელეგია!

ამ სტრიქონების თავისებური ვარიანტია „ელეგია: ყელსაბამში“ წარმოდგენილი ოკაზიონალიზმი, რომელიც კონტამინაციითაა მიღებული: „ანდა რამდენჯერ გადამარჩენენ ეს ჩემი სისულელეები?“

ადრეულ ლირიკასთან კავშირი ჩანს „ელეგიის“ შემდეგ ტექსტებშიც: „დაწვეს და თითქოს რაღაცა უნდა მეთქვა შენთვის და ვერ მოვასწარი“; „შენ კი სდუმხარ და ასე მგონია, შედივე სიმი განყდა გიტარის“ — მოხმობილი სტრიქონები თემატურად და სტილისტურად ახლოს დგას ლექსთან „და მოკვდა კაცი“:

და მოკვდა კაცი...

ყველა ძაფი და

ყველა ჯაჭვი და ყველა ბანარი

ერთბაშად გაწყდა, — ისე წავიდა

თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი.

ამ ორ ტექსტს აახლოებს რიტმი (საზომი ზემოწარმოდგენილ ლექსშიც არის 20-მარცვლიანი ბისტიკაური), ინტონაცია, ლექსიკური დამთხვევები და თემა — ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული განცდების გამომჟღავნება. რაც მთავარია, კავშირი, რომელზეც მივუთითებ, უპირველესად, ემოციურ განწყობათა მსგავსებას გულისხმობს. თვალსაზრისითაც სიცოცხლის უეცარი დასასრულის გამომხატველი მხატვრული სახეები. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სახეებით გამოხატული განცდა უფრო ინტიმური და მძაფრია ახალი კონტექსტის გათვალისწინებით. რადგან „ელეგიის“ საზომი ვახსენე, რამდენიმე სიტყვას ამ საგანზეც ვიტყვი. „ელეგია: ყელსაბამში“ შესრულებულია ბისტიკაური მრჩობლედით. როგორც ცნობილია, ათმარცვლელი (გატეხილი ბისტიკაური) სევდიანი, ელეგიური გრძნობების გადმოსაცემ საზომად მიიჩნევა. ამ საზომს მიმართავენ ილია („ელეგია“) და გალაკტიონი („ელეგია“). ვახტანგ ჯავახაძემ კი უარი თქვა ათმარცვლედზე და ოცმარცვლედს დაუბრუნდა, რაც ოცდამეერთე საუკუნეში, შესაძლოა, გარკვეულ გაცეხას ინვედეს. რატომ იყენებს პოეტი ოცმარცვლიან საზომს? ძირითადი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ათმარცვლედის რითმა აყოვნებს აზრს, ეს კი დამატებით შებოჭავდა სათქმელს, ხელოვნურ ჩარჩოს კიდევ უფრო დამძიმებდა. ავტორის დიდოსტატობაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ მკითხველი სრულებით ვერ გრძნობს ოცმარცვლედის სიმძიმეს.

დაუზბრუნდეთ ადრეულ შემოქმედებასთან მიმართების საკითხს და განვიხილოთ ბოლო მაგალითი:


თუმცა დიდი იმედი მაქვს

გულის ნაამაგარისა,

ხელი მაინც შემამეღო,

ხელი მაინც არ გამიშვა.

კოტე ლომიძე

პოეზიის ენაზე
ნათარბმნი ტკივილი

და:

ისე დამძიმდა შენი ხელკავი,

ველარ გაგებდე ხელის გაშვება

და, თუმცა დათომ ხელები კიბის

მოაჯირივით შემოგაშველა.

ეს პარალელი უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ადრეული ლექსი, რომელთან მიმართებასაც ამყარებს „ელეგიის“ მოყვანილი პასაჟი, ვახტანგ ჯავახაძემ დაწერა სიმონ ჩიქოვანის მეუღლის მონათხრობის საფუძველზე. კერძოდ, ვახტანგ ჯავახაძის მოგონებებში ვკითხულობთ: „ქალბატონმა მარიკამ გვიამბო ბატონი სიმონის უკანასკნელი დღეების შესახებ. გაიხსენა: თავი რომ ცუდად იგრძნო, ვინაიდან ვერ ხედავდა, ხელს აღარ მიშვებდა და მეუბნებოდა, სანამ შენ ხელს არ გაგიშვებ, არაფერი მომივაო... ამჯერად კი გავიხსენებ ათიოდე სტრიქონს, რომლებიც ქალბატონ მარიკასთან საუბრის შემდეგ დაწერე“. ამბავი, რომელიც სიმონ ჩიქოვანის მეუღლისგან მოისმინა, ღრმად ჩაჰტყდვია პოეტს გონებაში, მოგვიანებით კი პირადი ტრაგედიის ფონზე ცნობიერად თუ არაცნობიერად, მათ შორის საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებითაც, იგივე მოტივი ხელის არგაშვების ამოტივტივდება და მეორდება „ელეგიაში“ ლექსიკური დამთხვევით. შეიძლება ითქვას, რომ საყრდენისა და უკანასკნელი იმედის ეს შთამბეჭდავი ხატი აქ უკვე იფართოვებს სემანტიკას, სცილდება კონკრეტულ ისტორიას, იძენს ახალ განზომილებას და სიკვდილთან ბრძოლისა თუ საყვარელ ადამიანთა უფაქიზესი კავშირის უნივერსალურ მეტაფორად გადაიქცევა.

კიდევ შეიძლება და სხვა ადრეული ლექსების მოხმობა, მაგრამ ამ ეტაპზე ამით შემოვიფარგლები. ამრიგად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „ელეგია“ თემატურადაც და ფორმალურადაც ეხმიანება პოეტის ადრეულ შემოქმედებას.

პეტი

მხატვრული ხერხის შესახებ

„ელეგიაში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვახტანგ ჯავახაძის მიერ გამოყენებული ერთი მხატვრული თავისებურება — კერძოდ, ფრჩხილების პოეტური ფუნქცია. რა თქმა უნდა, ფრჩხილების ორიგინალური გამოყენება ვახტანგ ჯავახაძისთვის არც ადრე ყოფილა უცხო და ამისთვის „პატარა ტრაგედიის“ გახსენებაც იკმარებს, თუმცა პოეტის მიერ ამ ხერხის ტრადიციული „მოხმარების“ გვერდით ჩნდება ახალი ნიუანსი. პოეტი თავისი აზრის საილუსტრაციოდ ცნობილ მწერლებს მოიხმობს, მაგრამ ამას აკეთებს ორიგინალურად. იგი მწერლებს აწყვილებს მათი შემოქმედების ქართულად მთარგმნელებთან („თავს არც იოჰან (დავით) გოეთე (წერდებიან) შეიკავებდა“; „აჯას ამასა დასტურს დასცემდა მარკუს (ბაჩანა) ავრელიუსი“). ამგვარი ხერხით პოეტი არა მხოლოდ ორიგინალურ ტექსტებზე მიგვანიშნებს, არამედ აღნიშნავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრს ბაჩანა ბრეგვაძისა და დავით წერედიანის თარგმანების, როგორც კულტურული მოვლენისა და კონვენიალურობის, შესახებ.

ეს ერთობ ორიგინალური ხერხი (ავტორისა და მთარგმნელის გაიგივება) რამდენიმე საუკუნით ადრე მცირედი განსხვავებით (პერსონაჟისა და მთარგმნელის გაიგივება) გამოუყენებია ბესარიონ გაბაშვილს. ბესიკმა არაერთი ოდა უძღვნა ერეკლე მეორის სიძეს, დავით ორბელიანს, ერთ-ერთ ლექსში იგი სარდალს უწოდებს ყარამან დავითს:

ტან-პილო ზრდილო,

ძე უძილო,

ხსოვნა მაქვს სახის,

ყარამან დავით!

(ბესარიონ გაბაშვილი,

„ცრემლთა მდინარე“).

ამგვარი სახელდება უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიძლიერის მეტაფორა. როგორც ცნობილია, დავით ორბელიანს უთარგმნია „ყარამანიანი“ და კორნელი კეკელიძის შენიშვნით, სწორედ ამითაა განპირობებული დავითის „ყარამან დავითად“ მოხსენიება: „ბესიკის ოდების საგნად გამხდარა ერეკლე მეფის სარდალი და სიძე დავით ორბელიანი, „ყარამანიანის“ მთარგმნელი (ამით აიხსენება, რომ ბესიკი ერთადგილას მას უწოდებს „ყარამან-დავითს“).

განსხვავებით ვახტანგ ჯავახაძის ლექსისა, ბესიკთან ეს პოეტური ხერხი დიდი მხატვრული ეფექტით არ გამოირჩევა, ამის მიზეზი ალბათ ოდის რთული ვერსიფიკაციული მხარეც უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას ბესიკის სასარგებლოდ, რომ მე-18 საუკუნისათვის ამგვარი სახე მოულოდნელია. რა თქმა უნდა, მითოლოგიურ, ბიბლიურ თუ ისტორიულ პირებთან შედარება ამ პერიოდისთვის არაა უცხო, მაგრამ ამგვარი ინტერტექსტუალური მინიშნება, საგარაუდოდ, უძველესია.

ვახტანგ ჯავახაძის „ელეგია“ არაერთი ასპექტითაა საინტერესო: პოეტმა ტრადიციული ჟანრის კვალობაზე უცნაური ლექსი შექმნა — მოახერხა და მოძველებული ელეგიის ჟანრი თანამედროვე გახადა. საინტერესოა შერჩეული საზომიც, ტრადიციული ათმარცვლედის ნაცვლად დავინყებული და არაპოპულარული ოცმარცვლიანი ლექსი. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, პოეტისათვის წერა არის არა მხოლოდ გამომხატვის საშუალება, არამედ ტკივილთან გამკლავების ხერხი, ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი. ვახტანგ ჯავახაძე წერს, რათა თავზარდამცემ ამბავს გაუძლოს, სწორედ ამაზე მეტყველებს ფრაზა: „ანდა რამდენჯერ გადამარჩენენ ეს ჩემი სისულელეები?“ პოეტმა ლექსს მისცა საკუთარი სატკივარი. „ელეგიას“ ლაიტმოტივად გასდევს მეხსიერების თემა, ავტორი მოგონებათა ფრაგმენტებიდან ქმნის მეუღლის ცოცხალ ხატს. ლექსი არა მხოლოდ პირად ტკივილზეა, არამედ საყოველთაო ადამიანურ განცდაზე, დაკარგვისა და დავინყების შიშზე, რომელსაც სიყვარული მეხსიერების მახვილით უპირისპირდება.

დაბოლოს, მინდა, ვახტანგ ჯავახაძის ერთი სტრიქონი გავიხსენო: „არ დაიჯერო, პოეტო, არ ითარგმნება ტკივილი“.

ვფიქრობ, ტკივილი „ითარგმნება“ და „ელეგია: ყელსაბამი“ არის ამის საუკეთესო ნიმუში...

სტუმარი

მინაზე მკლავებითა და თავით დაყრდნობილ მაგდას თაკარა მზისთვის მიეფიცებინა აქა-იქ თმაგაცვენილი, ეკალბარდებში ხეტიალისგან დაკანრული შიშველი ფეხები და ამვლეულ-ჩამვლელს ქვემოდან აყოლებდა თვალს.

შორიდანვე იცნო მეზობელი ქალები და რაც შეეძლო ხმამაღლა დაიკვილა...

— რა ჯანდაბა იყო ქალო, ეს? — ამოვარდნილ გულზე ხელი მიიბჯინა თამრომ.

— შენ გაგიხმეს თავი! მაგდა ყოფილა, სული აღარ დამყვა შიშისგან, — წამოენთო ნათია.

— მაგდა და ჯანდაბა მაგის მტერს, — კბილებში გამოსცრა თამრომ, — შიშისგან კინაღამ მოვკვდი, ქალო.

— რას მომმტერებიხართ? გაგიკვირდათ ხო თავდაყირა რომ ვიდექი? მკლავებიდან მინის ფერთხვით მიუახლოვდა მაგდა ქალებს, წინ ღოინჯით დაუდგა და ღრმად ამოსუნთქვის შემდეგ ხმადაბლა დაამატა, — რა ვქნა აბა, ფსიქოლოგებსაც გვინდა განტვირთვა.

— რაის ფსიქოლოგი ქალო, რას აღარ მოიგონებ ხოლმე? — აკისკისდა თამრო.

— მოიცა, მოიცა, წინა კვირას პედიატრი არ იყავი შენ? — ხასიათზე მოვიდა ნათია.

— ამოვნურე მაგ სფეროში ჩემი თავი! — მკვახედ უპასუხა მაგდამ და აქეთ-იქით ცქერით იკითხა, — სად მიდიხართ?

— ქვემო უბანში მივდივართ, ნატოსთან, არ იცნობ შენ, — ნასვლა დააპირა თამრომ.

— როგორ, თუ არ ვიცნობ, ვინ მოგატყუა? — წინ გადაუდგა მაგდა, — ეგ ის არაა, განათხოვარი გოგო რომ ჰყავს რძალად?

— სუფთა ასინეთა ხარ, ეგ საიდანლა იცი? — გულწრფელად გაუკვირდა ნათიას. — წამოდით, წამოდით, მეც მანდ მოვდიოდი.

— სად მოდიოდი, ქალო? — ვირივით ერთ ადგილზე გაჯორდა თამრო.

— რა გინდა, ქალო, წამოვიდეს, — ჩაიცინა ნათიამ, — გავერთობით მაინც.

— წამოვიდეს და წამოვიდეს! — მხრები აიჩეჩა თამრომ და თვალები ეშმაკურად აენთო, — აუ, მოდი, ნატო მოგატყუოთ, ვითომ მართლა ფსიქოლოგია.

— უი, ხო, ქალო, თან იმ დღეს ხომ ამბობდა, ნეტავ ფსიქოლოგთან მიმავყვანილა ჩემი რძალიო? — მხარი აუბა ნათიამ.

— რა ჭირს მაგის რძალს? — დაღონებული სახით იკითხა მაგდამ.

— რა ვიცი მე, რა ჭირს; თან ჰყვება ქმარი, ხელის გულზე ატარებს, არაფერი მაგას არ აკლია; სახლი, მანქანა, ფული გამოუღვევლად აქვს, პირველი ქმრისგან 6 წლის გოგო ჰყავს, იმასაც თან ჰყვება ის ბიჭი, თავის შვილისგან არ არჩევს... ეს გოგო კიდევ დიდი უცნაური ვინმეა, დღის მანძილზე ვერაფერს შეატყობო, ნატომ; დაღამდება თუ არა, მილიონჯერ გამოდის ოთახიდან, ცუდად ვარო, ამბობს, რა განუხებსო, რომ ეტყვი, არაფერიო, გაიძახის თურმე.

— ხო, კარგი ახლა, დაუტოვე ცოტა სალაპარაკო თავის პრობლემაზე ნატოსაც, — შენიშვნა მისცა თამრომ.

— ხო კარგი, კარგი... — იწყინა ნათიამ და ნაბიჯს აუჩქარა.

უცხო სტუმრის დანახვისას უხერხულად შეიშუშნა ნატო და ნათიას თვალით ანიშნა, ვინ არისო.

— გაიცანი ჩვენი ახალი მეზობელი — მაგდა; ფსიქოლოგი... — ბოლო სიტყვა დამარცვლით წარმოთქვა ნათიამ და ტკბილესულით სავსე სუფრას დაუპატიჟებლად მიუჯდა.

— ა, ძალიან კარგი, კარს მომდგომიხართ ილბალზე, — ხელი გაუწოდა სტუმარს ყურებადმდე გაღიმებულმა ნატომ და სუფრასთან მიიწვია.

— ვა, რა ლამაზი საწოლია, ნიაკოს უყიდეთ? — მისაღები ოთახის ერთ კუთხეში დადგმულმა ვარდისფერგადასაფარებლიანმა საწოლმა თვალი მოსჭრა ნათიას.

— ხო, დაბადების დღე ჰქონდა გუშინ და ჩემმა ბიჭმა უყიდა. ჩემი რძლის შვილია, პირველი ქორწინებიდან მოჰყვა, — მაგდასთვის განმარტა ნატომ.

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი მითხრა... — ნათიას გადახედა მაგდამ.

ნატომ მუშტი მოუღერა ნათიას და დაემუქრა — ჩემი ხელით გაგუდავო!



— კარგი, ქალო, რას მერჩი, რაც შენ უნდა გეთქვა, მეც ის ვუთხარი, შეგეშველე, — აფხუკუნდა ნათია.

— ვიცი, შენს რძალს რაც აწუხებს! — რიხიანად და დაბეჯითებით თქვა მაგდამ და ნატო გვერდზე გაიხმო.

— პირველი ქმრისგან მოყოლილი შვილი, სანამ პრინცესას საწოლს უყიდდით, სად იწვა?

— ისევ მანდ, ოღონდ სხვა საწოლზე. ნუ, დიდი გოგოა უკვე, ხომ გესმით, ცოლქმრის ოთახში როგორ დანებება? მისაღებში წევს. ოთახში საერთო შვილი უწევთ. ის ორი წლისაა ჯერ, — იუხერხულა ნატომ.

— აბა, ახლა წარმოიდგინე, ერთი შვილი გვერდით გყავდეს და მეორეს ოთახს მიღმა ტოვებდე, მშვიდად რანაირად იქნებოდი? აი, ის პრინცესას საწოლი ოთახში შეიტანეთ, ის ბავშვი დედასთან დაწვინეთ და დაინახავთ, თუ არ დამშვიდდება, — სხარტად მიაყარა მაგდამ.

— კი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ! — შეანწყვტინა მაგდამ და თვალის დახამხამებაში გაჩნდა გასასვლელ კართან.

სახეზე ცეცხლწაკიდებული დაბრუნდა ნატო მისაღებში — რა უცნაური ვინმე იყოო...

— ხო, გოგო, არ იცი ფსიქოლოგების ამბავი? ეტყობა საქმე გამოუჩნდა და მაგიტომ წავიდა, დაკავებული ქალია, ჩვენსავით უსაქმური კი არააა, — სიცილს ძლივს იკავებდა ნათია.

— რაო, რა გითხრა? — ჩაეძია თამრო.

— არაფერი ისეთი...

— უიმე, შენ ხო ბოლომდე არაფერს ეტყვი ადამიანს, — ყავის ბოლო ყლუპი უგემურად მოსვა ნათიამ და თავშეუკავებლად ახარხარდა, გულიანი სიცილით ბანი მისცა თამრომაც.

ნატომ ვერაფერი გაიგო იმათი სიცილის; გიჟები ხართო — უთხრა და ფსიქოლოგის სიტყვებს ჩაუფიქრდა.

მეორე დღეს ნათიას ზარმა დააფრთხო თამრო:

— რა იყო, ქალო, ამ დილაუთენია რამ გაგახსენა ჩემი თავი?

— ნატომ დამირეკა, გოგო, მაგდას ნომერი მომთხოვა.

— რა ჯანდაბად უნდოდა მაგ გიჟის ნომერი?

— რა გიჟი?! ცოცხალ თავს იკლავდა, იმ ფსიქოლოგის ნომერი მომეცი, მართალი აღმოჩნდა და პატივი მინდა, ვცეო, მთელი ღამე ბანგივით ეძინა ჩემს რძალსო.

— რა უთხრა ეგეთი, არ გითხრა? ან ის არ უთხარი, რომ მოვატყუეთ?

— ვუთხარი, ვუთხარი, ფსიქოლოგი კი არა გიჟია, თანაც საბუთიანი, გუშინ აიკრა გუდა-ნაბადი და სადღაც წავიდა-მეთქი.

— აუ, რა მითხარი, მართლა წავიდა მაგდა? გული დამწყდა, — ხმა ნაერთვა თამროს.

— მეც დამწყდა გული, გუშინ სახლში რომ დაებრუნდით, ნამცხვარი მინდოდა, მიმიკითხა, თან ვიფიქრე, დავტყუებ ნატოს, რა უთხრა-მეთქი. წასულა. მეზობლისთვის უთქვამს — ქალაქში მივდივარ შვილებთანო. იმას უთქვამს, ხომ იცი, შვილები არ გყავს, აქ უსაფრთხოოდ ხარო; მაინც წასულა...

რამდენიმე წამით ორივენი ჩუმად იყვნენ, მერე თამრომ ჰკითხა ნათიას:

— სხვა რა თქვა ნატომ?

— არაფერი. ტირილი დაიწყო, გიჟი მე ვარ, ეგ კი არა, ჩემით რომ ვერ მიგხვდი, რა აწუხებდა ჩემს რძალსო...

— ნეტავ ახლა სადაა მაგდა? — კითხვას გული ამოაყოლა თამრომ და სადღაც შორს მიტოვებული სახლის ჩამონგრეულ კედელზე თავდაყირა მდგომი მაგდა დაუდგა თვალწინ.

სამყურა

მთელს ეზოს მოდებული სამყურა სიფრიფანა ფურცლებს ნიავს ადევნებდა და ღეროზე აღერებულ თეთრი ყვავილის თავთავებს ნაზად არხევდა.

მზეჩასულზე ფრთხილად ჩადგა თეონამ სამყურებს შორის სკამი, წარწერით შედგა ზედ, წყლით სავსე, წვრილად დასვრეტილ თავსახურიან ბოთლს ხელები მოუჭირა და გრილი წყალი აჰკურა მზისგან მოღვენითლ სამყურებს.

ბრაზი ახრჩობდა, მეზობლის ნათქვამზე — ჩემს ხბოს შემოვუშვებ შენს ეზოში საბალახოდო.

როგორ დაჰფოფინებდა ამ სამყურებს დედაჩემი თავზე და ერთი ხელის მოსმით რანაირად გადავადმონო საქონელს, მერე რა, რომ ბალახიაო? — უკვირდა.

სოფლის საავადმყოფოში ექთანად მუშაობდა, მისი დანახვისას ბიჭებს ელეთმელეთი მოსდიოდათ; ქალებიც გულწრფელად აღიარებდნენ — ისეთია, სულ რომ არ გაიპრანჭოს და თავდაუბანელმა იაროს, მაინც ლამაზი იქნებაო, ოღონდ იქვე აყოლებდნენ — არ გაიშვა მაგისი გულუბრყვილობაო...

ერთი დღეა და სამეზობლოს თვალები გადმოსცვივდა, როცა ვილაც დაბალი ბიჭის გვერდით დაინახეს თეონა.

ქალს თუ კაცს, ერთნაირად გაუკვირდა, როგორი მთასავით ბიჭები დაიწუნა ამ ჩერჩეტმაო. მერე დაასკვნეს, მდიდარი იქნებაო, მაგრამ სანდო წყაროდან გაიგეს, რომ მუშად მუშაობდა. ბოლოს საერთო ნაცნობი სალომე მიუგზავნეს თეონას. თვითონაც ინტერესით კვდებოდა და დიდი თავ-პატიჟი არ დასჭირვებია, აქედან მოუარა თეონას, იქიდან მოუარა და სიმართლე დასტყუა: — ხომ იცი, ერთი კვირის წინ ოხერი ვირუსი რომ შემხვდა და საავადმყოფოში ვინექი?

— ვიცი, ვიცი... — ჩემს სახლში არ ყოფნისას თურმე მოდიოდა და ჩემს სამყურებს წყალს უსხამდა, ბებიჩემს დაუნახავს.

— მერე, გოგო?

— რალა მერე ქალო?! — მხრები აიჩეჩა თეონამ და ალაღად გაუღიმა ყბაჩამოვარდნილ სალომეს.

პარის მეზობელი

დილის 6 საათზე იღვიძებდა დორა, სულ რომ ცა ჩამოქცეულიყო, ბარბაცით გამოვიდოდა ეზოში, დაეჭიდებოდა ხის კარზე მიყუდებულ თავის წონა საარაყე ქვას და გადაათრევდა იქვე, კარს გვერდით.

— რალას იწყევტ წელს მაგხელა ქვების თრევით, სოფელში მარტო მე და შენ ვართ დარჩენილი, ვინ შემოგივარდება? — კარის მეზობელი, თეო ეტყოდა ხოლმე დაყვავებით.

— შექალო, ძაღლმა და ღორმა არ მინდა, ირბინოს ჩემს ეზოში.

— ეგ ჯანდაბას, სისხამდილით რალატო ალებ კარს?

— ჩემსავით შენც ადრე დგები, ეგება, შემოსვლა მოგინდეს, კარი რომ დაკეტილი დაგხვდეს, თვალებში როგორღა შემოგხედო.

ორივენი 80 წლისები იყვნენ, თითქმის ერთი წონა-სიმაღლის, ორივე გაუტყხელი. შვილები და შვილიშვილები თეოს ქალაქში ჰყავდა, დორას — ემიგრაციაში.

ერთი დღეა და, გულამოვარდნილი თეო რაკეტასავით შევარდა დორას სახლში — ადე, ქალო, რა დროს ფეჩთან ჯდომაა, ჩემმა შვილიშვილმა დამირეკა, შენებს დაურეკავთ ინტერნეტში, საქართველოში ვბრუნდებით და ხვალ ბებია უნდა გავახაროთო...

— ეგ რა მითხარი, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე... — წამოენთო, წამოვარდა ფეხზე დორა.

— შენი ამბავი რომ ვიცი, ქორწილის პურ-მარილს დაახვედრებ და დაგეხმარები, — მხარზე ხელი დაადო თეომ.

აბა, ისე როგორ იქნება, მაგრამ მანამდე ერთ საქმეს მივხედოთო — მკლავზე ჩამოშვებული ზედა იდაყვებამდე აიკაპინა დორამ...

ერთი აქეთ გარბის, მეორე — იქით. და-რბიან წინ და უკან და აწეული კაბის კალთაში ისე იწყობენ დიდი ზომის ქვებს, გეგონება, კენჭები დააქვთ. მერე ამ ქვებს, სახლის წინ, თხრილში ყრიან ამოსასვსებად. თან გაუჩერებლად ლაპარაკობს დორა:

ვაითუ, ამ ორმოში ბავშვს ფეხი ჩაუვარდეს, თან ისეთი ცელქი ყოფილა... მაგას ენაცვალოს ბებო, ჩემი ცქრიალა, ჩემი თოჯინა...

თეო კიდევ ყურებამდე გაკრეჭილი უსმენს და დაჰყვება უკან...

ეზოს გარედანაც შემოიტანეს ერთი კალთა ქვები... ბოლომდე ამოაგეს ორმო.

მერე დორა სახლში შევარდა, სულს მოთქმა არ დააცადა, დაავლო საწოლს ხელი, ამოჩეჩა, ამობურდა, სულ ქვემოდან ამოაძვრინა ლეიბის ზემოდან დაგებული საბანი, გადაკერილი თავი ამოურღვია და დაპრესილი ბამბის აღუნღულებას შეუდგა... ეს ბამბა მერე ქვებით ამოვსებული ორმოს ზემოდან დააყარა — ვაითუ ამ ქვებზე დაეცეს და რამე იტკინოს ბავშვმაო.

— აი, ცოტაც მოხნელდეს და ცომს მოვხელ ხაჭაპურებისთვის... — დაცვარული სახე თავსაფრით მოიწმინდა დორამ.

— რა გეჩქარება, ქალო, დილაზე გადმოვა ცომი... — ღიმილი მოერია თეოს.

— გადმოვა და ჩაგზელ... რომელი დამეძინება. ძილი არ მომეკარება, ხო იცი?

— ვიცი, ვიცი, რა დაგაძინებს...

— ნიგვზიანი ბადრიჯანიც მოენატრებოდათ, ერთი-ორი ვარიაც უნდა შევუტაკო. რა კარგი ვქენი, ჩურჩხელები, რომ გავაკეთე, ჩემს ლილეს გაუხარდება...

— ტკბილი ქაღები და ფელამუში ჩემზე იყოს, ხვალ დილის ათი საათისთვის ყველაფერი მზად მექნება. თუ კიდევ რამე გინდა, შემოგველოს ჩემი თავი. ხო იცი, დასავით მყავხარ.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, დებივით შევაბერდით ერთმანეთს, — მოშვებულ მხრებზე ხელი მოხვია დორამ.

მეორე დღეს დორასთან მისულ თეოს ელდამ მუცელი დაუსერა.

საარაყე ქვაბი ისევ კარზე იყო მიყუდებული...



რობერ დესნოსი — ფრანგი პოეტი, ჟურნალისტი და კრიტიკოსი, ფრანგული სიურრეალისტიკის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი — ცნობილია ასევე თავისი პოლიტიკური აქტიუიზმით და წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. იგი დღემდე ითვლება XX საუკუნის ფრანგული პოეზიის ერთ-ერთ გამოჩენილ ფიგურად. დესნოსის პოეზია დღემდე შთააგონებს მწერლებს, მხატვრებს და მუსიკოსებს. მისმა ლექსებმა გავლენა იქონია ფრანგულ ლიტერატურაზე, რაც უნიკალური ხედვის, ლინგვისტური ექსპერიმენტებისა და ღრმა ემოციური ნდომის დამსახურებაა.

რობერ დესნოსი

მე შენზე იმდენს ვოცნებობდი, წარმოსახვა ამერია სინამდვილეში.

დამრჩა კი ძალა მოსაღწევი, რომ ჩავიკრა გულში სხეული რეალური და დავეწაფო შენს ბაგეებს, გავიგონო ხმა, რომელიც მეძვირფასება? მე შენზე იმდენს ვოცნებობდი, ჩემი ხელები მიეჩვია, მოეხვიოს მხოლოდ ზმანებას, თუმცაღა ცხადში საკუთარ მხრებს ვეხვეოდი და აღარ ვიცო, შემწევს კი ძალა, შევებაო ხელი შენი სხეულის რეალურ კონტურს. შენი ნამდვილი სახის წინაშე, რომელიც ასე მდევნიდა და ასე მტანჯავდა დღეების და წლების მანძილზე, ალბათ მე თვითონ ვიქცევი ჩრდილად და წარმოსახვად. ოჰ, ეს გრძნობების მერყეობა და ცრუ ვნებები... მე შენზე იმდენს ვოცნებობდი, ალბათ ველარ გავიღვიძებ ველარასოდეს, ვდგავარ მძინარე, ვცხოვრობ მძინარე და მძინარე ველოდები დიად სიყვარულს, შენ გელოდები, მხოლოდ შენ ხარ მნიშვნელოვანი, შეხება შუბლზე და ტუჩებზე ნეტავ შემეძლოს... მე შენზე იმდენს ვოცნებობდი, მოგყვებოდი და გიყვებოდი, და ვინეკი შენს აჩრდილთან უკვე იმდენჯერ, რომ აღარ დამრჩა შეიძლება გამოსავალი, გარდა იმისა, რომ აჩრდილი გავხდე მე თვითონ, ათასჯერ ბნელი და უფრო მრუმე იმ აჩრდილებთან შედარებით, რომლებიც უხვად ირევიან შენი ცხოვრების ნათელ დღეებში.

არა, არ მომკვდარა სიყვარული

არა, არ მომკვდარა სიყვარული არც ამ გულში, არც თვალებში და არც ბაგეზე, თუმცა კი არის მიჩვეული, გამოაცხადოს დასაწყისი დასასრულისა. მისმინე, ძლიერ დავიღალე მე ამ წარმტაცი, თავბრუდამხვევი ფერებით და მომხიბვლელობით. მე სიყვარული შევიყვარე — თავის სინაზით და სისასტიკით. და ჩემს სიყვარულს მხოლოდ ერთი სახელი ჰქვია, და ჩემს სიყვარულს გამოხატვის ფორმა აქვს ერთი. ამ სამყაროში ყველაფერი წარმავალია, სხვისი ტუჩები მენებება ახლა ბაგეებზე, მაგრამ სიყვარულს ისევ ძველი სახელი ჰქვია, და ჩემს სიყვარულს გამოხატვის ფორმა აქვს ერთი. და თუ ოდესმე გამიხსენებ შენ, ჩემი სიყვარულის სახელო, ფორმაც, იქნებ შუაგულ ოკეანეში, ამერიკას და ევროპას შორის, ჩამავალი მზის ბოლო სხივს რომ ირეკლავს ტალღა, თუ ქარიშხლიან ღამეში ხის ქვეშ, ან სწრაფ ავტოთი მიმქროლავი გაზაფხულის მზიანი დილით მალზერების ქუჩის გადაკვეთისას, ან წვიმიან დღეს, გამთენიისას, დასაწოლად რომ ეშვადები, ვუბრძანებ შენი სულის აჩრდილს, უთხარი შენს თავს, რომ მე მიყვარდი სამყაროში ყველაზე მეტად და რაოდენ სამწუხაროა, რომ არ იცოდი. უთხარი შენს თავს, რომ არ უნდა ნანობდე, არ ღირს. თუმცა რონსარი ჩემამდე და მერე ბოდლერი მღეროდნენ იმ დიდ სინანულზე, სიბერეს რომ გაუმწარებს ადამიანებს და მიჰყვებათ დარდად საფლავში, რადგან უარყვეს, სანამ იყვნენ ახალგაზრდები, სიყვარულის წმინდა ლამპარი. როცა მოკვდები, მეც ზომ მკვდარი ვიქნები მაშინ, მაგრამ იქნები სასურველი შენ ჩემთვის კვლავაც, მარადიულად დავივანებ მე შენს სხეულში, და ეს შეყოფა საოცრებად ამ სამყაროშიც და იმქვეყნადაც. მაგრამ თუკი ცოცხალი დავრჩი, ჩემში იცხოვრებს სამუდამოდ შენი სურნელი, ხმა და თვალები. და მე, რომელიც არც რონსარი ვარ და არც ბოდლერი, მე, რომელიც ვარ რობერ დესნოსი, და რომელსაც შენ უყვარდი თავდავიწყებით, არ ვარ ნაკლები არავისზე, მე, რომელიც ვარ რობერ დესნოსი, და რომელსაც უყვარხარ ისევ, მას არ სჭირდება სხვა სახსოვარი ამ საძულველ სამყაროში დასატოვებლად.

რენე შარი — ფრანგი პოეტი, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლიტერატურული ფიგურა იყო. მისი პოეზია სავსეა ფილოსოფიური სიღრმით, სიურრეალისტური გავლენებით და II მსოფლიო ომის პერიოდში მიღებული მტკივნეული გამოცდილებით. რენე შარი ცნობილია თავისი უნიკალური სტილით, რომელიც პოეზიაში აერთიანებს ღრმა ემოციებს, ბუნების სიყვარულს და ყოფიერების სულიერი გაგების მხოლოდ მისეულ, ორიგინალურ ხედვას.

რენე შარი

რა კარგი ქენი, რომ წახვედი, არტურ რემბო, რა კარგი ქენი!

არ დაუშომე ბედნიერი 18 წელი არც მეგობრების და არც მტრების, არც პარიზელი უფუნური პოეტების და არც ოჯახის ამო, უნაყოფო ზუზუნს და გნიახს. რა კარგი ქენი, რომ წყალს და ქარს გაატანე ეს ყველაფერი, რა კარგი ქენი, რომ დაჩეხე გილიოტინით! მართალი იყავ, დაუნანებლად რომ მიატოვე ქუჩები სავსე უმაქნისებით და დუქნები სავსე ლექსის მჯღაბნელებით, რათა ბოლომდე ჩაგეყვინთა იმ ჯოჯოხეთში, რომელიც სავსე არის მხეცობით და ცბიერებით, მაგრამ ანათებს უბრალო ადამიანთა ერთი ღიმილი.

სხეულის, სულის აღტყინება თავგანწირული არის ის ბირთვი, მიზანში რომ უცდომლად ხვდება და ანადგურებს ყოველივე ხელოვნურს გზაზე — სწორედ ესაა ადამიანის ცხოვრების აზრი! რადგან ვერასდროს გაიზრდები, თუ მუდმივად ახლომყოფებს გაანადგურებ. ვულკანებიც კი სულ მცირედით თუ შეიცვლიან საკუთარ ადგილს, ამონთხეული ლავა მათი აავსებს გორებს და დაუტოვებს ამ სამყაროს ისეთ იარებს, სავსე რომაა ტკივილით და უხვი ნობათით.

რა კარგი ქენი, რომ წახვედი, არტურ რემბო, რა კარგი ქენი! აქ ვართ ჯერ კიდევ დარჩენილნი სულ რამდენიმე, რომლებსაც გვჯერა ყოველგვარი ფიცის გარეშეც, ბედნიერება არის ის გზა, შენ რომ გაჰყევი.

ერთგულება

ქალაქში დადის სიყვარული ჩემი ცხოვრების, და არ აქვს აზრი, არც მნიშვნელობა, თუ საით მიდის აცდენილი დროის დინებას, ის აღარ არის სიყვარული ჩემი ცხოვრების, მის გაცნობას შეძლებს ახლა ნებისმიერი და არც კი ახსოვს, ვის უყვარდა ის სიგიჟემდე. ეძებს თავის მსგავსს სურვილებით სავსე მზერებში. სივრცე, რომელშიც გზას მიიკვლევს — ჩემს გულზე გადის, იძლევა იმედს და სწრაფადვე უარყოფს თავად, და ვერც კი ხვდება, რაოდენ ძვირფასია იგი კვლავ ჩემთვის. მე მასში ვცხოვრობ, ვით ნამსხვრევი დაკარგული ბედნიერების და მან არ იცის, რომ მარტოობა ჩემი არის მისთვის საუნჯე, და არც ის იცის, მომავალი წარმატებისკენ თავისუფლება გაუკვალავს სავალს მას ჩემი. ქალაქში დადის სიყვარული ჩემი ცხოვრების, და არ აქვს აზრი, არც მნიშვნელობა, თუ საით მიდის აცდენილი დროის დინებას, ის აღარ არის სიყვარული ჩემი ცხოვრების, მის გაცნობას შეძლებს ახლა ნებისმიერი და არც კი ახსოვს, ვის უყვარდა ის სიგიჟემდე. და არც ის იცის, ვინ უნათებს გზას, შემთხვევით რომ არ დაეცეს.

დაუბრუნეთ

დაუბრუნეთ მათ ყველაფერი, რაც დაკარგეს, რომ დაინახონ ხორბლის მარცვალი თავთავში და ყანის შრიალი, ასწავლეთ, როგორ იცხოვრონ დაცემიდან აღმავრენამდე და შეიყვარონ საკუთარი მეს თორმეტივე გამოვლინება. რომ შეიყვარონ თუნდაც გულის სიცარიელე, სანამ სურვილის მოლოდინით კვლავ აივსება. რამეთუ ფერფლში ვერ იხარებს ველარაფერი, თუ არ გაქვს ძალა, დაინახო მინა მის მიღმა, მინა, რომელიც გამოიღებს ნაყოფს უცილოდ. და ვერვინ შეძლებს დაგამარცხოვს ამ შემთხვევაში, თუნდაც ნაგართვან ყველაფერი, რაც კი გებადა.



თარგმნა ანა არქელაქიძე

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს მხარეალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4